CMYK - 1

www.24saati.ge

# 24 საათი

The New York Times International Weekly ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ოთხშაბათი 16 დეკემბერი, 2009 წელი. №273 (2311) | ფასი 50 ლარი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი

*2424

## კოპენჰაგენის სამიტი ჩაშლის პირზეა

A8



## 20 წუთი „მობი დიკის" წასაკითხად

A10




ჯიპისი GPC

Cyan 100%
Magenta 50%

ზღარბი ბარათის საახალწლო გათამაშება დასრულდა!

A4

24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე

www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK

ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

FREE INDUSTRIAL ZONE RAKIA GEORGIA

HYUNDAI

# "ან ვირი.... ან ვირის პატრონი"

## მერე რუსებმა არ თქვან, არავინ გაგვაფრთხილაო

თეიმურაზ ზაქრაძე

*რუსეთში საყვარელი გამოთქმაა: ან ვირი მოკვდება, ან ვირის პატრონიო. ძალიან ბევრი საკითხი და პრობლემა ამ პრინციპით წყდება. ხალხში კიდევ ასე ამბობენ: არაფერი არაა დროებითზე უფრო მარადიულიო. ჩემთვის, დროთა განმავლობაში, სავსებით გასაგები გახდა ამ გამოთქმების ჭეშმარიტი რუსული აზრი.*

როდესაც რუსულ პოლიტიკას განვიხილავთ, აუცილებლად მივაკითხავთ ხოლმე იოანე მრისხანეს დროებას და ეს სავსებით ლოგიკურია, ვინაიდან სწორედ ამ დროებიდან იწყება რუსეთის იმპერიული ისტორია. თავად რუსეთში არსებობს რუსეთის ორი დასახელება: РУСЬ (რუსს) და РОССИЯ (როსსია). თარგმანში, ნებისმიერ სხვა ენაზე ორივე სახელი ერთნაირად ჟღერს, მაგრამ ეს სახელები პრინციპულად განსხვავდებიან ერთმანეთისგან, როგორც ჟღერადობით, ასევე არსით. თქვენის ნებართვით, შემდგომში გამოვიყენებ ასეთ ავტორულ თარგმანს. ეს არსის გაგებაში დაგვეხმარება.

"რუსს-ში", მონღოლების წასვლის შემდეგ, XV საუკუნის ბოლოს დამყარდა ე.წ. "სმუტა" - არეულობის ხანა, რომელმაც თითქმის საუკუნე გასტანა. იცვლებოდნენ თავადები, იყო ერთმანეთის ხოცვა-ჟლეტვა და ა.შ., სანამ არ გამოჩნდა იოანე IV მრისხანე, რომელმაც თავი მოუყარა დაქსაქსულ სათავადოებს და თავი "რუსს-ის" მეფედ გამოაცხადა. მას ასევე ჰქონდა წოდება - მოსკოვის თავადი. იმ სახელმწიფოს ხშირად მოიხსენიებენ, როგორც მოსკოვის "რუსს" (Московская Русь), ასევე - "მოსკოვია"-დ. უნდა ითქვას, რომ იმ "მოსკოვიას" საზღვრები დღევანდელი რუსეთის ტერიტორიის ალბათ 10 პროცენტს არ აღემატება.

გაგრძელება A12 გვერდზე

# "ფარული რეკლამის" აკრძალვა - რეალობა თუ "დედ ლო"

ვერიკო თევზაძე

*ადგილობრივ არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე ჩნდება ინიციატივა, რომელიც მიზნად ისახავს კანონმდებლობაში პოლიტიკური რეკლამის ცნების გაფართოებას და მასში ახალი ფორმულირების - "ფარული რეკლამის" დამკვიდრებას. აღნიშნული ინიციატივის ავტორთა აზრით, "ფარული რეკლამის" გამო კონკრეტულმა მედიასაშუალებამ პასუხი უნდა აგოს.*

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (საია), პარტნიორ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, შეიმუშავა საარჩევნო კოდექსში შესატან ცვლილებათა პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებას. საია-ს განმარტებით, აღნიშნული პროექტი მიმართულია **"წინასაარჩევნო კამპანიის წარმოებისას ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებისა და ამომრჩეველზე ზეგავლენის მოხდენის სხვა ფორმების აკრძალვისკენ".**

დოკუმენტის ავტორებმა "24 საათს" განუმარტეს, თუ რატომ გაჩნდა ამგვარი აკრძალვის საჭიროება. საია-ს საარჩევნო პროექტების კოორდინატორ ნინო ლემონჯავას თქმით, ძალიან ხშირად ეთერში გადაიცემა რეკლამები, რომლებიც შეიცავს წინასაარჩევნო კამპანიის ნიშნებს, მაგრამ საქართველოს კანონმდებლობა მას საარჩევნო პოლიტიკურ რეკლამად არ აღიარებს: **"დღევანდელი კანონმდებლობით, პოლიტიკურ რეკლამად განიხილება ისეთი რეკლამა, სადაც არის პირდაპირი აგიტაცია. წინასაარჩევნო პერიოდში ხშირად გვხვდება რეკლამები, რომლებშიც პირდაპირი მოწოდება არ არის, მაგრამ ჩანს სუბიექტი, მისი რიგითი ნომერი, პარტიის ლოგო... ასეთი რეკლამები, ფაქტობრივად, საარჩევნო ხასიათისაა და რომელიმე კანდიდატის გამარჯვებას ისახავს მიზნად.**

გაგრძელება A3 გვერდზე

# ევრო 2012 - ფეხბურთი, პოლიტიკა და პროსტიტუცია

ვასილ უდუმაშვილი

*ევრო 2012-ის ლოგოტიპის პრეზენტაციას მიშელ პლატინი ესწრებოდა. უეფას პრეზიდენტი თებერვალში დონეცკს, ლვოვს და ხარკოვს ეწვევა. კიევთან ერთად, სწორედ ეს ქალაქები აცხადებენ პრეტენზიას ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მატჩების მასპინძლობაზე. წმინდა საფეხბურთო ღონისძიებას სკანდალის გარეშე არ ჩაუვლია - უკრაინელმა ფემინისტებმა მოაწყვეს აქცია, რომლის მთავარი მოთხოვნა იყო ევროპის ჩემპიონატის მსვლელობის დროს პროსტიტუციის აკრძალვა.*

ორშაბათს კიევში, მიხაილოვსკის მოედანზე, გაიმართა ევრო 2012-ის ლოგოტიპის პრეზენტაცია. ტურნირი პოლონეთსა და უკრაინაში გაიმართება. ლოგოტიპი ყვავილის ფორმისაა. ფეხბურთის ბურთს ორი ლამაზი ყვავილი ამშვენებს. ლურჯ-ყვითელი უკრაინის სიმბოლოა, თეთრ-წითელი - პოლონეთის. ტურნირის ოფიციალური სლოგანია: "ისტორიას ერთად ვქმნით".

ლოგოტიპის პრეზენტაციას ესწრებოდნენ უკრაინის პრეზიდენტი ვიქტორ იუშენკო და პრემიერი იულია ტიმოშენკო, რომლებიც კარგა ხანია ერთად არავის უნახავს. თუმცა, ორი პოლიტიკური ფიგურის შერიგება მაინც დაჩრდილა მიშელ პლატინის პერსონამ. უეფას პრეზიდენტს უნდა ეთქვა, თუ რამდენი უკრაინული ქალაქი მიიღებს კონტინენტის პირველობის ფინალური ეტაპის მატჩების მასპინძლობის უფლებას. ევროპული ფეხბურთის მთავარმა მოხელემ განაცხადა, რომ ჯერჯერობით განიხილება ოთხი ქალაქის კანდიდატურა. საბოლოო გადაწყვეტილებას კი მორიგი შემოწმების შემდეგ მიიღებენ.

გაგრძელება A14 გვერდზე




CMYK - 1

## თემურ იაკობაშვილი ეუთო-ს დელეგაციას შეხვდა

რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა თემურ იაკობაშვილმა და ეუთო-ს მოქმედი და მომავალი თავმჯდომარე ქვეყნების - საბერძნეთისა და ყაზახეთის წარმომადგენლებმა ცხინვალის რეჟიმის მიერ დაკავებული ქართველი მოზარდების გათავისუფლების თაობაზე იმსჯელეს. "ინტერპრესნიუსის" ინფორმაციით, ამის შესახებ გუშინ გამართული შეხვედრის შემდეგ თემურ იაკობაშვილმა განაცხადა. "ჩვენ, სხვადასხვა საკითხებთან ერთად, ვიმსჯელეთ ამ საკითხზეც და პრობლემის მოსაგვარებლად ველოდებით ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის - თომას ჰამარბერგის ჩამოსვლას", - განაცხადა თემურ იაკობაშვილმა. მისივე თქმით, გუშინდელი შეხვედრა გაცნობითი ხასიათის იყო, რომელზეც მას ეუთო-ს მომავალი თავმჯდომარე ქვეყნის - ყაზახეთის წარმომადგენელი წარუდგინეს. ის რეგიონში ოკუპაციასთან დაკავშირებით იმუშავებს.

"ჩვენ ასევე ვიმსჯელეთ, ოკუპირებულ ტერიტორიებთან სახელმწიფო სტრატეგიის თაობაზე. მიმაჩნია, რომ ეუთო-ს ამ სტრატეგიის რეალიზების პროცესში პოზიტიური როლის შესრულება შეუძლია. უნდა შეიცვალოს ის ტრადიცია, როდესაც ეუთო საქმიანობდა მხოლოდ ცხინვალის რეგიონში და მომავალში მისი საქმიანობა აფხაზეთზეც უნდა გავრცელდეს", - განაცხადა თემურ იაკობაშვილმა. მისივე განცხადებით, ყაზახეთი გეოგრაფიულად და პოლიტიკურად უნიკალურ პოზიციაში იმყოფება და მისი თავმჯდომარეობის პერიოდში, შესაძლებელია, რომ საქართველოში ეუთო-ს საქმიანობა გაფართოვდეს.

## აფხაზეთის ტერიტორიაზე H1N1 ვირუსით დაავადებულთა რიცხვი მატულობს

აფხაზეთის ტერიტორიაზე H1N1 ვირუსით დაავადებულთა რიცხვი "კატასტროფული სისწრაფით" მატულობს. ამის შესახებ "ინტერპრესნიუსი" აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანდაცვის მინისტრის დალილა ხორავას განცხადებაზე დაყრდნობით იუწყება. "მხოლოდ 2 საათის განმავლობაში 2-ჯერ გაიზარდა დაავადებულების რიცხვი. მაგალითად, თუ დილის 11 :00 საათისთვის რეგისტრირებული იყო 9 შემთხვევა, ამ დროისთვის უკვე 20 შემთხვევაა დაფიქსირებული. ზუგდიდის საავადმყოფოში ბოლო ორი დღის განმავლობაში აფხაზეთის ტერიტორიიდან 53 პაციენტია გადმოყვანილი და მათგან 33 ბავშვია", - განაცხადა დალილა ხორავამ. მისივე ინფორმაციით, აფხაზეთის ტერიტორიაზე სოხუმის რეჟიმმა კარანტინი გამოაცხადა. თუმცა, მას მიაჩნია, რომ ეს არ არის საკმარისი ზომა.

"ჩვენ ასევე ვიცით, რომ მათ დახმარებისთვის მიმართეს რუსეთს, მაგრამ, სავარაუდოდ, ეს დახმარება უპირველესად მიმართული იქნება აფხაზეთში მცხოვრები რუსებისკენ. ამიტომ მე მივმართავ სოხუმის რეჟიმის ჯანდაცვის მინისტრს, რომ გადავდოთ გვერდზე პოლიტიკა და ერთად ვიზრუნოთ ჩვენი ხალხის გადასარჩენად", - განაცხადა დალილა ხორავამ. მისივე განცხადებით, უკვე მოქმედებს ცხელი ხაზი და აფხაზეთის ტერიტორიაზე მედიკამენტების გარკვეული ნაწილი, აფხაზი ექიმების თხოვნით, უკვე შეიგზავნა.

## ოპოზიცია საარჩევნო კოდექსის პროექტში "ზნეობრივი ნორმების" შესახებ ჩანაწერს აპროტესტებს

საპარლამენტო ოპოზიცია საარჩევნო კოდექსის პროექტში "ზნეობრივი ნორმების" შესახებ ჩანაწერს აპროტესტებს. "ინტერპრესნიუსის" ინფორმაციით, კოდექსში ცვლილებების თანახმად, "ზნეობრივი ნორმების" დარღვევისთვის სამართლებრივი პასუხისმგებლობა წესდება. ოპოზიცია კანონში ტერმინის - "ზნეობრივი ნორმები" დაზუსტებას ითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში არ გამორიცხავს, რომ ხელისუფლებამ ზნეობრივი ნორმების დარღვევად კრიტიკა ან თუნდაც დაკვირვებული მზერა ჩათვალოს. მათი არგუმენტით, ეს ჩანაწერი ხელისუფლების მხრიდან პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ იქნება გამოყენებული. როგორც ამ საკითხზე იურიდიულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე პავლე კუბლაშვილმა განმარტა, ზნეობრივი ნორმის დარღვევად ითვლება ადამიანის თუნდაც ისეთი ქმედება, როცა იგი "შეგინებასა და დაგინებაში პრობლემას ვერ ხედავს". მისივე მტკიცებით, კანონპროექტში აღნიშნული ჩანაწერი არასამთავრობო ორგანიზაციების რეკომენდაციის საფუძველზე გაჩნდა.

# დასავლური მხარდაჭერა და აღიარება ფულის სანაცვლოდ

დათო გამისონია

*ოკუპირებულ აფხაზეთში გამართული ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნები ევროკავშირმა და შეერთებულმა შტატებმა არ ცნეს. სამაგიეროდ, დასავლური დემოკრატიული ქვეყნებისგან განსხვავებით, 12 დეკემბერს გამართული კენჭისყრის შემდეგ, აფხაზეთთან დიპლომატიური ურთიერთობა ნაურუს რესპუბლიკამ დაამყარა. დე ფაქტო ხელისუფლება ამ ქვეყნის გადაწყვეტილებას სახელმწიფოებრიობის აღიარებად აღიქვამს.*

**"ევროკავშირი არ ცნობს საკონსტიტუციო და სამართლებრივ ჩარჩოებს, რომელთა ფარგლებშიც ეს (აფხაზეთის) არჩევნები ჩატარდა. ევროკავშირი კვლავ მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს, რომელიც საერთაშორისო სამართლით არის აღიარებული,"** - ნათქვამია ევროგაერთიანების ვებგვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაში. ამასთანავე, აფხაზეთის ე.წ. არჩევნებს არ აღიარებს ამერიკის შეერთებული შტატები. **"შეერთებული შტატები წუხს 12 დეკემბერს საქართველოს რეგიონში - აფხაზეთში "არჩევნების" ჩატარების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გამო და არ აღიარებს ამ არჩევნების არც კანონიერებას და არც შედეგებს. აშშ ადასტურებს საქართველოს სუვერენიტეტისა და საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში ტერიტორიული მთლიანობისადმი მხარდაჭერას,"** - აღნიშნავს ოფიციალურ განცხადებაში აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელი იან კელი.

საქართველოს პრეზიდენტს მიაჩნია, რომ ევროკავშირისა და აშშ-ს პოზიცია ზუსტი შეფასებაა. სააკაშვილის განცხადება ამასთან დაკავშირებით საზოგადოებას პრეზიდენტის პრესსპიკერმა მანანა მანჯგალაძემ გააცნო. პრეზიდენტმა რუსეთის ფედერაციის საქმიანობაზე გაამახვილა ყურადღება. მისი შეფასებით, რუსეთი მოიქცა ისე, რაც სტალინმა გააკეთა ბალტიისპირეთის და ჩრდილოეთ კავკასიის მიმართ, საიდანაც ადგილობრივი მოსახლეობა მასობრივად გადაასახლეს. ეს არის რუსეთის საბჭოთა იმპერიის კარგად ნაცადი ხერხი. მანჯგალაძემ დასძინა, რომ **"აფხაზეთიდან ადგილობრივი მოსახლეობის 80 პროცენტი გამოძევებულია. შაჰ-აბასის შემდეგ საქართველოს არავინ მოქცევია ისე, როგორც რუსეთი მოექცა. საკუთარი მიწიდან ქართველები გამოდევნა და სხვები ჩაასახლა."**

გარდა ამისა, რუსეთი საქართველოში შექმნილი სიტუაციის დასაკანონებლად საერთაშორისო ასპარეზეც აქტიურად მუშაობს. მას შემდეგ, რაც აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ცნობის შესახებ რუსეთმა ეკვადორთად და კუბასთან მოლაპარაკებები უშედეგოდ გამართა, ამჯერად მოსკოვმა ამ ნაბიჯის გადადგმისკენ ნაურუს რესპუბლიკას მოუწოდა. გუშინ ნაურუს საგარეო საქმეთა, ვაჭრობისა და ფინანსთა მინისტრი კირენ კეკე აფხაზეთში იმყოფებოდა. კეკემ და აფხაზეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შესახებ. დოკუმენტის გაფორმება შამბამ ნაურუს მიერ აფხაზეთის აღიარებად შეაფასა. ცერემონიას სერგეი ბაგაფშიც ესწრებოდა. მისი თქმით, მნიშვნელობა არა აქვს, რამდენი ადამიანი ცხოვრობს ნაურუში, რადგან ეს ქვეყანა გაერო-ს წევრია.

გაზეთ "კომერსანტის" ინფორმაციით, აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის აღიარების სანაცვლოდ, რუსეთი ნაურუს გადაუდებელი სოციალურ-ეკონომიკური პროექტებისთვის 50 მილიონ დოლარს გამოუყოფს. გამოცემა კოკოითის ხელისუფლების ინფორმაციისა და ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტზე დაყრდნობით აცხადებს, რომ კირენ კეკე 10 დეკემბერს მოსკოვში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვსაც შეხვდა. მათ, სავარაუდოდ, ნაურუსთვის ჰუმანიტარული დახმარების გაწევის საკითხები განიხილეს. ნაურუ წყნარი ოკეანის რეგიონში ერთ-ერთი ყველაზე ღარიბი ქვეყანაა. მისი მოსახლეობა 11 ათას ადამიანს მცირედ აღემატება, ის ერთადერთი სახელმწიფოა, რომელსაც ოფიციალური დედაქალაქი არ აქვს. ნაურუ ფოსფატის საბადოების გამოიფიტვის შემდეგ ძირითადი შემოსავლის გარეშე დარჩა, ამიტომ ქვეყანა დიპლომატიური ნაბიჯებით ცდილობს შემოსავლების მიღებას. კერძოდ, მან კოსოვოს აღიარების სანაცვლოდ, ევროკავშირის წევრი ქვეყნებისგან ფინანსური მხარდაჭერა მიიღო. ამასთან, კუნძულოვან სახელმწიფოს ჩინეთიც დაჰპირდა, რომ 130 მილიონ დოლარს გამოუყოფს, რადგან ნაურუმ ტაივანთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებაზე უარი განაცხადა.

რუსეთის, ნიკარაგუასა და ვენესუელას შემდეგ ნაურუ მეოთხე სახელმწიფო იქნება, რომელიც აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთს ცნობს. ნაურუდან ჩამოსული მინისტრი კირენ კეკე უკვე ცხინვალშიც იმყოფებოდა. მან იქ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ **"სამხრეთ ოსეთისთვის საუკეთესო დახმარება მისი სახელმწიფოებრიობის აღიარებაა."** ის კოკოითის ხელისუფლებას დაპირდა, რომ საკითხს პარლამენტი ზამთრის სესიაზე განიხილავს. როგორც "ბი-ბი-სი" წერს, კეკეს არ დაუკონკრეტებია, რომელი წლის ზამთარს გულისხმობდა.

"ევროპული კვლევების ცენტრის" ხელმძღვანელმა კახა გოგოლაშვილმა "24 საათს" განუცხადა, რომ არის რიგი სახელმწიფოები, რომლებიც ასეთ გადაწყვეტილებას მცირე თანხის სანაცვლოდ იღებენ. მათ, ძირითადად, რუსეთთან კარგი ურთიერთობა აქვთ. ექსპერტის შეფასებით, საერთაშორისო თანამეგობრობისთვის ამ ქვეყნების გადაწყვეტილება არაფერს ნიშნავს. გოგოლაშვილმა განაცხადა, რომ **"მთავარია, ევროპა, აშშ და სხვა რამდენიმე დიდი სახელმწიფო, მაგალითად, ჩინეთი, ინდოეთი და სხვები მათ არ ცნობენ."** კახა გოგოლაშვილი საქართველოს დამოკიდებულებაზეც აკეთებს აქცენტს, მას მიაჩნია, რომ **"საქართველოს არანაირი გავლენა არ შეიძლება ჰქონდეს ნიკარაგუაზე, ვენესუალასა თუ ნაურუზე, რადგან არ შეიძლება, რომ საქართველოს მათთან ძლიერი ეკონომიკური კავშირები ჰქონდეს. ჩვენს დიდ მეგობრებს აშშ-სა და ევროკავშირსაც კი არა აქვთ ამ ქვეყნებთან მაინცდამაინც კარგი ურთიერთობა. რუსეთი სწორედ ამ ორ ფაქტორს იყენებს."**

# ლეტალურ შედეგს დაგვიანებული მკურნალობა იწვევს

ნათია მსხილაძე

საქართველოში ოფიციალურად დაფიქსირდა H1N1 ვირუსის 580 შემთხვევა, მათგან ოთხი ლეტალური შედეგით დასრულდა. სამი ქალბატონი გუშინ გარდაიცვალა. მათგან ერთი ინფექციურ საავადმყოფოში მკურნალობდა, მეორე - ღუდუშაურის სახელობის კლინიკაში, მესამე კი - ბათუმის რესპუბლიკურ საავადმყოფოში.

ექიმების მტკიცებით, ლეტალური შედეგი სამივე შემთხვევაში ექიმთან დაგვიანებით მისვლამ გამოიწვია. მათივე განმარტებით, როცა ამ პაციენტებმა ექიმებს მიმართეს, პნევმონია უკვე განვითარებული ჰქონდათ და მდგომარეობა იმდენად მძიმე იყო, რომ პრეპარატ "ტამიფლუს" მიღება უშედეგო აღმოჩნდა.ნამასთან, ღუდუშაურის სახელობის კლინიკაში გარდაცვლილი ქალბატონი ფეხმძიმედ გახლდათ. მას საკეისრო კვეთა ჩაუტარდა და ბავშვის გადარჩენა მოხერხდა.

როგორც საქართველოს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის დირექტორმა პაატა იმნაძემ გაზეთ "24 საათთან" საუბრისას აღნიშნა, უკვე მსოფლიოს ბევრმა ქვეყანამ შეწყვიტა პანდემიური გრიპის ინდივიდუალურ შემთხვევათა აღრიცხვა და ასევე ლაბორატორიული დადასტურება. საქართველოში გრიპის ყველა ვირუსი "ღორის გრიპია" და ლაბორატორიული დადასტურება აღარ სჭირდება - ამბობს იმნაძე. **"ჩვენ გვქონდა ასეთი შემთხვევა, რომ დაავადებული ელოდებოდა ლაბორატორიის პასუხს - "ღორის გრიპით" იყო ავად თუ სხვა გრიპით, რამაც პაციენტის დამძიმება გამოიწვია. ამიტომ, როგორც კი ექიმი გრიპის ვირუსზე მიიტანს ეჭვს, ეს უკვე "ღორის გრიპია", რომლის მკურნალობა სიმძიმის მიხედვით უნდა წარიმართოს,"** - აღნიშნა დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის დირექტორმა პაატა იმნაძემ.

საქართველოში H1N1 ვირუსის გავრცელების გამო მთავრობის გუშინდელ სხდომაზე საქართველოს ჯანდაცვის მინისტრმა ალექსანდრე კვიტაშვილმა განცხადება გააკეთა. "**საქართველოში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ რეკომენდებულია პრეპარატები "ტამიფლუ" და "რელენზა". სულ "ტამიფლუს" დოზა 146000-ს შეადგენს, ხოლო "რელენზას" დოზა 35000-ს. აღნიშნული ვირუსის თვითმკურნალობა დაუშვებელია. მოსახლეობას მოვუწოდებ, დამახასიათებელი სიმპტომების გამოვლენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ მიმართონ ექიმს,"** - აღნიშნა ჯანდაცვის მინისტრმა.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის კოორდინაციისა და რეჟიმის დეპარტამენტის უფროს ზურაბ უტიაშვილის განცხადებით, საქართველოში H1N1 ვირუსის, ე.წ. "ღორის გრიპის" ეპიდემიის საფრთხეები მცირდება. **"ბოლო 4-5 დღის განმავლობაში ვირუსის გავრცელების კუთხით სიტუაცია დასტაბილურდა. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, სასწრაფო დახმარების გამოძახებებისა და ინფიცირებულთა რეგისტრირების პროცენტული მაჩვენებლები ბოლო ოთხი დღის განმავლობაში არ გაზრდილა და ყოველდღიურად, საშუალოდ, ერთნაირი ციფრი ფიქსირდებოდა, ხოლო გასული 24 საათის განმავლობაში ამ რაოდენობამ კლება დაიწყო. იმ შემთხვევაში, თუ კლების ტენდენცია შენარჩუნდება, ეპიდემიის საშიშროება თავისთავად გამოირიცხება,"** - აღნიშნა ზურაბ უტიაშვილმა.

გუშინ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში ბავშვთა სახლებისა და მოხუცთა თავშესაფრების ექიმებს H1N1 ვირუსის, ე.წ. "ღორის გრიპის" შესახებ სპეციალური ინსტრუქტაჟი ჩაუტარდათ.

შეხვედრაზე საუბარი შეეხებოდა ვირუსის დროულად გამოვლენას, პრევენციასა და მკურნალობას. ექიმებს სამინისტროს წარმომადგენლებმა კონკრეტულ შემთხვევებში ეფექტური მოქმედებისთვის პრაქტიკული რეკომენდაციები მისცეს.

ჯანდაცვის სამინისტროს საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და რეჟიმის დეპარტამენტის ხელმძღვანელ ზურაბ უტიაშვილის განცხადებით, მსგავსი ტიპის შეხვედრები ჯანდაცვის სამინისტროს ორგანიზებით ყოველკვირეულად ტარდება, სადაც სხვადასხვა ტიპის დაწესებულებათა ექიმებს H1N1 ვირუსის გამოვლენისა და მკურნალობის შესახებ ინსტრუქტაჟი უტარდებათ. მისივე თქმით, ბავშვთა სახლები და მოხუცთა თავშესაფრები ვირუსის გავრცელების კუთხით განსაკუთრებით მაღალი რისკის დაწესებულებებია, შესაბამისად იქ მომუშავე ექიმებისთვის წინასწარ მსგავსი ტიპის რეკომენდაციები აუცილებელია.

გარდა H1N1 ვირუსისა, საქართველოში წელს მენინგიტისა და მენინგოკოქცემიის შემთხვევების დიდი ციფრი დაფიქსირდა.

როგორც დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრში აცხადებენ, წელს მენინგოკოქცემიის 30 შემთხვევა დაფიქსირდა. მენინგიტის სხვადასხვა ფორმის შემთხვევების რაოდენობამ კი 108-ს მიაღწია. მენინგიტის ფორმები წელს, ძირითადად, ბავშვებში გამოვლინდა. მენინგიტი თავის ტვინის გარსის ანთებაა, ამ დროს თავის ტვინის უჯრედები არ ზიანდება. მისი გამომწვევი შესაძლოა იყოს ნებისმიერი ბაქტერია ან ვირუსი. მენინგიტისა და მენინგოკოკცემიის სიმპტომებია: მაღალი ტემპერატურა, ძლიერი თავის ტკივილი, შემცივნება, ტკივილები სახსრებსა და კუნთებში, ღებინება. თუ ბავშვი პატარაა, ყვირილით ტირილი, ხელებსა და ფეხებზე "ვარსკვლავისებური" გამონაყარი. თუმცა ამ სიპტომების გამოვლენის შემთხვევაში, შესაძლოა დახმარება უკვე დაგვიანებული აღმოჩნდეს. მენინგოკოქცემიის დროს, რომელიც მძიმე შემთხვევათა 5-10 პროცენტში გვხვდება, დაავადება უაღრესად სწრაფად პროგრესირებს, ფაქტობრივად, ერთ დღეში. დილით გამოვლენილი სიმპტომების შემდეგ მკურნალობის საღამოს დაწყება უკვე შესაძლოა გვიანი აღმოჩნდეს. ჩვეულებრივი მენინგიტის შემთხვევაში კი, ექიმთან დროულად მისვლის შემთხვევაში დაავადება მკურნალობას უპრობლემოდ ექვემდებარება.

**გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:** მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
**რედაქცია:** სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# "ფარული რეკლამის" აკრძალვა - რეალობა თუ "დედ ლო"

პირველი გვერდიდან

**მიუხედავად ამისა, საარჩევნო ადმინისტრაცია და სასამართლო მათ პოლიტიკურ საარჩევნო რეკლამებად არ აღიარებს. ამ ტიპის რეკლამას ჩვენ ვუწოდეთ "ფარული რეკლამა".**

ნინო ლემონჯავას უახლოესი წარსულიდან რამდენიმე მაგალითი მოჰყავს. მაგალითად, მისი თქმით, წინა საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში მერია გამოსცემდა სხვადასხვა ბროშურებს და ბუკლეტებს, რაც პრაქტიკულად სახელისუფლებო გუნდის რეკლამას წარმოადგენდა. იმავე მიზნით სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურები მოსახლეობას საჩუქრებს ურიგებდნენ...

საკანონმდებლო ინიციატივის თანახმად, - განმარტავს ლემონჯავა, - თუ წინასაარჩევნო კამპანიის ნიშნების შემცველ რეკლამას თანდართული არ ექნება განმარტება, რომ იგი არის ფასიანი ან უფასო პოლიტიკური რეკლამა, მაშინ მას მიენიჭება "ფარული რეკლამის" კლასიფიკაცია. ამ ყველაფრის გამო კი პასუხს აგებს ის მედიასაშუალება, რომელმაც აღნიშნული რეკლამა გაავრცელა.

"ქრისტიან-დემოკრატების" ერთ-ერთი ლიდერი ლევან ვეფხვაძე გარკვეული შეზღუდვების დაწესებას ეთანხმება. საქმე ეხება სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებულ სოციალურ რეკლამას, რომელშიც ხშირად პოლიტიკური ინტერესები დევს: **"მხედველობაში მაქვს ტელევიზიებში სახელმწიფო სტრუქტურების მიერ განთავსებული რეკლამები, რომლებსაც სოციალური სტატუსი აქვთ, თუმცა რეკლამის რეალური მიზანია ერთი პოლიტიკური პარტიის საარჩევნო აგიტაცია".**

ლევან ვეფხვაძემ "24 საათთან" საუბრისას იმედი გამოთქვა, რომ საკითხის განხილვისას ოპოზიცია სახელისუფლებო გუნდთან შეთანხმებას მიაღწევს.

საპარლამენტო უმრავლესობას კი ამ შემთხვევაში განსხვავებული პოზიცია აქვს. როგორც "24 საათს" პავლე კუბლაშვილმა განუცხადა, იგი მხარს ვერ დაუჭერს წინასაარჩევნო პერიოდში სოციალური რეკლამის აკრძალვას. სახელისუფლებო გუნდის წევრს არგუმენტად ხალხის ინტერესები მოჰყავს: **"სოციალურ რეკლამას აქვს თავისი დანიშნულება. ეს გულისხმობს მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიწოდებას მისთვის ხელსაყრელი მომსახურების შესახებ."**

"ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის" წარმომადგენელ გურამ ჩახვაძის ინფორმაციით, ამ ეტაპზე საუბარია იმის შესახებ, რომ ბეჭდვითი პრესა გათავისუფლდეს ყველანაირი შეზღუდვისგან, რაც კი "ფარული რეკლამის" აკრძალვას ეხება. **"ეს "ნაციონალების" პოზიცია გახლავთ,"** - განუმარტა ჩახვაძემ "24 საათს".

ხსენებული შეზღუდვების შესახებ "24 საათმა" კომენტარი სთხოვა სოციოლოგ გოჩა ცქიტიშვილს. მისი აზრით, ამ შემთხვევაში კანონის მოთხოვნა მარტივი უნდა იყოს: **"შეზღუდვა უნდა მოიცავდეს გარკვეულ დროს, რომლის განმავლობაში არჩევნებში მონაწილე პირს (რომელიც იმავდროულად სახელმწიფო მოხელის ფუნქციას ასრულებს) ეკრძალება ეთერით გამოსვლა და პირდაპირი გზით წინასაარჩევნო კამპანიის წარმოება. სხვა ნებისმიერი ნორმა მკვდარი - "დედ ლო" იქნება".**

გოჩა ცქიტიშვილის განმარტებით, ჩვენში სახელმწიფო სტრუქტურის ხელმძღვანელებს, თუნდაც დედაქალაქის მერ გიგი უგულავას, ბევრი და ძლიერი ინსტრუმენტი აქვთ მოსახლეობაზე ზეგავლენის მოსახდენად, თანაც ისე, რომ ეს არც "ფარულ" და არც ფასიან პოლიტიკურ რეკლამაში არ ჩაეთვლებათ.

# ერთსულოვანი გადაწყვეტილება

თამარ ივანიძე

*საქართველოს პარლამენტში ერთსულოვანი გადაწყვეტილებების მიღება, როგორც წესი, იშვიათობაა, თუმცა რუსეთის მიერ ჩადენილ ქმედებებზე რეაგირების მიზნით შექმნილი განცხადების მიღება ის უპრეცედენტო შემთხვევა იყო, როცა საკითხს საკანონმდებლო ორგანოში მოწინააღმდეგე არ გამოსჩენია. საქართველოში რუსეთის ფედერაციის მხრიდან გახშირებული უკანონო ქმედებების გამო საერთაშორისო თანამეგობრობისთვის მიმართვა პარლამენტმა 85 ხმით დაამტკიცა - არც ერთის წინააღმდეგ.*

განცხადება, რომლითაც საქართველოს პარლამენტი დესტრუქციული ქმედებების შესაჩერებლად რუსეთზე პოლიტიკური და დიპლომატიური ზეწოლის გაძლიერებას ითხოვს, მეგობარი ქვეყნების პარლამენტებს და საერთაშორისო ორგანიზაციებს გადაეგზავნება.

განცხადება სამი მუხლისგან შედგება და მასში რუსეთის მიერ ჩადენილი ქმედებების მოკლე ჩამონათვალია. კერძოდ, განცხადებაში ნათქვამია:

1. რუსეთის ფედერაციის მხრიდან გახშირებული უკანონო ქმედებები, კერძოდ საქართველოს მშვიდობიანი მოქალაქეების გატაცება ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარე რაიონებიდან და მათი უკანონო დაპატიმრება, ოკუპირებულ ტერიტორიებზე რუსული სამხედრო ბაზებისა და ობიექტების ინტენსიური მშენებლობა, ოკუპირებულ და არაოკუპირებულ ტერიტორიებს შორის მავთულხლართების ბარიერებისა და კედლის მშენებლობა, ადმინისტრაციული საზღვრების გასწვრივ რუსეთის ფედერაციის ფედერალური უსაფრთხოების სამსახურის სასაზღვრო ძალების განთავსება, უკანონო სარკინიგზო და საჰაერო მიმოსვლა, კომუნიკაციების სისტემების კანონსაწინააღმდეგო ამოქმედება, მოსახლეობის მასობრივი ძალდატანებითი პასპორტიზაცია და საქართველოს ტერიტორიული წყლების აფხაზეთის მონაკვეთში რუსული სამხედრო კატარღების შემოყვანა არღვევს საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებსა და ევროკავშირის შუამდგომლობით მიღწეულ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებას.

2. აღნიშნული ქმედებებით რუსეთის ფედერაცია ცდილობს, გააღრმავოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების ანექსია, დააკანონოს 2008 წლის აგვისტოში საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული საერთაშორისოდ აღიარებული ეთნიკური წმენდა და საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული სამხედრო აგრესია; ასევე გააძლიეროს საქართველოზე 2008 წლის აგრესიის წინა პერიოდის მსგავსი პროპაგანდისტული, სამხედრო და პოლიტიკური ზეწოლა. რუსეთის საოკუპაციო რეჟიმი სერიოზულ საფრთხეს უქმნის ოკუპირებულ ტერიტორიებზე დარჩენილ აფხაზური და ოსური ეთნიკური წარმომავლობის საქართველოს მოქალაქეებს, ხოლო რუსეთის მხრიდან მუდმივად მიმდინარე პროვაკაციების ფონზე კონფლიქტის ხელახალი ესკალაცია ემუქრება არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთელი ევროპის უსაფრთხოებას.

3. ოკუპირებულ ტერიტორიებზე უკანონო არჩევნების ორგანიზებით რუსეთის ფედერაცია ცდილობს, მოახდინოს ეთნიკური წმენდის შედეგების ლეგიტიმაცია, რის შედეგადაც ამ რეგიონებიდან განდევნილია მოსახლეობის 70 პროცენტზე მეტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტი მოუწოდებს საერთაშორისო თანამეგობრობას, მეგობარი ქვეყნების პარლამენტებს და საერთაშორისო ინსტიტუტებს:

ა) გაძლიერდეს რუსეთის ფედერაციაზე პოლიტიკური და დიპლომატიური ზეწოლა ზემოთ ჩამოთვლილი დესტრუქციული ქმედებების შესაჩერებლად;

ბ) გაგრძელდეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების მტკიცე პოლიტიკა;

გ) გაძლიერდეს ზეწოლა რუსეთის ფედერაციაზე მის მიერ ევროკავშირის შუამავლობით მიღწეული ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების შესასრულებლად, მათ შორის ოკუპირებულ ტერიტორიებზე ევროპის კავშირის მონიტორინგის მისიის დამკვირვებლების დასაშვებად;

დ) დაიწყოს რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულ საქართველოს ტერიტორიებზე საერთაშორისო საპოლიციო ძალების განლაგებისთვის საჭირო ღონისძიების განხორციელება უსაფრთხოების ზოგადი გარემოს შესაქმნელად და რუსეთის მიერ ჩატარებული ეთნიკური წმენდის შედეგების აღმოსაფხვრელად;

ე) გაგრძელდეს რუსეთის მიერ ოკუპირებულ საქართველოს ტერიტორიაზე ჩატარებული ყველა ე.წ. "არჩევნების" არალეგიტიმურად ცნობის პოლიტიკა.

ვ) მოეთხოვოს რუსეთის ფედერაციას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების აღიარების უკან გაწვევა.

განცხადების განხილვის პარალელურად დეპუტატებმა სხდომაზე მედვედევის ბოლოდროინდელი განცხადება და რუსეთში ქართული დიასპორის სახელით პეტერბურგელი ბიზნესმენის აქტივობაც გაიხსენეს.

კერძოდ, პარლამენტის წევრი გურამ ჩახვაძე შეუძლებლად მიიჩნევს, რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის პირობებში, მოსკოვთან ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების აღდგენაზე საუბრის დაწყებას. მისი თქმით, საქართველოსთან ორმხრივი მიმოსვლის აღდგენა, ბაზრის გახსნა და ა.შ. მხოლოდ რუსეთის ინტერესებშია. ჩახვაძის განცხადებით, რუსეთისთვის ეკონომიკური საზღვრების გახსნისა და თბილისსა და მოსკოვს შორის საჰაერო რეისების განახლება მოსკოვი-სოხუმს შორის ფრენების დასაწყებად ლეგიტიმური მოტივაციის შექმნას გამოიწვევს.

პარლამენტის წევრი ნუგზარ წიკლაური კი სხდომაზე გამოეხმაურა რუსეთში მოღვაწე ბიზნესმენ ალექსანდრე ებრალიძის მიერ სანკტ-პეტერბურგში დღეისათვის დაგეგმილ "საქართველოს ხალხთა საზღვარგარეთულ დიასპორათა საერთაშორისო კონფერენციას". მისი თქმით, კონფერენციის მიზანია მსოფლიოს ქართული დიასპორის საერთაშორისო ფორუმის მომზადება. წიკლაური მიიჩნევს, რომ ამ ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება ებრალიძის წახალისება იქნება, რათა შემდგომში მან საქართველოს პრეზიდენტის პოსტზე საკუთარი კანდიდატურა წარადგინოს. დეპუტატმა ცინიკური უწოდა იმ ფაქტს, რომ კრემლის დაგეგმილ პროექტში უცხოეთში მცხოვრები ქართველების ჩართვა სურთ. წიკლაურის თქმით, ამ ადამიანებმა 90-იან წლებში საქართველო სწორედ რუსული აგრესიის გამო დატოვეს. დეპუტატმა იმედი გამოთქვა, რომ ქართული დიასპორა, როგორც ყოველთვის, ღირსეულ პოზიციას დაიკავებს და ებრალიძის ანტიეროვნული და ანტისახელმწიფოებრივი მიზნების განხორციელებაში მონაწილეობას არ მიიღებს.

განცხადების თემა გუშინ პარლამენტში განხილული პირველი საკითხი გახლდათ. შემდგომმა განხილვებმა, რომლებიც სოციალურ თემატიკასა და საარჩევნო კანონმდებლობას მიეძღვნა, დაადასტურა, რომ საპარლამენტო ტრადიცია გრძელდება და რუსეთ-საქართველოს საკითხი ჯერჯერობით ერთადერთ თემად რჩება, როცა საპარლამენტო ოპოზიცია და ხელისუფლება პრაქტიკულად ერთ ენაზე საუბრობენ.

## გიორგი ბარამიძის შეხვედრები საფრანგეთში

საფრანგეთში სამუშაო ვიზიტით მყოფი ვიცე პრემიერ-მინისტრი გიორგი ბარამიძე საფრანგეთის სენატის საგარეო ურთიერთობათა კომისიის თავმჯდომარეს ჟოსლენ დე როანს შეხვდა.

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინფორმაციით, შეხვედრაზე, რომელსაც საფრანგეთ-საქართველოს მეგობართა ჯგუფის ხელმძღვანელი ალენ გურნაკი ესწრებოდა, ყურადღება რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიებვის ოკუპაციაზე გაამახვილეს.

"ინტერპრესნიუსის" ცნობით, საუბარი შეეხო რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მოგვარებაში ევროკავშირის როლს, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოქალაქეების უფლებების ხელყოფის ფაქტებს, მათი დაცვის მექანიზმების შემუშავების აუცილებლობასა და ოკუპანტთა მიერ დაკავებული ადამიანების, განსაკუთრებით ტირძნისიდან გატაცებული მოზარდების დროული განთავისუფლების აუცილებლობას.

ფრანგულმა მხარემ მხარდაჭერა გამოთქვა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ ხელშეკრულებაზე მოლაპარაკებების დაწყებისა და საქართველოს მოქალაქეებისთვის ევროკავშირის ქვეყნებში სავიზო რეჟიმის გამარტივების საკითხის გადაწყვეტის თაობაზე.

ყურადღება გაამახვილეს ავღანეთში სამშვიდობო ოპერაციაში ერთობლივი მოქმედებების აუცილებლობასა და საქართველოს მნიშვნელოვან წვლილზე გლობალური უსაფრთხოების განმტკიცების საქმეში.

ფრანგმა სენატორებმა კიდევ ერთხელ გაუსვეს ხაზი მათ ურყევ პოზიციას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის პატივისცემის კუთხით და მხარი დაუჭირეს საქართველოს ნატო-სა და ევროკავშირში ინტეგრაციას.

ვიზიტის ფარგლებში, გიორგი ბარამიძე გუშინვე, საფრანგეთის ევროპულ საქმეთა სახელმწიფო მინისტრ პიერ ლელუშს შეხვდა. A

შეხვედრები ასევე იგეგმება ეროვნული ასამბლეის სენატის თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარესთან, ეროვნული თავდაცვისა და შეიარაღებული ძალების კომისიის პირველ ვიცე-პრეზიდენტთან და თავდაცვის სამინისტროს სტრატეგიულ საქმეთა დეპარტამენტის დირექტორთან.

ვიცე პრემიერ-მინისტრი ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებსაც შეხვდება.

## ირაკლი ალასანია - ჩემი პოლიტიკური ძალის მიზანი ხელისუფლების მშვიდობიანი გზით შეცვლაა

ირაკლი ალასანიას განცხადებით, მისი და მისი ოჯახის წინააღმდეგ ბოლო დროს პრესაში გავრცელებული ნეგატიური ინფორმაცია ხელისუფლების პოლიტიკურ სისუსტეზე მიუთითებს.

ამის შესახებ "ალიანსი საქართველოსთვის" ლიდერმა დღეს, "ჩვენი საქართველო - თავისუფალი დემოკრატების" ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

"სასოწარკვეთილი კამპანია, რომელიც ჩემი და ჩემი ოჯახის წინააღმდეგ მიმდინარეობს ამორალურია და ხელისუფლების პოლიტიკურ სისუსტეზე მიუთითებს. ეს კამპანია ჩვენ ვერაფერს დაგვაკლებს. მინდა ყველამ კარგად იცოდეს, რომ ჩემი და ჩემი პოლიტიკური ძალის მიზანი ხელისუფლების მშვიდობიანი გზით შეცვლაა და მჯერა, რომ საზოგადოების მხარდაჭერით ამ მიზანს მივაღწევთ", - განაცხადა ალასანიამ.

## ძლიერი ღელვისას 13 წლის სოხუმელი დაიხრჩო

სოხუმთან ახლოს, შავ ზღვაში, 13 წლის სოხუმელი ტიმოფეი გვაზავა დაიხრჩო, - ამის შესახებ საინფორმაციო სააგენტო "აპსნი პრესის" ცნობაზე დაყრდნობით "ინტერპრესნიუსი" იუწყება.

გვაზავა ტალღებმა სინოპის დასახლებასთან ახლოს ძლიერი ღელვისას 14 დეკემბერს გაიტაცა. თვითმხილველთა თქმით, შტორმისას მოზარდი მეგობრებთან ერთად ნავმისადგომთან თამაშობდა.

შტორმის დროს ზღვაზე ტალღების სიმაღლემ 12 მეტრს მიაღწია. სააგენტოს ინფორმაციით, ბავშვებმა გამვლელთა მოწოდებების მიუხედავად სანაპირო არ დატოვეს.

ტრაგედიის მოწმეებმა მოზარდის გადარჩენა სცადეს, მაგრამ შტორმის გამო ვერ შეძლეს.

ტიმოფეი გვაზავას ცხედარი ალმოჩენილია.

ჯიპისი GPC

Cyan 100%
Magenta 50%

# ზღარბი ბარათის საახალწლო გათამაშება დასრულდა!

ზღარბი ბარათის გათამაშება მიმდინარეობდა ორი თვის განმავლობაში.
5 ოქტომბრიდან 5 დეკემბრის ჩათვლით ყოველი დაგროვილი 5 ვაშლით მომხმარებელი იღებდა მონაწილეობას. 5 ვაშლი = 1 ბილეთს.
15 დეკემბერს, რუსთავი ორის დილის ეთერში გამოვლინდა გამარჯვებულები.

| № | პრიზის დასახელება | სახელი, გვარი | ზღარბი ბარათის ნომერი |
|---|---|---|---|
| 1 | IPhod touch 8 GB | ზურაბ გოგელია | 0141505 |
| 2 | ბარათი საყიდლებისათვის (კომპანია უნაიტედ ქოლორზ –ის ბარათი ) | დალი გერგაია | 0014669 |
| 3 | სუპერის სასაჩუქრე ბარათი (ნაძვის ხე და სათამაშოები) | დიანოზ ჭითანავა | 0000786 |
| 4 | კომპიუტერი MCBook (13 inch) | თამარ გოგიჩაიშვილი | 0126291 |
| 5 | სახლის კინო თეატრი Pioneer DCS 395K | სოფიო დვალიშვილი | 0010167 |
| 6 | მუსიკალური ცენტრი Denon | ლალი გონაშვილი | 0042569 |
| 7 | ტელევიზორი Pioneer 4280 XA | თეიმურაზ ბადრიაშვილი | 0160827 |
| 8 | ბაკურიანის 10 დღიანი საგზური 2 კაცისთვის (სასტუმრო, კვება) | ეკატერინე ოჩიგავა | 0047771 |
| 9 | პარიზის დისნეი ლენდის საოჯახო საგზური სრული ანაზღაურებით (ფრენა, სასტუმრო, კვება) | თამარ ბორტიშვილი | 0253126 |

წამახალისებელი გათამაშების პრიზის გაცემა მოხდება ჯი პი სის სათაო ოფისიდან, სანაპიროს 6, ზღარბი ბარათისა და პირადობის მოწმობის წარდგენის საფუძველზე არაუგვიანეს 6 დღის ვადაში. პრიზის მოთხოვნა მოგებულ მომხმარებელს შეუძლია 30 დღის განმავლობაში.

# ქართულ ამერიკული პარტნიორობა - საქართველოს კონტროლის პალატამ ვაშინგტონში საერთაშორისო ორგანიზაციებთან აუდიტის თანამედროვე სტანდარტები განიხილა.

საქართველოში საჯარო რესურსების მართვისა და მონიტორინგის ახალი მოდელის დანერგვის პროცესი 2007 წლიდან იღებს სათავეს, როდესაც მთავრობის მიერ შემუშავებულ ბიუჯეტში განისაზღვრა სტრატეგიული მიზნები და მათ შესაბამისად ჩამოყალიბდა პროგრამები და ღონისძიებები. სისტემური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი სიახლე იყო 2008 წელს „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ" საქართველოს კანონის მიღება, რომელმაც საწყისი მისცა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მოქმედი, ფუნქციურად ახალი, საჯარო სიკეთის მართვის აუდიტის ორგანოს შექმნას.

ამ ახალი რეალობის გათვალისწინებით საქართველოსათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა შეიძინა მოწინავე და ახლად განვითარებული, წარმატებული გამოცდილების მქონე ქვეყნების ანალოგიური ფუნქციის მქონე ორგანოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობამ.

დროის მოკლე პერიოდში მოესწრო მჭიდრო თანამშრომლობის დაწყება საქართველოს კონტროლის პალატასა და შვედეთისა და ლატვიის აუდიტის ორგანოებს შორის, იმედისმომცემი კონტაქტები არსებობს სხვა ახალი დემოკრატიის ქვეყნებსა თუ საერთაშორისო ორგანიზაციებთანაც.

შედეგებისა და სამომავლო პერსპექტივის თვალსაზრისით განსაკუთრებული იყო საქართველოს კონტროლის პალატის ხელმძღვანელთა ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში. ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციის, საჯარო ფინანსების მართვის საერთაშორისო კონსორციუმის მიერ მიმდინარე წლის 2-4 დეკემბერს ორგანიზებული ზამთრის კონფერენცია მიეძღვნა საჯარო ფინანსების მართვას (Performance. Results. Outcome. Understanding Impact in Managing Public Finance).

კონფერენციის მუშაობაში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო საანგარიშო ოფისის, პოლონეთის ფინანსთა სამინისტროსა და სხვა, წარმატებული გამოცდილების მქონე ქვეყნების უწყებათა ხელმძღვანელებთან ერთად მონაწილეობას იღებდა საქართველოს კონტროლის პალატის დელეგაცია, პალატის თავმჯდომარის ლევან ბეჟაშვილის ხელმძღვანელობით.

კონფერენციაზე მსჯელობისა და გამოცდილების გაზიარების საგანი იყო ახალი გამოწვევებისა და გლობალური ეკონომიკური კრიზისის ადექვატური აქტივობების წარმართვა: რაც პირველ რიგში საჯარო ფინანსების ეფექტურად გამოყენებას, აგრეთვე ბიუჯეტის დაგეგმვისა თუ მართვის ახალ სტანდარტებზე გადასვლას გულისხმობს. შედეგსა და შესრულებაზე ორიენტირებული ბიუჯეტი არის სწორედ ის სტანდარტი, რომლის იმპლემენტაციაც უკვე დაწყებულია პოლონეთში. პოლონეთის ბიუჯეტი არის მიზანზე ორიენტირებული, გაწერილი მინიმუმ 2 წლის განმავლობაში განსახორციელებელი პროგრამებსა და გეგმებში. საკითხზე მჯელობამ ნათელი გახადა საქართველოს მიერ აღებული გეზის სისწორე: შედეგზე ორიენტირებული, პროგრამული ბიუჯეტი - ასეთი სახით არის წარდგენილი საქართველოს პარლამენტში საქართველოს 2010 წლის ბიუჯეტის კანონი. ეს მხოლოდ დასაწყისია იმ ხანგრძლივი გზისა, რომელიც მოწინავე დემოკრატიის ქვეყნებში უკვე გავლილია, ნაწილი კი გადის. რესურსების რაციონალური გამოყენება; მიზანზე ორიენტირებულ ბიუჯეტი; ეფექტურობის და შედეგობრიობის გაზრდა სახელმწიფო სექტორში; საჯარო რესურსების კომპეტენტური მართვა - ეს გახლავთ ის შედეგი, რასაც შესრულებაზე ორიენტირებულ ბიუჯეტზე გადასვლა მოგვცემს.

განსაკუთრებით იმედისმომცემი იყო საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის შეხვედრა მის ამერიკელ კოლეგასთან.

იმის გათვალისწინებით, რომ შეხვედრა ეწყობოდა არა დაგეგმილი ორმხრივი ურთიერთობის ფარგლებში, არამედ საერთაშორის კონფერენციის ფარგლებში და შეხვედრაც პირველი იყო - მისი კონკრეტული შედეგებით დასრულების მოლოდინი ზედმეტად ოპტიმისტური იქნებოდა. თუმცა შეხვედრამ მოლოდინს გადააჭარბა, რადგანაც ამ პირველივე და მეტად მნიშვნელოვან შეხვედრას შედეგად მოჰყვა ის, რომ: ა) ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო საანგარიშო ოფისის სახით საქართველოს კონტროლის პალატამ შეიძინა სერიოზული პარტნიორი და მხარდამჭერი აუდიტის საერთაშორისო ორგანიზაციებში; ბ) საანგარიშო ოფისი უზრუნველყოფს საქართველოს კონტროლის პალატისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე მისი გამოცდილების გაზიარებას, აგრეთვე კონკრეტული რეკომენდაციების გადმოცემას. და ბოლოს, უმთავრესი - ამერიკის სახელმწიფო საანგარიშო პალატა აუდიტორთა საერთაშორისო გადამზადების სასტიპენდიო პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფს საქართველოს კონტროლის პალატის თანამშრომელთა გადამზადებას სრულიად უსასყიდლოდ.

საჯარო სიკეთის მართვისა და გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში საზოგადოების ჩართულობის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი იყო თანამედროვე დემოკრატიის წამყვანი სახელმწიფოების მთავრობათა გამოცდილების გაცნობა. ტექნოლოგიების განვითარების დონემ დღის წესრიგში დააყენა საზოგადოებასთან მთავრობის ინტერაქციის ახალ კონცეფციაზე გადასვლის საჭიროება. დღეისათვის ასეთი კონცეფციის პროდუქტი Government 2.0-ის სახელით არის ცნობილი, რომელსაც წარმატებით იყენებენ ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა, განვითარებული დემოკრატიის სახელმწიფოთა მთავრობები.

კონცეფციის არსი შემდეგში მდგომარეობს: საზოგადოება კი არ ეძებს ინფორმაციას, არამედ მთავრობა თუ სამთავრობო დაწესებულება უზრუნველყოფს სისტემატიზებული და მუდმივად განახლებადი ინფორმაციის მიწოდებას საზოგადოებისათვის. აღნიშნული კონცეფცია სხვადასხვა ტექნიკური საშუალებებითა თუ ტექნოლოგიების მეშვეობით ხორციელდება: ბლოგი, ინფორმაციის სინდიკაცია (RSS), სოციალური ქსელები და სხვა ანალოგიები - ეს არის ის ინსტრუმენტები რომელთა საშუალებითაც მთავრობა გადაწყვეტილებას იღებს საზოგადოების მონაწილეობით.

აღნიშნულმა გამოცდილებამ ცხადჰყო, რომ საქართველოს მთავრობას და კონტროლის პალატას სწორი გეზი აქვს აღებული იმ ხანგრძლივი რეფორმის გზაზე, რომელსაც სახელად საჯარო სიკეთის მართვის სისტემის რეფორმა ჰქვია.

თვალის მიკროქირურგიის ჯავრიშვილის კლინიკა

"ოფთალმიჯი"

ერთადერთი კლინიკა 8 ფილიალით და ერთი მოძრავი საოპერაციო ბლოკით

სიახლე!

მნიშვნელოვანი ფასდაკლება კატარაქტის ოპერაციაზე

ტელეფონი: 54 53 53; 30 10 80

# აგრობიზნესის განვითარების პროექტის ფარგლებში 276 პროექტია დამტკიცებული

საქართველოს ათასწლეულის პროგრამის აგრობიზნესის განვითარების პროექტის ფარგლებში 2006 წლიდან დღემდე 276 პროექტია დამტკიცებული.

MCG-ის ინფორმაციით, განხორციელებული პროექტების საერთო ღირებულება 15 მლნ 800 ათას აშშ დოლარს შეადგენს, რაც საქართველოს რეგიონებში 3 500-მდე ახალი სამუშაო ადგილის შექმნის წინაპირობაა.

ენერგოინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში რეაბილიტირებულია ჩრდილოეთ-სამხრეთის გაზის მაგისტრალური მილსადენის 15 დაზიანებული უბანი. გაზსადენის 7 უბნის რეაბილიტაცია დასრულდება 2009 წლის დეკემბრის ბოლოს. შედეგად, ათასწლეულის ფონდის მიერ რეაბილიტირებული მონაკვეთების რაოდენობა 22-ს შეადგენს.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში, მიმდინარე თვის ბოლოსთვის, გამოვლინდება გამარჯვებული საკონსულტაციო კომპანია, რომელიც გაზსაცავის წინა-სამშენებლო საპროექტო შესწავლებს განახორციელებს.



ინტენსიური სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს სამცხე-ჯავახეთის პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული გზის ყველა მონაკვეთზე. რამდენიმე მონაკვეთზე დაწყებულია ასფალტის პირველი ფენის დაგება. სულ პროექტით გათვალისწინებულია 223 კმ გზის მშენებლობა-რეაბილიტაცია, რითაც ცენტრალური საქართველო თურქეთსა და სომხეთს დაუკავშირდება.

ათასწლეულის პროექტის ფარგლებში, დასრულებულია ფოთის წყალმომარაგების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები. 2010 წლის პირველი კვარტლისთვის დაგეგმილია სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულება ქუთაისის წყალმომარაგების პროექტზე. ინტენსიური სამუშაოები მიმდინარეობს ბაკურიანის, ბორჯომის და ქობულეთის წყალმომარაგების პროექტებზე.

გარდა ამისა, საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდმა განახორციელა 21 მლნ 48 ათასი აშშ დოლარის ინვესტიცია 10 საწარმოში, უმეტესწილად ტურიზმსა და აგრობიზნესის დარგებში, რაც ფონდის საინვესტიციო ბიუჯეტის დაახლოებით 85 პროცენტს შეადგენს.

საქართველოსა და აშშ-ს მთავრობებს შორის გაფორმებული, საქართველოს ათასწლეულის გამოწვევის 395,3 მლნ აშშ დოლარის ღირებულების 5-წლიანი შეთანხმება მიზნად ისახავს საქართველოს რეგიონებში სიღარიბის დაძლევას და ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას. კომპაქტის განხორციელების შედეგად მოხდება რეგიონული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, რაც ითვალისწინებს შიდა ვაჭრობის ხელშეწყობას, ენერგომომარაგების საიმედოობის გაზრდასა და მუნიციპალური მომსახურების გაუმჯობესებას. გარდა ამისა, პროგრამა ხელს შეუწყობს რეგიონებში საწარმოების განვითარებას ინვესტიციების უზრუნველყოფისა და აგრარულ სექტორში წარმოების გაზრდის საშუალებით, რაც ახალი სამუშაო ადგილებისა და შემოსავლების გაზრდის წინაპირობას ქმნის. **ინტერპრესნიუსი**

# საიუველირო ნაკეთობების და ბიჟუტერიის ნაწილის იმპორტი საბაჟო გადასახადის 12-პროცენტიანი განაკვეთით დაიბეგრება

საიუველირო ნაკეთობების და ბიჟუტერიის ნაწილის იმპორტი საბაჟო გადასახადის 12-პროცენტიანი განაკვეთით დაიბეგრება.

ამასთან დაკავშირებით ცვლილებები "საგადასახადო კოდექსში" შედის.

კანონპროექტის თანახმად, დაიბეგრება საიუვილერო ნაკეთობები და მათი ნაწილები ძვირფასი ლითონებისა ან ძვირფასი ლითონებით მიტკეცილი ლითონებისაგან. კერძოდ, გალვანური დაფარვით ან დაუფარავად, ძვირფასი ლითონებით მიტკეცილი ან მიუტკეცავი. ასევე, დამზადებული ვერცხლისაგან, გალვანური დაფარვით ან დაუფარავად, სხვა ძვირფასი ლითონებით მიტკეცილი ან მიუტკეცავი და ა.შ.



ასევე, დაიბეგრება მარგალიტის ნაწარმი, ყელსაბამები და სამაჯურები დამზადებული ძვირფასი ან ნახევრადძვირფასი ქვებისგან. ასევე, არაძვირფასი ლითონებისგან და ძვირფასი ლითონებისგან დამზადებული საკინძეები და თმის სამაგრები, ასევე ბიჟუტერია, რომელიც მოოქროვილი ან მოვერცხლილია

კანონპროექტს პარლამენტი წლის ბოლომდე მიიღებს, დაბეგვრის ახალი რეჟიმი კი მომავალი წლის პირველი იანვრიდან ამოქმედდება. **ინტერპრესნიუსი**

# საქართველოში წამლის იმპორტის განხორციელების უფლება 125 კომპანიას აქვს

საქართველოში წამლის იმპორტის განხორციელების უფლება 125 კომპანიას აქვს.

როგორც ჯანდაცვის მინისტრმა სანდრო კვიტაშვილმა განაცხადა, სწორედ 125 კომპანიაა რეგისტრირებული, რომელსაც უფლება აქვს, წამალი შემოიტანოს საქართველოში. მისი განმარტებით. აქედან სამ კომპანიას უჭირავს ბაზრის 85% და სწორედ ეს სამი კომპანია აკონტროლებს ბაზრის დიდ სეგმენტს. აღნიშნული კომპანიებია "პე-ეს-პე", "ავერსი" და "ჯიპისი".

რაც შეეხება წამლის ხარისხს, სანდრო კვიტაშვილის განცხადებით, წამლის ხარისხი დამოკიდებულია არა შემომტან კომპანიაზე, არამედ იმაზე, თუ რა საბუთებით შემოდის წამალი ქვეყანაში.



როგორც კვიტაშვილი განმარტავს, საქართველოში დაუშვეს წამლის გამარტივებული წესით შემოტანის საშუალება, მხოლოდ იმ პრეპარატებზე, რომლებიც ან იწარმოება, ან დაშვებულია გასაყიდად ევროპის ქვეყნებში. რადგან, როგორც კვიტაშვილმა აღნიშნა, ევროპაში არსებობს საინფორმაციო ბაზა, რომელიც წამალს არეგისტრირებს და იქ დარეგისტრირებული წამლები უსაფრთხოა. რაც შეეხება წამლის ფალსიფიკაციას, სანდრო კვიტაშვილის განცხადებით, იმისთვის, რომ საქართველოში არ შემოვიდეს ფალსიფიცირებული წამალი, საკმაოდ ბევრი დამცავი მექანიზმი არსებობს. **ინტერპრესნიუსი**

## "თიბისი ბანკში" ვიზა ბარათების ფესტივალი ტარდება

"თიბისი ბანკში" ვიზა ბარათების ფესტივალი დაიწყო. ფესტივალის ფარგლებში ძვირფასი პრიზებით დაჯილდოვდება "თიბისი ბანკის" ვიზა ბარათების 100 მომხმარებელი, მათ შორის, მთავარი პრიზის მფლობელი "თიბისი ბანკისგან" 2-კაციან საგზურს მიიღებს პარიზის დისნეილენდში.

როგორც "მედიანიუსს" ბანკში განუცხადეს, ვიზა ფესტივალი 15 დეკემბრიდან 16 მარტამდე გაგრძელდება და მასში ავტომატურად მიიღებს მონაწილეობას "თიბისი ბანკის" ნებისმიერი ვიზა ბარათის მფლობელი, რომელიც ამ პერიოდში ბარათით გააკეთებს მინიმუმ 5 შენაძენს საქართველოს სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში, ხოლო ის ფიზიკური პირები, რომლებიც აქციის პერიოდში შეიძენენ "თიბისი ბანკის" ვიზა ბარათს, გათამაშებაში მოხვდებიან 5 ქულით.

ვიზა ბარათების წამახალისებელი გათამაშების საპრიზო ფონდი მრავალფეროვანია. მთავარი პრიზის გარდა, რომელიც პარიზის დისნეილენდში გამგზავრებას გულისხმობს, გამარჯვებულებს გადაეცემათ შემდეგი პრიზები: ლეპტოპი, მობილური ტელეფონი, I პოდი, სასაჩუქრე ვაუჩერები მაღაზიებში: "Tom Taylor", "Celio", "SWATCH", "VOU LUEVU" და "Elit Electronics".

## საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო და ეროვნული არქივი თანამშრომლობენ

15 დეკემბერს, ფინანსთა სამინისტროს სათათბირო დარბაზში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა გრიგოლ ბაიბურთმა და საქართველოს ეროვნული არქივის გენერალურმა დირექტორმა თეონა იაშვილმა, ერთობლივი ინიციატივების განხორციელების მიზნით, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს ხელი მოაწერეს.

როგორც საქართველოს ეროვნული არქივის გენერალურმა დირექტორმა თეონა იაშვილმა აღნიშნა, "მემორანდუმის ფარგლებში იგეგმება ერთობლივი სემინარებისა და სასწავლო პროგრამების განხორციელება, რაც ხელს შეუწყობს ორივე უწყების თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებას. შესაბამისად, ამაღლდება ჩვენი თანამშრომლების მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხი, რაც საბოლოო ჯამში მოქალაქეთა უკეთ მომსახურებაში გამოიხატება."

მემორანდუმის თანახმად, ეროვნული არქივი ხელს შეუწყობს სააგენტოს სასწავლო ცენტრში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით საქმისწარმოებასა და საარქივო საქმესთან დაკავშირებით ორგანიზებულ სწავლებებს; სასწავლო პროგრამებისა და სახელმძღვანელო-სასწავლო მასალების მომზადებასა და ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამშრომლებისთვის ტრენინგების ჩატარებას უსასყიდლოდ, მათი საჭიროების შესაბამისად. თავის მხრივ, ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს სასწავლო ცენტრი უსასყიდლოდ უზრუნველყოფს ერთობლივი ღონისძიებების ჩასატარებლად სასწავლო აუდიტორიების გამოყოფას; სასწავლო კურსების ჩატარებისათვის საჭირო ინვენტარსა და მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებებს; სასწავლებლის ცენტრში მოხდება ეროვნული არქივის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, სასწავლო პროგრამებისა და შესაბამისი ტრენინგების ორგანიზება.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსა და საქართველოს ეროვნულ არქივს შორის გაფორმებული შეთანხმება უზრუნველყოფს უწყებების მჭიდრო საქმიან თანამშრომლობას. **ჯი-ეიჩ-ენი**

## "საქართველოს ბანკის" 37 027 აქცია გაიყიდა

თბილისის საფონდო ბირჟაზე დეკემბრის პირველ ნახევარში "საქართველოს ბანკის" 37 027 აქცია გაიყიდა.

2 დეკემბრიდან 14 დეკემბრის ჩათვლით ბირჟაზე გაყიდული "საქართველოს ბანკის" აქციების ჯამური ღირებულება 503 087 ლარით განისაზღვრა.

აღნიშნულ პერიოდში ბანკის აქციებზე ყველაზე მაღალი ფასი - 13.734 ლარი 7 დეკემბრის ვაჭრობაზე დაფიქსირდა, ხოლო ყველაზე დაბალი - 13.470 ლარი 9 დეკემბრის ვაჭრობაზე. **ინტერპრესნიუსი**

## სპეცდანიშნულების სამსახურის ახალი საწვრთნელი ბაზა

*რუსთავში, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს სპეცდანიშნულების სამსახურის საწვრთნელი ბაზა გაიხსნა. ახალი ბაზა სამ თვეში აშენდა და როგორც სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების ყოფილი მინისტრი დიმიტრი შაშკინი ირწმუნება, ბაზის მშენებლობისთვის საჭირო თანხა არა ქვეყნის ბიუჯეტიდან, არამედ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროში გამოინახა. ბაზის სპეციალური ინვენტარით აღჭურვა 900 ათასი ლარი დაჯდა. 300 სპეცრაზმელის დისლოკაციისთვის განკუთვნილ ახალ საწვრთნელ ბაზაზე სპეცრაზმელებს შესაძლებლობა ექნებათ სპეციალური წვრთნები და თეორიული სწავლებების შესაბამისი კურსი გაიარონ.*

საწვრთნელი ბაზის გახსნას საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების ყოფილი მინისტრი დაესწრნენ. სტუმრებმა სპეცრაზმელთა ბაზაზე ახლად აშენებული ყაზარმები, საიარაღო ოთახები, სპორტული მოედანი, სასადილო და ტექნიკა დაათვალიერეს.

მიხეილ სააკაშვილის თქმით, ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის პერიოდში ქართული ჯარის, ასევე, სპეცრაზმის კვებაზე იმაზე გაცილებით ნაკლები თანხა იხარჯებოდა, ვიდრე დღეს პატიმართა კვებაზე იხარჯება.

**“მიხარია, რომ ეს სამსახური მე შევქმენი და ეს არის რეალურად საბრძოლო რესურსი, რადგან ეს ხალხი ყველა ჩვენს ბრძოლაში, ყველა სერიოზულ გამოწვევაში მონაწილეობდა. მათ შორის, რა თქმა უნდა, იყო მსხვერპლიც, რადგან ეს არის ხალხი, რომლებიც რეალურად საქართველოს ჯარისკაცები არიან. ყველა ეს ქვედანაყოფი არის ჩვენი საბრძოლო ქვედანაყოფი,"** - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

როგორც პრეზიდენტმა აღნიშნა, იმ მანქანების ნაწილი, რომლებიც სპეცდანიშნულების რაზმს ემსახურება, საქართველოს შვეიცარიის მთავრობამ აჩუქა. თუმცა, რუსეთმა ეს ტექნიკა რუსეთის ტერიტორიაზე შეაჩერა და ჩვენამდე მოსაღწევად შვეიცარიის მთავრობის ლობირება დასჭირდა. ასევე, საჭირო გახდა უშუალოდ შვეიცარიაში ჩასვლა, რათა რუსეთს მანქანების ეს ნაწილი საქართველოსთვის დაებრუნებინა.

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა ყოფილ მინისტრ დიმიტრი შაშკინის განმარტებით, სპეცდანიშნულების სამსახურის საწვრთნელ ბაზაზე 500-მდე ადამიანია დასაქმებული. თითოეული სპეცრაზმელის კვებაზე ყოველდღიურად 9 ლარია გამოყოფილი. შაშკინის თქმით, სასჯელაღსრულების სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმი მომზადების დონით საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესოა.

**"განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ სპეცრაზმი აქტიურ მონაწილეობას იღებდა 2008 წლის აგვისტოს მოვლენებში, სადაც საბრძოლო მოქმედებებში 6 სპეცრაზმელი დაიღუპა,"** - თქვა სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა ყოფილმა და ამჟამინდელმა განათლების მინისტრმა.

როგორც პრეზიდენტმა ბაზის გახსნისას განაცხადა, დიმიტრი შაშკინს ახლა ბრძოლა სხვა, უფრო მეტად მნიშვნელოვან ველზე უწევს და ქვეყნის განათლებისთვის ზრუნვა არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე პენიტენციურ სისტემაში მუშაობა.

*საკუთარი ინფორმაცია*

## ადვოკატთა ასოციაცია ახალ თავმჯდომარეს აირჩევს

20 დეკემბერს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის კრება ჩატარდება. ადვოკატები ადვოკატთა ასოციაციის ახალ თავმჯდომარეს, აღმასრულებელ საბჭოს და მმართველობის სხვა რგოლების წარმომადგენლებს აირჩევენ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში 4 ათასამდე ადვოკატია გაწევრიანებული. ასოციაციის წევრთა საერთო კრება გასულ წელს უნდა გამართულიყო, მაგრამ კვორუმის არარსებობის გამო ჩაიშალა. ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრი დავით ლანჩავა იმედოვნეს, რომ ამჯერად მათ ეს პრობლემა არ ექნებათ და კვირას, 20 დეკემბერს ადვოკატები შეძლებენ აირჩიონ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე, აღმასრულებელი საბჭო, ეთიკისა და სარევიზიო კომისიები. ადვოკატები შეკრებასა და რეგისტრაციას დილის ცხრა საათიდან დაიწყებენ წერეთლის გამზირზე N 116-ში, "დიდუბე პლაზაში" მდებარე კლუბ "ტრიუმფში".

*საკუთარი ინფორმაცია*

# ლტოლვილები მატარებელში შეიჭრნენ

*პოლონეთის ლტოლვილთა ბანაკში მცხოვრებმა 200-დე ლტოლვილმა გუშინ პოლონეთი-გერმანიის მატარებელი, პოლონეთი-გერმანიის საზღვარზე, ერთ-ერთ სადგურ ლეგნიცეში გააჩერა. SOS - ეს წარწერა გაუკეთეს მგზავრებმა მატარებელს.*




პოლონეთის რადიოს ინფორმაციით, მატარებელში საქართველოსა და რუსეთის მოქალაქეები - ჩეჩნები და ინგუშები ავიდნენ, რომელთაც ბილეთები არ ჰქონდათ. რკინიგზის სადგურის ადმინისტრაციამ დახმარებისთვის პოლიცია გამოიძახა. მესაზღვრეები და პოლიციელები ერთობლივად ცდილობდნენ მგზავრების დაყოლიებას, რათა მატარებლიდან ჩამოსულიყვნენ, თუმცა უშედეგოდ. ხელისუფლება ცდილობდა ლტოლვილთა ვინაობის დადგენას, თუმცა, როგორც ადგილობივი ტელევიზიები იუწყებიან, მათი იდენტიფიცირება შეუძლებელი აღმოჩნდა, რადგანაც უმეტესობას დოკუმენტები არ აღმოაჩნდა.

გერანიის ხელისუფლებამ მიიღო გადაწყეტილება, რომ ლტოლვილები ქვეყანაში არ შეუშვას. საზღვრის უკანონო გადაკვეთა კი გერმანული კანომდებლობით სამ წლამდე პატიმრობით ისჯება.

როგორც პოლონური მედია იუწყება, 200-მდე ლტოლვილმა მატარებელი იმ მიზნით გაიტაცა, რომ სტრასბურგში ჩასულიყვნენ და ეჩივლათ, თუ რა გაუსაძლისი მდგომარეობაა პოლონეთში არსებულ ლტოლვილთა ბანაკებში. მათი განცხადებით, პოლონეთის ხელისუფლება მხოლოდ 70 ზლოტს უხდის და ბანაკში ტარაკნებისა და ვირთხების გარემოცვაში უწევთ ცხოვრება.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, დაზუსტებულია, რომ მატარებელში, რომელიც ვარშავიდან 8 კილომეტრშია გაჩერებული, საქართველოს 30 მოქალაქე იმყოფება.

საქართველოს საგარეო პოლიტიკური უწყების ინფორმაციით, მატარებელი მგზავრებს არ გაუტაციათ, მგზავრები მატარებელში უბილეთოდ ჩასხდნენ და მას შემდეგ, რაც მათ მატარებლის დატოვება მოსთხოვეს, უბილეთო მგზავრებმა ჩასვლაზე უარი განაცხადეს და სტრასბურგში გადასვლა მოითხოვეს.

საქართველოს მოქალაქეებთან შესახვედრად გუშინვე გაემგზავრა საქართველოს კონსული პოლონეთში.

# საქართველოს 14 მოქალაქე ცხინვალის რეჟიმის ტყვეობაშია

*ოთხი ტირძნისელი მოზარდის დაკავების შემდეგ, არასამთავრობო ორგანიზაციების, ომბუდსმენისა და ექსპერტთა მიერ მოპოვებული მასალების საფუძველზე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ცხინვალის რეჟიმის ტყვეობაში, გარდა ტირძნისელი არასრულწლოვნებისა, საქართველოს სხვა მოქალაქეებიც იმყოფებიან. ცხინვალის იზოლატორში დაკავებულ საქართველოს მოქალაქეთა თაობაზე კარგა ხანს სხვადასხვა სახის ინფორმაციები ვრცელდებოდა. თუმცა, გუშინ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ამ საკითხთან დაკავშირებით ოფიციალური განცხადება გააკეთა.*

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, რუსეთის საოკუპაციო ძალებსა და ცხინვალის მარიონეტულ რეჟიმს უკანონო ტყვეობაში ჰყავთ საქართველოს 14 მოქალაქე, რომლებიც ბოლო ერთი წლის განმავლობაში, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ დააკავეს.

**“ისინი დააკავეს, ძირითადად, რუსეთის საოკუპაციო ძალების წარმომადგენლებმა და ამჟამად საერთაშორისო სამართლის სრული დარღვევით იმყოფებიან ცხინვალში. მიუხედავად საქართველოს ხელისუფლების და ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მცდელობებისა, ჯერჯერობით ვერ ხერხდება ამ ადამიანების გათავისუფლება და ოჯახებში დაბრუნება,"** - აცხადებს საგარეო საქმეთა სამინისტრო.

სამინისტროს შეფასებით, განსაკუთრებით აღმაშფოთებელია რუსი ოკუპანტების მიერ არასრულწლოვნების დაკავების ფაქტები. საუბარია, 2009 წლის 5 ნოემბერს რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ დაკავებულ ოთხ არასრულწლოვანზე, რომელთაგან ორი - ვიქტორ ბუჩუკური და ლევან ხმიადიშვილი ჯერ კიდევ ტყვეობაში იმყოფებიან.

საგარეო უწყების ინფორმაციით, 2009 წლის ივლისში ოკუპანტებმა დააკავეს კიდევ ერთი არასრულწლოვანი - 17 წლის გიორგი არჩვაძე, რომელიც დღესაც უკანონო პატიმრობაში რჩება.

**“მიუხედავად საქართველოს მრავალი მცდელობისა “ცხელი ხაზის" და “ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის" გამოყენებით დაემყარებინა კონტაქტი რუსეთის საოკუპაციო ძალებთან და მარიონეტული რეჟიმის წარმომადგენლებთან, ჯერ ვერ ხერხდება გიორგი არჩვაძის გათავისუფლება. აღსანიშნავია, რომ სამივე ახალგაზრდა ოკუპირებული ტერიტორიის, ან მიმდებარე რაიონების მკვიდრია. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო კატეგორიულად მოითხოვს არასრულწლოვნების დაუყოვნებლივ გათავისუფლებას. საერთაშორისო თანამეგობრობამ, განსაკუთრებით კი, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებმა და ევროსაბჭოს ადამიანის უფლებების უმაღლესმა კომისარმა უნდა გაააქტიურონ ძალისხმევა იმისათვის, რომ საერთაშორისო სამართლის სრული დარღვევით დაკავებული სამივე არასრულწლოვანი დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ,"** - აცხადებს საგარეო საქმეთა სამინისტრო, რომლის ინფორმაციით, გარდა ზემოთ ნახსენები არასრულწლოვნებისა, ცხინვალის მარიონეტულ რეჟიმს უკანონო საქართველოს თერთმეტი მოქალაქე ტყვეობაში ჰყავს, რომლებიც ასევე ოკუპირებული ტერიტორიების მკვიდრნი არიან.

დაკავებულთა შორის არის ჟენევის მოლაპარაკებების ერთ-ერთი მონაწილის გიორგი კაპანაძის ძმა - დავით კაპანაძე.

2009 წლის 31 აგვისტოს, რუსეთის საოკუპაციო ჯარების წარმომადგენლებმა ახალგორის რაიონის მცხოვრებლები დააკავეს. ერთ-ერთ დაკავებულს - ზვიად კოპალაძეს მუდმივი მკურნალობა ფსიქოტროპული პრეპარატებით და ექიმის ზედამხედველობა ესაჭიროება.

ქართული მხარე მოუწოდებს რუსეთის საოკუპაციო ძალებს, თავი შეიკავონ არამართლზომიერი და პროვოკაციული ქმედებებისგან და ადგილობრივი მოსახლეობის დევნა და მძევლად აყვანა შეწყვიტონ.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ხაზგასმით აცხადებს, რომ საქართველოს სამართალდამცველი უწყებების წარმომადგენლები ცხინვალის რეგიონის მკვიდრებს არ აკავებენ, რომლებიც კვეთენ საოკუპაციო ხაზს.

**“ინციდენტების პრევენციის და მათზე რეაგირების მექანიზმის" 14 აგვისტოს შეხვედრაზე მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ რუსეთის საოკუპაციო ძალების და ცხინვალის მარიონეტული რეჟიმის წარმომადგენლებიც ანალოგიურად მოიქცეოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ მექანიზმის მონაწილეებმა რამდენჯერმე დაადასტურეს ამ შეთანხმებისადმი ერთგულება მომდევნო შეხვედრებზე, ფაქტია, რომ რეალობაში მისი განხორციელება, სამწუხაროდ, ჯერ არ ხდება. ქართულ მხარეს მიაჩნია, რომ ომით და ოკუპაციით გახლეჩილ საზოგადოებებს შორის ნდობის აღდგენას და ადგილზე ვითარების სტაბილიზაციას ყველა დაკავებული ადამიანის უპირობოდ გათავისუფლება ხელს შეუწყობს. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ არ მოხდეს ამ საკითხის პოლიტიზირება,"** - აცხადებს საგარეო უწყება.

აღსანიშნავია, რომ ქართულმა მხარემ უკვე გაათავისუფლა ცხინვალის რეგიონის რამდენიმე მკვიდრი, რომლებიც დაკავებული იყვნენ კონკრეტული დანაშაულების ჩადენისთვის: ყაჩაღობისთვის, მოროდიორობისა და იარაღის უკანონო შენახვისთვის.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო აცხადებს, რომ ქართველმა სამართალდამცველებმა დააკავეს რუსეთის ფედერაციის 4 მოქალაქე, რომლებიც არ იყვნენ ცხინვალის რეგიონის ადგილობრივი მცხოვრებლები და რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე შემოვიდნენ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის, სავიზო რეჟიმის და ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ საქართველოს კანონის დარღვევით.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებს, რომლებიც არ არიან ადგილობრივი მცხოვრებლები, თავი შეიკავონ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთისგან და საქართველოს კანონმდებლობის დარღვევისაგან. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც საგარეო უწყება აცხადებს, საქართველოს ხელისუფლება იძულებული იქნება, ადეკვატური ზომები მიიღოს დამრღვევებთან მიმართებაში.

**“იმედს ვიტოვებთ, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის ჩარევით რუსეთის საოკუპაციო ძალები და ცხინვალის მარიონეტული რეჟიმის წარმომადგენლები უახლოეს მომავალში უკანონოდ დატყვევებულ საქართველოს მოქალაქეებს უპირობოდ გაათავისუფლებენ. საგარეო საქმეთა სამინისტროს სურს, კიდევ ერთხელ მოუწოდოს საერთაშორისო თანამეგობრობას, ძალისხმევა გაააქტიუროს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე დაკავებული საქართველოს მოქალაქეების გასათავისუფლებლად,"** - ნათქვამია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

*საკუთარი ინფორმაცია*

# რუსეთი და ამერიკა ჰაკერების წინააღმდეგ ერთად იბრძოლებენ

მარიკა იაშვილი



აშშ-მ და რუსეთმა გადაწყვიტეს, ჰაკერების წინააღმდეგ ერთად იბრძოლონ და კიბერსივრცეში უსაფრთხოების ერთობლივი წესები შეიმუშაონ. წყაროების ცნობით, მოლაპარაკებათა ფარგლებში ვაშინგტონი კომპიუტერულ შპიონაჟსა და თაღლითობაზე აკეთებს აქცენტს, მოსკოვი კი - ციფრული ტექნოლოგიების სამხედრო გამოყენებაზე.

როგორც გაზეთი "ნიუ იორკ თაიმსი" თავის საიტზე წერს, რუსულმა დელეგაციამ, უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე ვლადისლავ შერსტიუკის ხელმძღვანელობით, ვაშინგტონი ნოემბრის დასაწყისში მოინახულა და ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს, პენტაგონისა და აშშ-ს შიდა უსაფრთხოების დეპარტამენტის წევრებთან შეხვედრები გამართა.

მოლაპარაკებების შედეგებზე ოფიციალური კომუნიკე არც ერთ მხარეს არ გამოუქვეყნებია, თუმცა როგორც მედიისთვის გახდა ცნობილი, შეხვედრებზე მხარეებმა კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში ქვეყნების შესაბამისი უწყებების თანამშრომლობის საკითხები განიხილეს.

გენერალი შერსტიუკი ადრე სამთავრობო კავშირის ფედერალურ სააგენტოს ხელმძღვანელობდა, რომელიც რამდენიმე წლის წინ ფედერალური საგამოძიებო ბიუროს დაქვემდებარებაში გადავიდა. იგი რუსეთის უშიშროების საბჭოშიც საინფორმაციო უსაფრთხოებაზე აგებს პასუხს.

რუსული დელეგაციის ამერიკაში ვიზიტიდან, დაახლოებით, ორი კვირის შემდეგ ამერიკის წარმომადგენლებმა გაერო-ს უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრებთან ინფორმაციული უსაფრთხოების საკითხები განიხილეს. ამერიკულ-რუსული მოლაპარაკებების მეორე რაუნდი 2010 წლის იანვრისთვის არის დანიშნული.

ჯორჯ ბუშის დროს ამერიკის ადმინისტრაცია კიბერდანაშაულთან საერთაშორისო ბრძოლას სკეპტიკურად უყურებდა და ტექნიკური კონტროლის ეროვნულ საშუალებებს ემყარებოდა. თუმცა ბოლოდროინდელი მოვლენების გათვალისწინებით, ეს პოზიციები გადაიხედა.

ამერიკისა და რუსეთის შესაბამისი უწყებების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ამ სფეროში თანამშრომლობა ორი ქვეყნისთვის დადებითი შედეგის მომტანი იქნება. მნიშვნელოვანია, რომ მათ ერთმანეთის დადანაშაულების თავი დაანებეს და ტერორიზმის ონლაინ მხარდაჭერისგან მომავალი საფრთხე რეალურად შეაფასეს.

ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ერთ-ერთი წარმომადგენელი ანონიმურობის დაცვის პირობით აცხადებს, რომ ამერიკა და რუსეთი მომავალში კიბერ-უსაფრთხოების საკითხებზე საერთო ხედვის ჩამოყალიბებას ეცდებიან.

ვაშინგტონს, პირველ რიგში, ჰაკერებთან ბრძოლა აღელვებს. მოსკოვს კი ინტერნეტ-ტექნოლოგიების სამხედრო მიზნით გამოყენების შესაძლებლობების შემცირება სურს და მეტიც, ვრცელდება ინფორმაცია, თითქოს რუსული მხარე აპირებს, ამ სფეროში გააფორმოს ისეთივე ხელშეკრულება, როგორიც არსებობს ბირთვული იარაღის შემცირებასა და ქიმიური და ბაქტერიოლოგიური იარაღის აკრძალვასთან მიმართებაში.

სპეციალისტთა აზრით, მოსკოვსა და ვაშინგტონს ასეთი შეთანხმების გაფორმებისკენ კიბერშპიონაჟისა და კიბერდანაშაულის მზარდი საფრთხე უბიძგებთ. ეუთო-ს ექსპერტები მსოფლიო ეკონომიკისთვის ინტერნეტ შპიონაჟით, ქურდობითა და თაღლითობით ყოველწლიურად მიყენებულ ზარალს 100 მილიარდი დოლარის ოდენობით აფასებს. ერთ-ერთი ხმაურიანი სკანდალი 2008 წელს მოხდა, როდესაც ჰაკერთა ჯგუფმა "შოტლანდიის სამეფო ბანკს" 9 მილიონი დოლარი მოჰპარა.

აშშ-ს ეროვნული დაზვერვის ყოფილი დირექტორი, ადმირალი მაიკ მაკკონელი აცხადებს, რომ პენტაგონი ყოველდღიურად მათ მონაცემთა ბაზაში შეღწევის 3 მილიონ მცდელობას აფიქსირებს, სახელმწიფო დეპარტამენტი კი - ორ მილიონს. ამ თავდასხმათა უმეტესობა ზიანს არ იწვევს, თუმცა 2007 წლის ივნისში ჰაკერთა შეტევის შედეგად აშშ-ს თავდაცვის სამინისტროს თითქმის 1500 კომპიუტერი ერთი კვირით გათიშა. ამავე დროს, თანამედროვე ტექნიკური საშუალებები ყოველთვის არ იძლევა დამნაშავეების პოვნის და მით უფრო, მათ რომელიმე ქვეყანასთან კავშირის დადგენის საშუალებას.

ამ დანაშაულში თავდაპირველად ჩინელ ჰაკერებს ედებოდათ ბრალი, თუმცა იმის დადგენა, თუ რამდენად იყვნენ ისინი დაკავშირებული ოფიციალურ პეკინთან, ვერ მოხერხდა. ბრალი ედებოდათ რუს ჰაკერებსაც და ოფიციალური ვაშინგტონი აცხადებდა, რომ რუსეთი კიბერდანაშაულების აღსაკვეთად არაფერს აკეთებდა.

თავად რუსეთს ეს პრობლემა შედარებით ნაკლებად აწუხებს, რადგან იქ ინტერნეტ-ვაჭრობა დასავლეთთან შედარებით ნაკლები მასშტაბებისაა და არ არსებობს ისეთი დონის ტექნოლოგიები, რომლებიც საიდუმლოებაზე მონადირეთათვის საინტერესო იქნებოდა.

სამაგიეროდ რუსეთი ძალიან არის შეწუხებული ინტერნეტ-ომის პერსპექტივით. მით უფრო, რომ ამ გზით მოწინააღმდეგის შეიარაღებული ძალების მართვის სისტემის წყობიდან გამოყვანა, სპეციალისტთა განცხადებით, საკმაოდ მარტივი ამოცანაა.

გასული წლის ნოემბერში ჯორჯ ბუშის თხოვნით კიბერდანაშაულთან ბრძოლისთვის გამოყოფილი თანხა 40 პროცენტით გაიზარდა და 2008-2009 წლისთვის 294 მილიონი დოლარი შეადგინა. გარდა ამისა, ეროვნული უსაფრთხოების სააგენტომ და შიდა უსაფრთხოების დეპარტამენტმა დამატებით ორი ათასი სპეციალისტი დაიქირავეს, რომლებიც თანამედროვე ტექნოლოგიების გარდა, პოტენციური ჰაკერების მენტალიტეტშიც ერკვევიან.

2009 წლის მაისში ბარაკ ობამამ გააკეთა განცხადება ამერიკის ადმინისტრაციაში კიბერდანაშაულთან მებრძოლი საგანგებო ქვედანაყოფის შექმნის შესახებ, რასაც "ეროვნული უსაფრთხოების პრიორიტეტი" უწოდა.

მიმდინარე წლის ივნისში ანალოგიური, თუმცა გაცილებით მცირე მასშტაბის ორგანო ბრიტანეთშიც შეიქმნა. რუსეთში მსგავსი უწყება ჯერ კიდევ არ არსებობს.

# ბარაკ ობამას განკარგულება ციხის გამოსყიდვის შესახებ

*გაზეთ Chicago Tribune-ს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ განკარგულება გასცა ილინოისის შტატის ხელისუფლებისგან თითქმის ცარიელი, მკაცრი რეჟიმის ციხის გამოსყიდვის შესახებ. ამავე ინფორმაციით, ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლება ქალაქ ტომსონში მდებარე ციხეში გუანტანამოს პატიმრების ნაწილის გადაყვანას გეგმავს.*

უცხოური პრესის ინფორმაციით, ამჟამად გუანტანამოში 200 პატიმარია და მათი ნაწილის გასათავისუფლებლად ვაშინგტონი მზად არის. თუმცა, ეს მას შემდეგ მოხდება, რაც დანარჩენ პატიმრებს სხვადასხვა ციხეებში გადაანაწილებენ.

წლების განმავლობაში, გუანტანამოს ციხეში სასჯელს ტერორიზმში ბრალდებული, ავღანეთსა და ერაყში დაკავებული, ალ-ქაიდასა და სხვა ტერორისტული დაჯგუფებების 775-ზე მეტი მუსლიმანი იხდიდა. მათგან დაახლოებით 550 ვაშინგტონმა იმ ქვეყნებს გადასცა, რომლის მოქალაქეებიც ისინი იყვნენ. გარდა ამისა, გუანტანამოს ციხის პატიმრები პერიოდულად ამერიკის შეერთებული შტატების სხვადასხვა ოლქის ციხეში გადაჰყავდათ. გუანტანამოს სამხედრო ბაზა აშშ-ს კუბისაგან 1903 წლის დასაწყისიდან აქვს დაქირავებული, სადაც ციხე განსაკუთრებით საშიშ დამნაშავეებისათვის 2002 წლიდან განთავსდა.

ბარაკ ობამას ერთ-ერთი პირველი წინასაარჩევნო დაპირება და პრეზიდენტის პოსტზე მისი ერთ-ერთი პირველი გადაწყვეტილება, სწორედ გუანტანამოს ციხის დახურვა იყო.

**"2010 წლის იანვრისთვის გუანტანამოს ციხე დაიხურება. ეს გადაწყვეტილება მსოფლიოში აშშ-ის პრესტიჟის აღდგენისკენ მიმართული ერთ-ერთი ღონისძიება იქნება,"** - აცხადებდა პრეზიდენტი ბარაკ ობამა. გუანტანამოს ციხის დასახურად მან კონგრესს 80 მილიონი დოლარი სთხოვა. თუმცა, მაშინ კონგრესმენების უმრავლესობამ გუანტანამოს პატიმრების ფედერალურ ციხეებში გადანაწილების იდეა არ მოიწონა.

მოგვიანებით, ვაშინგტონმა ევროპულ ქვეყნებს თხოვნით მიმართა და სთხოვა, თავის ტერიტორიაზე მიეღოთ გუანტანამოს ციხის პატიმრები, რომლებიც განსაკუთრებულ საფრთხეს არ წარმოადგენდნენ. ცოტა ხნის წინ, ბარაკ ობამამ აღიარა, რომ გუანტანამოს ციხის დახურვა დათქმულ ვადაში შეუძლებელი აღმოჩნდა.

რაც შეეხება ილინოისის შტატში, ქალაქ ტომსონში მდებარე მკაცრი რეჟიმის ციხეს, რომლის გამოსყიდვის ბრძანებაც ბარაკ ობამამ გუშინ გასცა, ერთ-ერთ ყველაზე კარგად დაცულ და უსაფრთხო დაწესებულებად ითვლება. ციხე 1990 წელს აშენდა და პირველი პატიმრები 2001 წელს შეიყვანეს.

# ადვოკატები ხოდორკოვსკისა და ლებედევის პატიმრობის ვადის გაგრძელებას აპროტესტებენ

მოსკოვის საქალაქო სასამართლო "იუკოსის" ყოფილი ხელმძღვანელის მიხაილ ხოდორკოვსკისა და "მენატეპის" ყოფილი ხელმძღვანელის პლატონ ლებედევის ადვოკატების სარჩელს განიხილავენ. ადვოკატები მათი დაცვის ქვეშ მყოფი პირებისთვის პატიმრობის ვადის გაგძელებას გააპროტესტებენ. ხოდორკოვსკის ადვოკატის ვადიმ კლიუვგანის განცხადებით, მოსკოვის საქალაქო სასამართლოში მოსკოვის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებას გაასაჩივრებენ, რომლის მიხედვით, ხოდორკოვსკის და ლებედევს პატიმრობის ვადა 2010 წლის 17 თებერვლამდე გაუგრძელეს.

**"ადვოკატების განცხადებით, რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია,"** - იუწყება РИА Новости.

კლიუვგანის განცხადებით, სასამართლოს გადაწყვეტილებაში არ დევს დაკავებულების პატიმრობაში დატოვების მოტივი, ამდენად, მისთვის გაუგებარია, მოსამართლემ ხოდორკოვსკი და ლებედევი პატიმრობაში რის საფუძველზე დატოვა.

**"ჩემი დაცვის ქვეშ მყოფის მიმართ, სასამართლომ მხოლოდ რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის 255-ე მუხლი მოიყვანა, რაც სასამართლოს უფლებას აძლევს მძიმე, ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის დაკავებული პირი ყოველი სამი თვის გასვლის შემდეგ, კვლავ სამთვიან პატიმრობაში დატოვოს,"** - აღნიშნა კლიუვგანმა.

ხოდორკოვსკი და ლებედევი 2005 წელს თაღლითობისთვის, 350 მილიონი ტონა ნავთობის მოპარვისა და გადასახადების დაფარვის ბრალდებით დააკავეს და რვა წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. 2006 წელს მათ მიმართ კიდევ ერთი სისხლის სამართლის საქმე აღძრეს - 1998-2004 წლებში 450 მილიარდი რუბლისა და 7,5 მილიარდი დოლარის ლეგალიზაციის ბრალდებით. დაკავებულები ბრალდებას არ აღიარებენ, მეტიც, ხოდორკოვსკიმ სტრასბურგის სასამართლოში სარჩელი გააგზავნა.

CMYK - 8



# კოპენჰაგენის სამიტი ჩაშლის პირზეა

ივა შილაკაძე

გუშინწინ გაერო-ს სამიტს, რომელიც დედამიწაზე კლიმატის ცვლილებებთან ბრძოლას ეძღვნება, ჩაშლის საფრთხე დაემუქრა. დანიის დედაქალაქ კოპენჰაგენში საერთაშორისო კონფერენცია, დაახლოებით, ათი დღეა მიმდინარეობს და მასში 192 ქვეყნიდან 15 ათასი დელეგატი მონაწილეობს, თუმცა დაგეგმილი შედეგის მიღწევა და ამდენი ქვეყნის ინტერესების გლობალურ ინტერესებთან შეთანხმება არც ისე ადვილი აღმოჩნდა. მთავარი პრობლემა, ცხადია, დაფინანსებასა და პასუხისმგებლობის განაწილებას ეხება.

დაპირისპირება გამძაფრდა სწორედ დასასრულისკენ, როდესაც კონფერენციის მუშაობაში სახელმწიფოების მეთაურები უნდა ჩართულიყვნენ. მათ კოპენჰაგენში სამშაბთიდან ელოდებოდნენ, მთავარი ჩავარდნა კი ორშაბათს იყო, როდესაც 135 სახელმწიფოს დელეგაციამ სამიტის მუშაობაში მონაწილეობაზე უარი თქვა და მთელი დღე არაფორმალურ ვითარებაში მხოლოდ პროტოკოლურ საკითხებს განიხილავდნენ.

განვითარებული ქვეყნების წინააღმდეგ გაილაშქრეს, ძირითადად, აფრიკის ქვეყნებმა და ჩინეთმა. ეს ქვეყნები მიიჩნევენ, რომ ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფოები მათ წინააღმდეგ "შეთქმულებას" აწყობენ. გუშინ მოხერხდა სამიტის მუშაობის განახლება, როდესაც ორივე მხარე გარკვეულ დათმობებზე წავიდა. დღეს ამ სფეროს აწესრიგებს 1997 წელს ხელმოწერილი კიოტოს პროტოკოლი, რომელსაც მოქმედების ვადა 2012 წელს ეწურება. განვითარებად ქვეყნებს მიაჩნიათ, რომ ძალაში უნდა დარჩეს კიოტოს პროტოკოლით გათვალისწინებული ვალდებულებები განვითარებული ქვეყნებისთვის (ეს ვალდებულებები, აშშ-ს გარდა, ყველა ძლიერ სახელმწიფოს ეკისრება) და მას ახალი ხელშეკრულებით სხვა სახელმწიფოებიც უნდა შეუერთდნენ. განვითარებული ქვეყნები კი მართებულად მიიჩნევენ საერთოდ ახალი ხელშეკრულების შემუშავებას, რომლის შავი ვარიანტიც გასული პარასკევისთვის მომზადდა კიდეც, მაგრამ მან, როგორც ვხედავთ, ბევრი სახელმწიფო არ დააკმაყოფილა.

გუშინ ჩინეთის წარმომადგენელმა მიანიშნა (ის ფორმალურად განვითარებად სახელმწიფოდ მიიჩნევა), რომ არც ერთ დოლარს არ აიღებს მდიდარი ქვეყნების მიერ შექმნილი საერთაშორისო ფონდიდან და თვითონ დააფინანსებს საკუთარ ქვეყანაში მავნე გამონაბოლქვის შესამცირებელ ღონისძიებებს. არადა ჩინეთი ამ გამონაბოლქვით მსოფლიო ლიდერია. შეერთებულ შტატებს ჩინეთისგან სწორედ ამის გაგონება სურდა. აშშ-ს წარმომადგენელმა რობერტ გიბსმა განაცხადა, რომ ზოგი საკითხი ალბათ გარკვეული ხნის განმავლობაში გადაუწყვეტელი დარჩება და მის შეთანხმებას დრო დასჭირდება, მაგრამ ამერიკა და მისი პრეზიდენტი განწყობილნი არიან შეთანხმების მისაღწევად, რაც ქვეყნებს ნორმალურ და შესრულებად ვალდებულებებს დააკისრებს.

გაერო-ს გენერალურმა მდივანმა ბან კი მუნმა კი განაცხადა, რომ დრო არ ითმენს. მისი სიტყვებით, **"თუ ყველაფერი ძველებურად დარჩება და სახელმწიფოს მეთაურებს ბოლო მომენტში მოუწევთ [პოლიტიკური] გადაწყვეტილების მიღება, შეიძლება მივიღოთ სუსტი ხელშეკრულება ან საერთოდ შეთანხმების გარეშე დავრჩეთ, ეს კი ფიასკო იქნება და მას შეიძლება კატასტროფული შედეგები მოჰყვეს".**

მწვანეები და ამ სფეროში ერთ-ერთი ძლიერი საერთაშორისო ორგანიზაცია "გრინპისი" მიჩნევენ, რომ უმნიშვნელოა ის ზომები, რასაც დასავლეთის სახელმწიფოები მსოფლიოს სთავაზობენ. მთელი ევროპიდან დანიაში ჩასული მწვანეთა აქტივისტები - დაახლოებით, 40 ათასი კაცი - კოპენჰაგენში აქციებს მართავენ. ზოგი მათგანი არცთუ მშვიდობიანი იყო, დაიწყეს შუშების ჩალეწვა და მანქანების დაწვა, რის გამოც დანიის პოლიციამ შაბათს და კვირას რამდენიმე ასეული ადამიანი ერთი დღით დააკავა.



# ნატო-ს გენერალური მდივანი რუსეთში

თამთა კახაძე

გუშინ რუსეთში დაიწყო ნატო-ს გენერალურ მდივან ანდერს ფოგ რასმუსენის ვიზიტი, რომლის მიზანსაც რუსეთთან უთანხმოებების დაძლევა და ავღანეთში თანამშრომლობის გაფართოება წარმოადგენს.

სამდღიანი ვიზიტის ფარგლებში რასმუსენი შეეცდება, გააგრძელოს მოლაპარაკებები სრულფორმატიანი თანამშრომლობის აღდგენაზე, რის შესახებაც მხარეები თითქმის შეთანხმდნენ 4 დეკემბერს რუსეთ-ნატოს შეხვედრის დროს.

ნატო-მ რუსეთის მიერ 2008 წლის ზაფხულში საქართველოსთან წარმოებული ომი დაგმო, რის შემდეგადაც ალიანსის ურთიერთობა რუსეთთან, რომელიც იოლი არც არასდროს ყოფილა, რამდენიმე თვის განმავლობაში მთლიანად გაიყინა.

ამ წლის აგვისტოში ნატო-ს გენერალური მდივნის თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ ერთ-ერთი პირველი გამოსვლის დროს დანიის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა რუსეთთან ურთიერთობების განახლებას დაუჭირა მხარი.

ყველაზე მეტად ნატო მოწადინებულია, რომ რუსეთი რაც შეიძლება მეტად ჩაერთოს ავღანეთის სტაბილიზაციის პროცესში: ნატო მიიჩნევს, რომ რუსეთი ამ მხრივ სათანადო აქტიურობას არ იჩენს.

**"ვფიქრობ, რუსეთი და ნატო მოიგებენ, თუ ისინი მჭიდროდ ითნამშრომლებენ. უსაფრთხოების საკითხში ჩვენი გამოწვევები უმთავრესად ერთმანეთს ემთხვევა,"** - ეს განცხადება რასმუსენმა სოციალურ ქსელ "ფეისბუკზე" პირად გვერდზე გააკეთა. მოსკოვი თალიბების საქმიანობას საკუთარ საფრთხედაც მიიჩნევს და მზად არის, მათ წინააღმდეგ ბრძოლაში ნებისმიერი ფორმით დაეხმაროს ნატო-ს ხელმძღვანელობით საერთაშორისო ძალებს, გარდა ავღანეთში საკუთარი ჯარისკაცების გაგზავნისა. მისიაში მონაწილეობაზე უარი ნაწილობრივ განპირობებულია ავღანეთში 1979-89 წლებში რუსეთის მიერ განცდილი მარცხით. რუსეთი ნატო-ს ახლანდელ კამპანიასა და საბჭოთა კავშირის ოპერაციას შორის გარკვეულ პარალელებს ხედავს და ამიტომაც არ სურს მონაწილეობის მიღება იმ საქმეში, რომლის წარმატებით დასრულებაშიც ეჭვი ეპარება.

რუსეთი დათანხმდა ნატო-ს ტვირთის ტრანზიტს. ასევე წვრთნის ავღანეთის ძალებს ნარკოტიკებთან ბრძოლაში, თუმცა ნატო-ში მიიჩნევენ, რომ ეს საკმარისი არ არის. სასურველია, მოსკოვმა მეტი დახმარება გაუწიოს ავღანეთის არმიას და ეს უანგაროდ გააკეთოს, - განაცხადა ალიანსის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა. კერძოდ, ნატო-ს წარმომადგენელის თქმით, ავღნეთის არმიას სჭირდება რუსული ვერტმფრენები, ავტომატები, არტილერია და საწვავი. თან ეს ყველაფერი სწორედ უფასოდ. **"რუსეთს აქვს კარგი შესაძლებლობა, დაგვანახოს, რომ დაინტერესებულია ჩვენი დახმარებით. და მათ რაც არ უნდა ბევრი გააკეთონ, ნატო მაინც იტყვის: "გააკეთეთ უფრო მეტი"**, - განცხადა დიპლომატმა, რომელმაც ვინაობის გამჟღავნება არ ისურვა.

**"ნატო-სთვის ეს პრიორიტეტია. ჩვენ გვინდა, კარგი ურთიერთობა გვქონდეს რუსეთთან, თუმცა მასთან რეალური პრაქტიკული ურთიერთობა უფრო გვსურს, ვიდრე სასიამოვნო დიკუსიები ფილოსოფიურ საკითხებზე,"** - აღნიშნა ანონიმმა დიპლომატმა.

რუსეთსაც აქვს პრეტენზიები ნატო-სთან. ის არასდროს მალავდა თავის უარყოფით დამოკიდებულებას ალიანსის აღმოსავლეთით გაფართოების მიმართ. ნატო-მ უკვე "ჩაყლაპა" საბჭოთა კავშირის ყველა ყოფილი სატელიტი აღმოსავლეთ ევროპაში და ბალტიის ქვეყნები. რუსეთს განსაკუთრებით აშფოთებს ნატო-ში საქართველოსა და უკრაინის გაწევრიანების პერსპექტივა. იმ ფაქტმა, რომ ბოლო დროს ამ ქვეყნების ინტეგრაციის პროცესი დამუხრუჭდა (შენელდა), ალიანსს და რუსეთს შორის ურთიერთობის დათბობას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი.

რუსეთის პრეზიდენტმა დმიტრი მედვედევმა ნატო-ს შესთავაზა ევროპის უსაფრთხოების შესახებ ახალი შეთანხმების დადება, თუმცა ნატო ამას ეჭვით უყურებს და მას ალიანსის გაყოფის და დასუსტების მცდელობად აღიქვამს.

"არ ვარ დარწმუნებული, რომ ამ ახალ ინიციატივებს იმ ფორმით მიიღებენ, როგორც ის რუსეთმა წამოაყენა," - განაცხადა ამერიკელმა პოლიტოლოგმა დიმიტრი აფანასიევმა. თუმცა, ექსპერტი ხელშეკრულების პერსპექტივას ოპტიმიზმით უყურებს.

**"მოლაპარაკებები, რომლებსაც ორიოდე კვირის წინ თვალყურს ვადევნებდით, ნათლად გვაჩვენებს, რომ ნატო-ს დამოკიდებულება დადებითია. ნატო მზად არის ამ საკითხზე დისკუსიისა და მოლაპარაკებებისთვის. შესაძლოა, გარკვეულ შეთახმებას მიაღწიონ კიდეც,"** - განაცხადა ექსპერტმა.



CMYK - 8

# რევიუ

## "ოქროს გლობუსის" ნომინანტები




*კადრი ფილმიდან "მაღლა ცაში"*

ჰოლივუდის უცხოელი კინოჟურნალისტების ასოციაციამ 2009 წლის "ოქროს გლობუსის" ნომინანტები დაასახელა. ამრიგად გამოიკვეთა ის ფილმები და მსახიობები, რომლებიც შესაძლოა "ოსკარის" ნომინაციებშიც ვიხილოთ, რადგან, როგორც წესი, ამ ორი დაჯილდოვების ფავორიტები ერთმანეთს ემთხვევა ხოლმე. "ოსკარის" ნომინანტების ჩამონათვალს ერთი თვის შემდეგ გაგვაცნობენ, მანამდე კი "გლობუსზე" წარდგენილებს გადავხედოთ.

ნომინაციათა რაოდენობით ორი წლის წინანდელი კინოსასწაულის "ჯუნის" რეჟისორის, ჯეისონ რეიტმანის ფილმი "მაღლა ცაში" (Up in the Air) ლიდერობს, რომლის ოფიციალური პრემიერაც 25 დეკემბერსაა დანიშნული. ფილმმა ექვსი ნომინაცია მოიპოვა: საუკეთესო დრამა, სცენარი, რეჟისორი და სამი ნომინაცია პირველ და მეორეხარისხოვანი როლებისთვის (ჯორჯ კლუნი, ვერა ფარმიგა და ანა კენდრიკი).

საუკეთესო ფილმის ნომინაციაში წელს ნამდვილი ჯახი იქნება, რადგან ხუთიდან ერთ-ერთი ჯეიმს კამერონის "ავატარია". მართალია, ეკრანებზე ჯერ არც ეს ფილმი გამოსულა, მისი ნომინაციაში მოხვედრა უკვე ნიშნავს, რომ წინ საუკეთესო სანახაობა გველის - სწორედ ისეთი, როგორიც კამერონს ჩვევია. მას ჯეისონ რეიტმანის ფილმის გარდა კონკურენციას უწევს ყოფილი მეუღლის, კეტრინ ბიგელოუს სამხედრო დრამა The Hurt Locker (საინტერესოა, რომ ყოფილი ცოლ-ქმარი ერთმანეთს რეჟისორის ნომინაციაშიც უპირისპირდებიან). არანაკლებ სავარაუდოა კვენტინ ტარანტინოს "უსახელო ნაბიჭვრების" გამარჯვებაც, რომელიც ასევე ამ ნომინაციის ლიდერთა შორისაა მოხსენიებული.

კამერონისა და ბიგელოუს დუეტს (უფრო კი ყოფილ დუეტს) საუკეთესო რეჟისორის ნომინაციაში ტარანტინოც დაუპირისპორდება, რომელმაც წელს მართლაც რომ შესანიშნავი ფილმი შემოგვთავაზა - სატირული დრამა ფაშიტებისა და და მათთან მებრძოლი ნაბიჭვრების შესახებ. ფილმი ნელი მოქმედების ბომბს უფრო მოგაგონებთ, რომლის ფითილიც ორი საათის განმავლობაში ნელ-ნელა იწვის, რათა ფინალში მძლავრი აფეთქება გამოიწვიოს. ამავე ნომინაციაზეა წარდგენილი კლინტ ისტვუდი ფილმისთვის Invictus.

დრამაში ქალის მთავარი როლის შესრულებისთვის ერთმანეთს ემილი ბლანტი, სანდრა ბალოკი, ჰელენ მირენი, კერი მულიგანი და გებორი სიბიდი დაუპირისპირდებიან. საინტერესოა, რომ სანდრა ბალოკის გვარი კიდევ ერთგან, მიუზიკლში ან კომედიაში ქალის მთავარი როლის შემსრულებელთა ნომინაციაში იკითხება - ამჯერად კომედიისთვის "შეთავაზება", რაც ამ მსახიობის შანსს აორმაგებს. ორმაგი შანსი აქვს დიდებულ მერილ სტრიპსაც. იგი აღნიშნულ ნომინაციაში ორი ფილმითაა წარდგენილი: "ეს რთულია" და "ჯული და ჯულია". ეს უკანასკნელი ქართულ კინოსაიტებზე დიდი ხანია დევს და მაყურებელს ჰქონდა საშუალება კიდევ ერთხელ დარწმუნებულიყო, რომ მერილ სტრიპი გენიალური მსახიობია. იგი რეალური პიროვნების, ამერიკის კულინარიის დედოფლად აღიარებული ჯულია ჩაილდის სახეს ქმნის და ამას რაღაც წარმოუდგენელი მეთოდით ახერხებს. სტრიპი ჩერჩეტი, ცანცარა, ერთი უნიათო ქალის როლს ასრულებს, რომელიც უდიდეს უნარს ფლობს, იყოს საუკეთესო, ყველასთვის საყვარელი და ამავდროულად საინტერესო პიროვნება. მერილ სტრიპის კონკურენტები სანდრა ბალოკის გარდა ამ ნომინაციაში არიან ჯულია რობერტსი და მარიონ კოტიარდი ფილმიდან "ცხრა".

თავად "ცხრა" კი საუკეთესო მიუზიკლის ან კომედიის ნომინაციას ლიდერობს. მასთან გაჯიბრება მოუწევს "ზაფხულის 500 დღეს", "ნაბახუსევს", "ეს რთულიას" და "ჯული და ჯულიას". მამაკაცის საუკეთესო როლისთვის წარდგენილია "ცხრის" ვარსკვლავი დენიელ დეი ლუისი, ასევე მეტ დეიმონი, რობერტ დაუნი უმცროსი და ჯოზეფ გორდონ ლუიტი. დრამატული როლის შექმნაში კი ერთმანეთის კონკურენტები ჯეფ ბრიჯესი, უკვე ნახსენები კლუნი, კოლინ ფირტი, მორგან ფრიმანი და ტობი მაგუაირი არიან.

## ჰიუ გრანტის ალღო



ბრიტანელმა კინომსახიობმა ჰიუ გრანტმა აღიარა, რომ ნასვამი იყო, როდესაც აუქციონზე ენდი უორჰოლის (Andy Warhol) მიერ 1963 წელს შესრულებული ნამუშევარი, ელიზაბეტ ტეილორის პორტრეტი 3,5 მილიონ დოლარად შეიძინა. ამის შესახებ ინფორმაციას The Daily Mail-ი ავრცელებს.

2001 წლის შემთხვევითმა შენაძენმა მსახიობი საგრძნობლად გაამდიდრა: გრანტმა ექვსი წლის შემდეგ მასში 13 მილიონი ფუნტი მიიღო, რაც გადახდილს 11 მილიონით აღემატება. ბეჭდური მედიაში აღნიშნავდნენ, რომ უორჰოლის ყიდვით გრანტმა ხელოვნების ნიმუშების შეძენის ალღო გამოავლინა, მისი გაყიდვით კი - არტ-ბაზრის ტენდენციების მცოდნეც აღმოჩნდა.

ჰიუ გრანტმა აღიარა, რომ თანაშემწეს Sotheby-ს აუქციონზე მონაწილეობა და ტეილორის პორტრეტის შეძენა მასთან ერთად ორდღიან ქეიფში ყოფნისას თხოვა. ის განრისხდა, როდესაც მისი თანაშემწე ზუსტად ისე მოიქცა, როგორც დაუბარა. ახლა კი დაენანა კიდეც იმის გაყიდვა, რამაც მილიონები მოაგებინა.

1960-იან წლებში ენდი უორჰოლმა ელიზაბეტ ტეილორის რამდენიმე გამოსახულება შექმნა. ვიდრე ჰიუ გრანტი სიმთვრალეში შეძენილს 13 მილიონ ფუნტად გაყიდდა, ტეილორის ძვირადღირებულ პორტრეტად Sotheby's აუქციონზე 12,6 მილიონ დოლარად გაყიდულ ნამუშევარს მიიჩნევდნენ.

ეს კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ უორჰოლის ნამუშევრები სარფიანად იყიდება და კოლექციონერები მათთვის ფულს არ იშურებენ. 2007 წლის მაისში მისი "მწვანე მანქანის ავარია" ნიუ იორკში Christie's აუქციონზე 71,7 მილიონად გაიყიდა.

პროდუქტიული მხატვრის ნამუშევრების გაყიდვებზე დაკვირვება აწარმოეს და გამოითვალეს, რომ 1962 წლიდან მოყოლებული მათი ფასი 60 ათასჯერ გაძვირდა. მაგალითად, 2007 წელს ამერიკელმა კოლექციონერმა ლონდონის Christie's აუქციონზე 15 მილიონ დოლარად გაყიდა "ლიმონისფერი მერლინი", რომელიც 1962 წელს 25 დოლარად შეიძინა. მაშინ კოლექციონერის ვინაობა არ გაამჟღავნეს. ცნობილი გახდა მხოლოდ ის, რომ მან ნაწარმოები შეიძინა ნიუ იორკის Stable Gallery-ში, სადაც უორჰოლის პირვეი პერსონალური გამოფენა გაიმართა. 2006 წლის ნოემბერში კი "ფორთოხლისფერი მერლინი" Christie's აუქციონზე 16,2 მილიონ დოლარად გაიყიდა.

ეს ამერიკელი მხატვარი იმდენად პოპულარულია, რომ აუქციონებზე მისი ნამუშევრების პარალელურად პირად ნივთებსაც "ეტანებიან". უორჰოლის პარიკი 10,8 ათას დოლარად შეიძინეს. მან პარიკების ტარება პირველად 1960-იან წლებში დაიწყო.



## აფიშა

**16 დეკემბერი**

**კონსერვატორია**

XII საერთაშორისო ფესტივალი "საახალწლო მუსიკალური შეხვედრები"
(დიდი დარბაზი)
დასაწყისი: 19:00

ვოკალური მუსიკის კონცერტი
სოლისტები - მაყვალა ქასრაშვილი (სოპრანო), ბადრი მაისურაძე (ტენორი), ქეთევან ქემოკლიძე (მეცო სოპრანო) ;
თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ორკესტრი ;
დირიჟორი - ზაზა აზმაიფარაშვილი
პროგრამაშია: ვაგნერის, ლაღიძის, ვერდის, მასკანის, სენ-სანსის, როსინის, პუჩინის, ჩილეას საოპერო ნაწარმოებები
(მცირე დარბაზი)
დასაწყისი: 19:00

**თეატრი**

**რუსთაველის თეატრი**
"მტრის ნიღაბი"
(მცირე სცენა)
დასაწყისი: 19:45

**მარჯანიშვილის თეატრი**
"ერთხელ მხოლოდ ისიც ძილში"
(თეატრი სხვენში)
დასაწყისი: 20:00

**თავისუფალი თეატრი**
"ირმის უკანასკნელი ბღავილი"
(სოხუმის თეატრის სპექტაკლი)
დასაწყისი: 19:00

**კინო**

**რუსთაველი**

**"გოგონა სლაიდიდან"**
დასაწყისი: 12:00, 15:00, 17:30, 20:00, 22:15
(დარბაზი 1)
**"პლანეტა 51"**
დასაწყისი: 12:00, 14:00, 16:00, 18:00, 20:00, 21:30
(დარბაზი 2)
**"ყველაფერი კარგად იქნება"**
დასაწყისი: 12:30, 16:15, 20:15
**"გაღმა ნაპირი"**
დასაწყისი: 14:15, 18:15, 22:15
(დარბაზი 3)
**"ამანათი"**
დასაწყისი: 12:15, 14:30, 17:00, 19:30, 22:00
(დარბაზი 4)
**"2012"**
დასაწყისი: 13:00, 16:00, 19:00, 22:00
(დარბაზი 5)

**ამირანი**

**"გოგონა სლაიდიდან"**
დასაწყისი: 12:00, 14:30, 17:00, 19:30, 22:00.
(დიდი დარბაზი)
**"2012"**
დასაწყისი: 12:00, 17:30
**"ახალი მთვარე"**
დასაწყისი: 15:00, 20:00, 22:15
(მცირე დარბაზი

# 20 წუთი "მობი დიკის" წასაკითხად

## გამოვიდა ლიტერატურული შედევრების მოკლე შინაარსების ორტომეული

ია ვეკუა

ბავშვობიდან ყველას ჩვენი "კოშმარული" მოგონებები შემოგვრჩა: ზოგს ცუდი ნიშნის მიღების განცდა ახსოვს, ზოგს - კუთხეში გატარებული საათები, ზოგსაც შესაძლოა დღემდე ელანდება იმ სქელტანიანი წიგნების მორუხო ყდები, რომლებიც როგორც კლასგარეშე საკითხავი უნდა წაეკითხა. ჩემი კოშმარი ჰერმან მელვილის "მობი დიკი ანუ თეთრი ვეშაპი" იყო, რომლის ასობით გვერდისგან შეკრული გამოცემა ხან ვედრებით, ხანაც მუქარით მთხოვდა, წამეკითხა. თანამედროვე ბავშვებს კი მსგავსი განსაცდელი აღარ ელით - მათ "მობი დიკის" ანუ მისი მოკლე შინაარის წაკითხვა სულ რაღაც 15-20 წუთში შეუძლიათ. ამის საშუალებას კი ახალი გამოცემა "ლიტერატურული შედევრები" იძლევა.

გამოცემა ორტომეულია და ქართულ და უცხოურ ლიტერატურას მოიცავს. როგორც შემოქმედებითი ჯგუფის ხელმძღვანელმა გია მურღულიამ აღნიშნა, კრებულების შედგენისას რამდენიმე მთავარი პრინციპით მოქმედებდნენ: უნდა შეერჩიათ სხვადასხვა ეპოქის, ჟანრისა და ქვეყნის ლიტერატურა, რაც არა მხოლოდ კრებულების მრავალფეროვნებას განაპირობებდა, არამედ ექნებოდა პრეტენზია მაქსიმალურად მოეცვა ქართული და მსოფლიო ლიტერატურა.




აღნიშნული რპოექტი არ გახლავთ ორიგინალური, ის მსოფლიოს არა ერთ ქვეყანაში აპრობირებულ და დანერგილ მეთოდს წარმოადგენს. მაგალითად, ამერიკაში მსგავსი ტიპის გამოცემები ჯერ კიდევ 50 წლის წინ გაჩნდა და როგორც კვლევები ცხადყოფს, არ მოუტანია ის შედეგი, რომლისაც ალბათ ყველაზე მეტად უნდა გვეშინოდეს - მკითხველის გაზარმაცება. ამასთან დაკავშირებით მოსაზრება აქვს გია მურღულიასაც: "ნამდვილად ვერ დავიკვეხნით, რომ საქართველოში კითხვისადმი ინტერესს მაღალი მაჩვენებელი აქვს და მკითხველი ბიბლიოთეკებისკენ ნაკადებად მიედინება. ამრიგად, ეს გამოცემა მკითხველს იმაზე მეტად ვერ გააზარმაცებს, რამდენადაც უკვე არის. პირიქით, ვფიქრობ, შინაარსის გაცნობა ადამიანს ნაწარმოების გაცნობის სურვილს აღუძრავს. ცხადია, მოკლე შინაარსი ვერასდროს შეცვლის მთლიან ნაწარმოებს, მაგრამ მას მაინც აქვს თავისი დატვირთვა - ეს არის ლიტერატურის სწრაფი გაცნობის გზა, რაც ჩვენს აჩქარებულ ცხოვრებაში განსაკუთრებით აქტუალურია. ამ კრებულების გაცნობის შემდეგ პოტენციერ მკითხველს აქვს არჩევანის საშუალება, გაეცნოს იმ ნაწარმოებს, რომლის შინაარსმაც განსაკუთრებით დააინტერესა. ნებისმიერი ნაწარმოების მოკლე შინაარსის დაწერა ნიშნავს, რომ მას სიღრმისეულად უნდა ჩაწვდე, გულამდე მიხვიდე. ვფიქრობ, ლიტერატურის მოყვარულებს ეს ორტომეული ამ კუთხითაც დაინტერესებს."

ორტომეულის ქართულ კრებულს იაკობ ხუცესის "წმინდა შუშანიკის წამება" ხსნის, მკითხველი კი თანამედროვე ენით აღწერილი ამბის მომსწრე ხდება. მას მოდევს უცნობი ავტორის კიდევ ერთი ჰაგიოგრაფიული ნაწარმოები "სიბრძნე ბალაჰვარისა", "წმინდა აბოს წამება", "წმინდა ნინოს ცხოვრება", "გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება" და ამავე ჟანრის სხვა ნაწარმოებები. ცხადია, აქვეა "ვეფხისტყაოსანიც", რომლის მოკლე შინაარსის ავტორსაც ალბათ დიდი ჯაფა დასჭირდა, რომ ამ დიდებული ნაწარმოების მთავარი ხაზი მაქსიმალური სიზუსტით გადმოეცა. შეიძლება ითქვას, რომ "ლიტერატურული შედევრების" ქართული კრებული პრაქტიკულად ყველა იმ ავტორსა და ნაწარმოებს მოიცავს, რომლებსაც სიტყვა "შედევრი" ყოველგვარი ზედმეტი განმარტების გარეშე მიესადაგება: სულხან-საბა ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ალექსანდრე ყაზბეგი, ვაჟა-ფშაველა და ასე შემდეგ. კრებულში ასევე თავმოყრილია მე-20 საუკუნის ნაწარმოებებიც: "დიდოსტატის მარჯვენა", "დათა თუთაშხია", "ყოველმან ჩემმან მპოვნელმან" "სამოსელი პირველი" და სხვა. აქვეა ჯემალ ქარჩხაძის, ნაირა გელაშვილის, ზაალ სამადაშვილის, კოტე ჯანდიერისა და აკა მორჩილაძის ნაწარმოებებიც.

ცხადია გაცილებით მოცულობითია "ლიტერატურული შედევრების" უცხოური კრებული, რომელიც ჰომეროსის "ილიადათი" იწყება და ჰარუკი მურაკამის "დენს, დენს. დენსით!" მთავრდება. კრებულის შემდგენლებმა მართლაც დიდი შრომა გასწიეს, რათა მისით ნებისმიერი გემოვნებისა და ლიტერატურული მოთხოვნილებების მქონე მკითხველი დაინტერესებულიყო. აქ შეხვდებით ევრიპიდეს "მედეას", შექსპირის "რომეო და ჯულიეტას", ფრანსუა რაბლეს "გარგანტუა და პანტაგრუელს", შილერის "ყაჩაღებს", ბაირონის "დონ ჟუანს", ბალზაკის "შაგრენის ტყავს", გოგოლის "მკვდარ სულებს", "თორმეტ სკამს", "ანა კარენინას", "ძმებ კარამაზოვებს", "თოლიას", კნუტ ჰამსუნის "შიმშილს", ო`ჰენრის, მიგელ დე უნამუნოს, სომერსეტ მოემს, ჯეიმს ჯოისს, კაფკას, ბულგაკოვს, ფოლკნერს, ეგზიუპერს, სელინჯერს, მარკესს და უამრავ სხვას.

# სტუდენტ მხატვართა წარმატება ფლორენციაში

სოფო ჩიხლაძე

ფლორენციის საერთაშორისო ფესტივალზე "DEGREE & PROFESSION", საქართველოს თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხუთი სტუდენტი წარმოადგენდა. მათგან ერთმა გრანპრი მიიღო, მეორე კი იტალიის პრეზიდენტის მედლით დაჯილდოვდა.

"DEGREE & PROFESSION" ორგანიზაცია "რომუალდო დელ ბიაკოს ფონდის" ერთ-ერთი უმთავრესი ინტერდისციპლინარული, ინტერკულტურული და საერთაშორისო პროექტია. თავად ორგანიზაციაში დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის, ამერიკისა და აზიის 500-მდე უნივერსიტეტი არის გაწევრიანებული. ფონდის მიზანია, ხელი შეუწყოს ქვეყნებსა და კულტურებს შორის ცოდნის გაზიარებას, სტუდენტთა, პროფესორთა და ახალგაზრდა მეცნიერთა მონაწილეობას საერთაშორისო ინტეგრაციის პროგრამებში, ვორქშოფების, "Smart"-პრეზენტაციების, კონფერენციებისა და სიმპოზიუმების საშუალებით.



ფლორენციიდან დაბრუნებული გრანპრისა და მედლის მფლობელი ქართველი ახალგაზრდები, რომლებმაც თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია მიმდინარე წელს დაამთავრეს, ამ სასწავლებელში გამართულ ღონისძიებაზე აკადემიის ხელმძღვანელობამ საზოგადოებას გუშინ წარუდგინა... "DEGREE & PROFESSION" - სადიპლომო ნამუშევრების კონკურსში საკმაოდ ავტორიტეტული ჟიურის გადაწყვეტილებით, გრანპრი და ფულადი ჯილდო 4000 ევროს ოდენობით თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მედიახელოვნების ფაკულტეტის კურსდამთავრებულს სოფიო გოგოლაძეს გადაეცა. **"ნომინაციაში "ჭკვიანური წარდგენა", რომელშიც ვმონაწილეობდი, სხვადასხვა ქვეყნებიდან პირველობისთვის 33 კონკურსანტი ვიბრძოდით, მე გრანპრი ავიღე... პროექტი შეიძლება კარგი იყოს, მაგრამ საჭიროა, ის ჭკვიანურად და სწორად გააცნო ჟიურის, რასაც ის დიდ ყურადღებას აქცევს... თავდაპირველად პროექტი სხვაგვარად მქონდა ჩაფიქრებული, მაგრამ საბოლოოდ მან ეკოლოგიური პროექტის, სახელწოდებით "ბაღი ცაში", სახე მიიღო. მაღალსართულიანი სახლის სახურავზე განლაგებულია რამდენიმე სახეობის ბაღი. თემა დღეისათვის ძალიან აქტუალურია და გარკვეულწილად ალბათ გამარჯვებაში ეს ფაქტორიც დამეხმარა. გრანპრის მოპოვება ძალიან სასიამოვნო მოულოდნელობა იყო,"** - გვითხრა სოფიო გოგოლაძემ.

აღსანიშნავია, რომ ხუთივე ქართველი ერთ ნომინაციაში მონაწილეობდა. ფლორენციაში გამართულ ფესტივალზე იტალიის პრეზიდენტის მედალი თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მედიახელოვნების ფაკულტეტის კურსდამთავრებულ სოფიო ანთიძეს გადაეცა. **"ჩემს სადიპლომო ნამუშევარს, რომელიც ფლორენციის ფესტივალზე წარვადგინე, ეწოდება "ბავშვის წარმოსახვითი სამყარო". ეს არის ცოტა ფსიქოლოგიური და ცოტა ანიმაციური თემა. ალბათ ყველაზე საინტერესო, რამაც ამ ნამუშევარს წარმატება მოუტანა, ის გახლდათ, რომ არქიტექტურული პროექტი ორი ტიპის - ძველი და თანამედროვე ტიპის ანიმაციით მოვამზადე. ჩვენ 7 წუთი გვქონდა და ამ დროში პროექტის ჩვენებაც უნდა მოგესწრო, საკუთარი თავის წარდგენაც და იმის განმარტებაც, თუ რას ისახავდა მიზნად პროექტი. მიხარია, რომ საბოლოო ჯამში კომპეტენტური ჟიურის გადაწყვეტილებით იტალიის პრეზიდენტის მედალი მე გადმომეცა,"** - აღნიშნა სოფიო ანთიძემ.

თბილისის სამხატვრო აკადემია "რომუალდო დელ ბიაკოს ფონდთან" უკვე 4 წელია თანამშრომლობს, თუმცა სადიპლომო ნამუშევრების კონკურსში - "DEGREE & PROFESSION" მონაწილეობა სამხატვრო აკადემიის სტუდენტებმა წელს მეორედ მიიღეს და ორივეჯერ შინ გამარჯვებულები დაბრუნდნენ. ამავე კონკურსში წარმატებები მოიპოვეს აკადემიის კურსდამთავრებულებმა, შორენა ოთხოზორიამ და სოფო ჩხენკელმა.

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის რექტორმა გია ბუღაძემ გუშინდელ ღონისძიებაზე განაცხადა, რომ ამ ახალგაზრდებმა ისეთ წარმატებას მიაღწიეს, რომელიც წარმოუდგენელიც კი იყო... აკადემიის რექტორმა დაფინანსების პრობლემაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ კაპიკს კაპიკზე დებენ, რათა სამხატვრო აკადემიის ნიჭიერმა და პერსპექტიულმა სტუდენტებმა სხვადასხვა უცხოურ კონკურსებში მიიღონ მონაწილეობა. არის შემთხვევები, როცა სტუდენტები კონკურსებზე საკუთარი სახსრებით მიდიან და ასახელებენ როგორც ქვეყანას, ისე ქართულ სამხატვრო სკოლას... **"ეს ძალიან სერიოზური წარმატებაა. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ახალგაზრდები, რომლებმაც "DEGREE & PROFESSION" კონკურსში გამარჯვება მოიპოვეს, გმირები არიან. ფლორენციაში მიღწეული წარმატება იმ გეგმაზომიერი და თანმიმდევრული პოლიტიკის შედეგია, რომელსაც თბილისას სახელმწიფო სამხატვრო აკადემია წლების განმავლობაში ახორციელებდა და ეს მომავალშიც გაგრძელდება... DEGREE & PROFESSION კონკურსში მსოფლიოს წამყვანი სასწავლებლებიდან 300-ზე მეტი სტუდენტი მონაწილეობდა, ზოგი ქვეყანა 25-30 სტუდენტით იყო წარმოდგენილი, საქართველოდან მხოლოდ 5 სტუდენტი იყო ჩასული. შედეგები ყველასთვის ნათელია... ეს არის უდიდესი წარმატება. კონკურსზე მხოლოდ ნამუშევრების პრეზენტაცია არ ხდება, იქ არის ძალიან სერიოზული ინტელექტუალური ჭიდილი, სადაც ჩვენ გავიმარჯვეთ..."** - ამბობს თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის რექტორი გია ბუღაძე.

აღსანიშნავია, რომ "DEGREE & PROFESSION" კონკურსის ორივე გამარჯვეპულის სადიპლომო ნამუშევრის ხელმძღვანელი გახლავთ სამხატვრო აკადემიის მედიახელოვნების ფაკულტეტის დეკანი ნანა იაშვილი, რომელმაც გაზეთ "24 საათთან" საუბრისას აღნიშნა: - **"ვერ გეტყვით, რომ კონკურსზე გამარჯვება ჩვენი თვითმიზანი იყო. ეს არის სადიპლომო პროექტები, რომლებზეც ჩვეულებრივ ვმუშაობთ. მოხარულნი ვართ, რომ ასეთ მაღალი დონის კონკურსში აკადემიის სტუდენტებმა გრანპრი და მედალი მოიპოვეს. ის, რომ ჩვენი სტუდენტები ძალიან მნიშვნელოვანი კონკურსებიდან მუდმივად გამარჯვებულები ბრუნდებიან, ჩემი აზრით, წარმატებული სკოლის და სწორად აწყობილი პროგრამების დამსახურებაა".**

## განცხადება

2010 წლის 3 თებერვალს, 13 საათზე ქ. ლანჩხუთში, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. ლანჩხუთი, კოსტავას ქუჩა №37) ჩატარდება მდ. სუფსას შესართავში საზღვაო ნავსადგურის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანია მდ. სუფსას შესართავში საზღვაო ნავსადგურის მშენებლობა და ექსპლუატაცია.

საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში - ქ. ლანჩხუთი, კოსტავას ქუჩა №37;
- შპს "ბლექ სი პროდაქტი"-ს ადმინისტრაციულ შენობაში - ქ. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. №6, მე-4 სართული;
- სამეცნიერო-კვლევითი ფირმა "გამა"-ს ოფისში - ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ. №9.

საზოგადოებრიობის წარმომადგენლებისაგან საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენის ვადაა 2010 წლის 29 იანვრს 18 საათამდე.

შპს "ბლექ სი პროდაქტი"-ს დირექცია

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის სამსახური აცხადებს ტენდერს სამკურნალწამლო, შესახვევი და სახარჯი მასალების შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.**

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ჩარიცხონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია: ეროვნული ბანკი, სახაზინო კოდი: 302003174, ანგარიშსწორების ანგარიში №200122900, მიუთითონ **სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის** სატენდერო მოსაკრებელი და წარმოადგინონ თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას პრ. №72, ოთახი 306, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია. სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა **2009 წლის 15 დეკემბრიდან 2010 წლის 12 იანვრის 18:00 საათამდე.**

2. შესყიდვის ობიექტებია:
მოზრდილთა სტაციონარული დახმარების ქვემოდასახელებული საქმიანობები:

ლოტი №1 სამკურნალწამლო საშუალებები;
ლოტი №2 შესახვევი მასალები;
ლოტი №2 სახარჯი მასალები.

3. დაინტერესებულ პირებს დეტალური ჩამონათვალის გაცნობა შეუძლიათ ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას პრ. №72.

4. მიწოდების ადგილი - ქ. თბილისი.

5. მიწოდების სასურველი ვადები: **ეტაპობრივად შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად ხელშეკრულების გაფორმებიდან 2010 წლის 31 დეკემბრამდე.**

6. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) **2010 წლის 13 იანვრის 10:00 საათიდან 14:00 საათამდე** შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას პრ. №72.

7. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

ა) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის არარსებობის შესახებ (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);
ბ) ცნობა შესაბამისი უწყებიდან, რომ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება (საქალაქო სასამართლოდან);
გ) სამედიცინო საქმიანობის დამადასტურებელი უფლება - ლიცენზია;
დ) ცნობა ბიუჯეტის წინაშე დავალიანების შესახებ;
ე) ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
ვ) რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები).

8. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას, თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და/ან სატენდერო წინადადება არ შეესაბამებიან სატენდერო დოკუმენტაციისა და/ან სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

9. **ტენდერი ჩატარდება 13 იანვარს, 14:00** საათზე; ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას პრ. №72.

10. ტენდერის შედეგად შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული. პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-7 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება. ასევე, მე-7 პუნქტში აღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული/შედგენილი წინამდებარე განცხადების გამოქვეყნების თარიღის შემდგომ პერიოდში.

11. დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი.

12. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან:

მერაბ გოცირიძე ტელ: **41 26 02**, მობ. ტელ: **877 415 824**, ფაქსი: **30 10 88**,
რომან რობაქიძე ტელ: **41 24 72**, მობ. ტელ: **877 415 197**

**სატენდერო კომისია**

1. უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნების სახელმწიფო ორგანოდან.

## N2-400/09

## გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა
## საქართველოს სახელით

12 ოქტომბერი 2009 წელი ქ. ბათუმი

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია

მოსამართლე ხათუნა ბოლქვაძე
სხდომის მდივანი ინგა პაპუნიძე

**მოსარჩელე -** ჟანა ზინჩენკო, ნარგიზ მანველიძე, ოთარი რუსეიშვილი;
**წარმომადგენელი -** როინ შავაძე;
**მოპასუხეები:**
1. ბმა "ალის" თავმჯდომარე მკრტიჩ კაპლანიანი. **წარმომადგენელი:** პაატა ბერიძე
2. არშალუის ვოსკერჩიანი. **წარმომადგენელი:** პაატა ბერიძე
3. ფატმან ირემაძე. **წარმომადგენელი:** პაატა ბერიძე
4. ანდრეა კეშელავა. **წარმომადგენელი:** პაატა ბერიძე
5. ინა ჯაველიძე. **წარმომადგენელი:** პაატა ბერიძე
6. თამარა ანტონოვა-კრიტიკოვა
7. ქ. ბათუმის მერია. **წარმომადგენელი:** მუხრან კაკაბაძე
**მესამე პირი:** იათამზე სირაძე. **წარმომადგენელი:** პაატა ბერიძე

**დავის საგანი:** ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების ოქმების ბათილად ცნობა.

**სარეზოლუციო ნაწილი**

სასამართლომ იხელმძღვანელა რა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-;6 53-ე, 243-ე, 244-ე, 247-ე, 249-ე და 257-ე მუხლებით,

**გ ა დ ა წ ყ ვ იტ ა:**

1. ჟანა ზინჩენკოს, ნარგიზ მანველიძის და ოთარ რუსეიშვილის სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდეს;
2. ბათილად უნდა იქნეს ცნობილი ამხანაგობა "ალის" 2007 წლის 22 ნოემბრის საერთო კრების №4 ოქმი ამხანაგობის თავმჯდომარედ მკრტიჩ კაპლანიანის არჩევის შესახებ, 2008 წლის 07 აგვისტოს კრების ოქმი ამხანაგობაში ახალი წევრის იათამზე სირაძის მიღების შესახებ და 2008 წლის ნოემბრის №8 კრების ოქმი ამხანაგობის საერთო საკუთრებაში არსებული 102,8 კვ.მ ფართის ნახევარსარდაფის არშალუის ვოსკერჩიანზე გადაცემის შესახებ;
3. მოპასუხეებს ქ. ბათუმის მერიას, არშალუის ვოსკერჩიანს, თამარა ანტონოვა-კრიტიკოვას, ფატმან ირემაძეს, ანდრეა კეშელავას და ინა ჯაველიძეს დაეკისროთ მოსარჩელეების სასარგებლოდ მათ მიერ სარჩელის განხილვისათვის წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურება 120 ლარის ოდენობით;

4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს აპელაციის წესით ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სააპელაციო პალატაში (ქ. ქუთაისი, ნიუ-პორტის ქ. №32) გადაწყვეტილების მხარეზე ჩაბარებიდან 14 დღის განმავლობაში ბათუმის საქალაქო სასამართლოს მეშვეობით (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30).

**მოსამართლე ხათუნა ბოლქვაძე**

# "ან ვირი.... ან ვირის პატრონი"

პირველი გვერდიდან

მრისხანეს დროინდელი "რუსს"-ის ფეოდალურ-ხოლოპური (მონური) ეკონომიკა უაღრესად ჩამორჩენილი და გაჩანაგებული იყო. ერთადერთი გამოსავალი მიწების მიტაცება იყო. მანამდე, თითქმის საუკუნით ადრე, ივანე III-მ ყაზანი აიღო, მაგრამ თათრებმა მალე დააღწიეს თავი მაშინდელ რუსს. ასე რომ, იოანე მრისხანემ ყაზანი ხელმეორედ დალაშქრა. ამის შემდეგ აღებული იქნა ასტრახანის სახანოც. ამ პერიოდიდან ხდება მდინარე ვოლგა "მატუშკა როსსიის" მთავარი, "მატუშკა" მდინარე. სულ რაღაც 328 წელია, რაც იაკუტია "ნებაყოფლობით?!" შევიდა რუსული იმპერიის შემადგენლობაში; კავკასია 208 - წლის წინ; ყირიმი, რომელსაც ასე მისტირიან, დაახლოებით 150 წლის წინ იქნა დაპყრობილი და ა. შ. უნდა ითქვას, რომ ყველა მიტაცებული ტერიტორია ასევე "ნებაყოფლობითაა" გაფორმებული, რაც რუსული იდეოლოგიის საამაყო პოსტულატია: ჩვენ ეს ერები შემოვიკედლეთ და გადავარჩინეთო?! ეს არის და ეს. ასე გაიზარდა "მოსკოვია" დღევანდელ ზომებამდე.

საბოლოოდ სახელი "რუსს"-ი, დოკუმენტურად პეტრე პირველმა შეცვალა. მან რუსული იმპერიის მშენებლობა დაუფარავად გამოაცხადა. ყველამ მშვენივრად ვიცით, როგორ იბრძოდა რუსული იმპერია ბალტიისა და შავ ზღვებზე გასასვლელად. გარდა ამისა, კიდევ ათი ზღვისა და ორი ოკეანის მფლობელი გახდა. ესეც დაუფარავი სიამაყის საბაბებია. ყოველივე აქედან გამომდინარე, მგონი კარგად ჩანს არსობრივი განსხვავება ამ ორ დასახელებას შორის. "რუსს"-ი პატარა, გაჭირვებული, მაგრამ მშრომელი და მორწმუნე ხალხით იყო დასახლებული. რუსულ იმპერიაში კი, შეიკრიბა სხვადასხვა ჯური და სარწმუნოება. ერთია დაპყრობა და მეორე შენარჩუნება. ამას უკვე აგრესიული ხასიათი სჭირდებოდა, პირველ რიგში - საკუთარი ხალხის მენტალობის აგრესიაზე "გადაწყობა". უნდა ვაღიაროთ, რომ იმპერიას რუსი ხალხის "გადაგვარება" ბრწყინვალედ გამოუვიდა. მაგრამ ადამიანები მაინც სიკეთის ნიშნით იბადებიან და არავის სურს ბოროტების მსახურის იმიჯი, ამიტომაც შიდა მოხმარებაში ასე საჭიროა ეს ორი სახელი. "Святая Русь" (წმინდა რუსს-ი) მშვენიერი იდეოლოგიური საბაბია ხალხის თვალში. როდესაც რუსულ პოლიტიკას სჭირდება, ის "წმინდა რუსს-ია" და თუ ვინმეს აშინებს ან ამაყობს, მაშინ ის "ველიკაია როსსიაა". თანაც ეს "ველიკაია" მესამე, ინდოეთის ოკეანეზე ოცნებობს. სპარსეთის ყურემდე კი უმოკლესი გზა კავკასიაზე, სათანადოდ, საქართველოზე გადის.

ბევრი რუსი მეცნიერისგან გამიგონია და ვეთანხმები, რომ რუსეთს "ქალური" ხასიათი და თვისებები აქვს. მაგრამ ქალიცაა და ქალიც. ჩემი აზრით რუსეთი ჩვეულებრივი "კახპაა". მისი პოლიტიკაც სათანადოდ პროსტიტუციურია. თუ გრძნობს, რომ მასზე რამენაირად დამოკიდებული ხარ, გაგთელავს. თუ შენი ძალა იგრძნო და, მითუმეტეს, თუ თვითონაა დამოკიდებული, მაშინ უფრო საშიშია, ვინაიდან ისეთ "ფერებას" დაგიწყებს, რომ საკუთარ თავს თვითონ მოიჭრი და ჩააბარებ. ასე "გვიყიდა" თავის დროზე გრაფმა ვორონცოვმა. "მადლიერ" შთამომავლობას მისი სახელი დღემდე ახსოვს. სხვისი არ ვიცი და მე უმადური შთამომავალი ვარ. არ მეამაყება არც პეტრე ბაგრატიონი, არც სტალინი და არც ბევრი სხვა. ბავშვობიდან ჩამრჩა ილია ჭავჭავაძის "მგზავრის წერილებიდან", საუბარი რუს გენერალთან, უფრო სწორედ მისი გაკვირვება: "როგორ? ორმოცი გენერალიო? ასეთ პატარა ერს და 40 გენერალი?" მართლაც, რაში დასჭირდა მაშინდელ საქართველოს ამდენი დაწინაურებული და დაფასებული ადამიანი? ამას ჰქვია იმპერიის "მოფერება". როგორც ვხედავთ, დღეს ზოგიერთებს ძალიან მოენატრათ ასეთი "ალერსი". სტუმრად ჩადიან, ერისთვის "ილწვიან". "გენერლობის" კანდიდატებს ვუსურვებ, მშვიდობაში მოიხმარონ ჩინ-მედლები, ოღონდ კავკასიონის იქითა მხარეს. თან მინდა გავაფრთხილო, "კახპა" უკვე დაბერდა. არა მგონია, რამე ხეირიანი გამოუვიდეს. უბედურება ისაა, რომ "გენერლობას" ვერ ეღირსებიან, თუ საქართველოს "გასაღებს" არ ჩააბარებენ. ჯერ კიდევ 2006-ში, როდესაც დეპორტები დაიწყო, მეგობრებს ვუთხარი, ყველაზე ძნელი დრო მაშინ გვექნება, როდესაც რუსეთი სიყვარულის ახსნას დაგვიწყებს-მეთქი. მართალია, ცოტა სხვანაირად ვთქვი - როცა უკანა, რბილ ადგილზე კოცნას დაგვიწყებს-მეთქი. კახპას სიყვარულის არაფერი გაეგება. ეს დროც დაგვიდგა. ე.წ. "სახალხო დემოკრატია" მათივე მოგონილია და პოლიტიკის სწორედაც "უკანა" შემოვლითი მხარეა. ასე იბადებიან ახალი ორჯონიკიძეები, კადიროვები, რახიმოვები და ა.შ. რუსეთი ყოველნაირად ცდილობს, საქართველოს საკითხი მსოფლიოს თვალში როგორმე "დროებითობის" რეჟიმში გადაიყვანოს. მერე კი, ან ვირი, ან... მაგრამ დროის ძალიან გაწელვაც არ აწყობს, ეკონომიკა დაღმართზე მიექანება. ვისაც რუსული პრიანიკები მოენატრა, ვურჩევ, ქალაქ ტულაში ჩავიდეს, იქ მართლაც გემრიელს აკეთებენ. პოლიტიკური "პრიანიკები" კი თავისთვის დაიტოვონ, "ოჯახში" გამოადგებათ.

ხშირად მესმის: რას გვერჩის ეს რუსეთი? ნუთუ მიწა აკლიაო? არა, მიწა არ აკლია. გზა აკლია! უფრო სწორედ - ამ გზის გადაკეტვა. ევროპისთვის აზიისკენ გზის გადაკეტვა. ამხანაგი, ბატონი, ბოიარი დუგინის ძირითადი ევრაზიული იდეაც გამიზნულია რუსეთის ევრაზიული ბატონობისკენ. მისი ეს სამი სახელიც შემთხვევითი არაა. ის ცდილობს, რუსული იმპერიის სხვადასხვა დროს არსებული სამი იდეა ერთიან ევრაზიულ იდეაში როგორმე შეაკოწიწოს. მანვე ამოქექა იდეა მოსკოვი - მესამე რომი. თუ ვინმეს ეკუთნის ბიზანტიის სულიერი მემკვიდრეობა, ეს მხოლოდ საქართველოა და არა "რუსს-ი", რომელიც ბიზატიის დაცემის ხანებში მხოლოდ ყალიბდებოდა და დღემდე არ ჩამოყალიბებულა. აქედან გამომდინარეობს დღევანდელ რუსეთში საბჭოური და იმპერიული სიმბოლიკების შერწყმა. მაგრამ აქ, ესენინის სტრიქონი მინდა გავიხსენო: "Белую розу с черною жабою, я напрасно пытался венчать..." (ამაო იყო ჩემი მცდელობა, შავ გომბეშოს ვარდზე დაეწერა ჯვარი) მომიტევეთ თავისუფალი თარგმანი. შემთხვევით წავაწყდი წინა წლების ქართულ მართლმადიდებლურ გაზეთს, სადაც ამ ბატონის სტატიებისთვის დიდი ადგილი მოიძებნა?! ძალიან სამწუხაროა. ქართული ეკლესიის მსახურებმა და არა მარტო მათ, კათალიკოს პატრიარქის კირიონ II-ის ნაშრომები მაინც წაიკითხონ. ეს უდიდესი ადამიანი იმიტომაც მოკლეს 1918 წელს, რომ მისმა სიმართლემ ძირი გამოუთხარა რუსული იმპერიის იდეოლოგიას და ახალი, წითელი იმპერიის ჩამოყალიბებასაც ხელს შეუშლიდა. ბოლო საუკუნის მანძილზე იმპერია ცდილობს, როგორმე გააქარწყლოს ის, რაც ამ პიროვნებამ გამოიკვლია. სამწუხაროდ, მისი ღვაწლი ჯერ კიდევ ელის სათანადო დაფასებას.

მინდა პატივცემულ ევროპას მოვუწოდო თანამიმდევრობისკენ. საყოველთაოდ ცნობილია, როგორ იღწვის ცივილიზებული სამყარო კაპიტალის გამჭვირვალეობისთვის. ამასთან დაკავშირებით მაქვს კითხვა: საიდან წარმოიშობა რუსული სახელმწიფოს კაპიტალი? თუ გავიხსენებთ "რუსს"-ის პირვანდელ საზღვრებს, გამოდის, რომ ბუნებაში არ არსებობს რუსული არც გაზი, არც ნავთობი, არც ალუმინი და არც ალმასები. ვის სიმდიდრეს ყიდის რუსეთი ევროპაში? გაზი და ნავთობი - თათრების, ბაშკირების, ჩეჩნების, ციმბირიდან ხანტების, მანსების; ალმასები და ქვანახშირი იაკუტების და ა.შ. რატომ ყიდულობს ცივილიზებული და პატიოსანი ევროპა სხვისგან მითვისებულ წიაღისეულს? რა თქმა უნდა, ჩემი პოზიცია რადიკალურია. მაგრამ ყველაფერს აქვს თავისი საზღვარი. რუსული პოლიტიკის იმედები, რომ ან ვირი მოკვდება, ან ვირის პატრონი, აღარ უნდა გამართლდეს. ამავე პრინციპის გამოყენებით არსებობს ჩრდილოეთ კორეა, ითმენს იაპონია, მოლდოვა. გერმანელები, ეტყობა, ფიქრობენ, რომ მეგობრობისთვის რუსები მათ "დააჯილდოებენ" კენიგსბერგით. ვშიშობ, ძალიან ცდებიან. დღევანდელი რუსეთი რაიმეს დაბრუნების პრეცედენტს ვერ შექმნის. თუმცა... ნეტავი, ვცდებოდე.

ძალიან დიდია ქართული წვლილი ამ იმპერიის შექმნაში. ქართველის აშენებული ბერლინის კედელი მეორე ქართველმა დაანგრია, თუმცა მგონია, ამის გაკეთება სრულიადაც არ ეპრიანებოდა. ახლა ეს ხალხების ციხე ბასტილიასავით "აღსაგველია" პირისაგან მიწისა. გამოდის, რომ ქართველის აშენებული ისევ ქართველების სიმტკიცით უნდა "დაინგრეს".

რუსულ საიტებზე, 2012 წლის სამყაროს დასასრულის თაობაზე, დიდი რეკლამაა. ნაწილობრივ ვიზიარებ, რომ ეს შესაძლებელია, ოღონდ არა სამყაროსი. რუს ერს ნამდვილი სულიერი კატასტროფა ელის, სასტიკი იმედგაცრუება. უზარმაზარი ქვეყანა, რომელიც ასეთი სიამაყის საგანია, შაგრენის ტყავივით, "მოსკოვიას" ფარგლებს დაუბრუნდება. ერთი შეხედვით ეს წარმოუდგენელია, მაგრამ თუ ჩვენ მოვახერხეთ, სხვებმა რაღა დააშავეს? მეცოდებიან ის ადამიანები, რომელთაც საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული, ლამის გენეტიკაში გამჯდარი მსოფლმხედველობის სრული განადგურება ელოდებათ. ეს სასტიკი ფსიქოლოგიური გამოცდა იქნება. მაგრამ ასე ფატალურადაც არაა საქმე. ომამდე, პრივატულ საუბრებში, რუსებისთვის ეს ბევრჯერ მითქვამს. თავიდან მეშინოდა, მაგრამ მერე მისმენდნენ და გავთამამდი. მივხვდი ერთ რამეს, უბრალო ადამიანებისთვის ეს დიდ პრობლემას არ წარმოადგენს. ერთმა მკითხა: კი მაგრამ, ჩვენ რაღა დაგვრჩებაო? როცა ყველა ერი, თანაც რამდენი: თათრები, ბაშკირები, უდმურტები, კალმიკები, იაკუტები, ტუველები, მანსები, ხანტები, ნანაელები, ჩუვაშები და ა.შ., აღარ ჩამოვთვლი ჩრდილო კავკასიის ხალხებს, რომლებიც დამწყვდეული არიან ამ ციხეში, გამოვლენ თავისი ავლადიდებით და საკუთარი კუთვნილი მიწებით, რაც დარჩება, ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროთ-მეთქი - იყო ჩემი მოკლე პასუხი. რუსი იდეოლოგები ამაზე პასუხობენ: ეს ხალხები არ არიან მზად დამოუკიდებლობისთვისო?! ვინმე სხვა პასუხს ელოდება? რა თქმა უნდა! ვინ მისცემს ასეთი სიმზადისის უფლებას? მაგრამ პროგრესის გაჩერება რუსეთს აღარ შეუძლია. თანაც რუსეთის მმართველმა უკვე აღიარა ერების თვითგამორკვევის უფლება. რას იზამს? უკან წაიღებს? მაშინ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის აღიარებაც უკან უნდა წაიღოს?! იმპერიის ძირითადი თავისტკივილია ამდენი ერის ერთიან ოჯახში შენარჩუნება. ხომ უნდა იყოს რამე კეთილშობილური იდეა, თუნდაც კომუნისტურის მაგვარი, რომელიც ახსნის, რატომ უნდა იყვნენ ეს ხალხები ერთიან პოლიტიკურ და ეკონომიკურ სივრცეში? ასეთი იდეა, რომელიც გაამართლებს იმპერიის არსებობას, აღარ არსებობს. დიქტატურა უფრო დააჩქარებს პროცესს. ამიტომაც, მხოლოდ "მოსკოვიაღა" დარჩება, რომლის სამხრეთ საზღვრები დაემთხვევა დონის როსტოვის ოლქის საზღვრებს, აღმოსავლეთიდან - თათრეთის სახელმწიფოს. ჩრდილოეთიდან - არხანგელსკის ოლქის საზღვრებს და დასავლური საზღვრებიც ოდნავ, მაგრამ სამართლიანად შეიცვლება ბალტიისპირელი ქვეყნების სასარგებლოდ. სულაც არ ვამბობ ამას ნიშნის მოგებით. და ძალიან შორს ვარ რამენაირი შურისძიებიდან. პირიქით, სწორედაც სიყვარული მალაპარაკებს. რუსი ხალხი უნდა გათავისუფლდეს ამ აუტანელი ტვირთისგან, რომლისგანაც სარგებელი მხოლოდ მმართველი "ბოიარების" და კრემლის მობინადრეების ჯიბეში ჩადის. რუს ხალხს, ჭეშმარიტად, აღარაფერი აქვს დასაკარგი საკუთარი ბორკილების გარდა. შინაგან საქმეთა მინისტრი რომ განაცხადებს, მილიციას წინააღმდეგობა გაუწიეთო, რა სახელმწიფოზეა საუბარი?!

ახლა გადავხედოთ ციფრებს. რუსეთის ბიუჯეტის თანხა სადღაც 230 მილიარდი დოლარის ფარგლებშია. საერთაშორისო ორგანიზაციების გათვლებით, რუსული კორუფცია 300 მილიარდადაა შეფასებული. ე.ი. "შავი" კაპიტალის რაოდენობა უკვე აღემატება ოფიციალურ ბიუჯეტს. საბჭოთა კავშირს სხვა კი არაფერი დაემართა. უკონტროლო კაპიტალმა მიაღწია კრიტიკულ დონეს და.... ქვეყანაც დამთავრდა. ანდა, ამხელა რესურსების ქვეყნისთვის, რა თანხაა 530 მილიარდი, როდესაც ბევრად უფრო პატარა ნორვეგიას რუსეთის ბიუჯეტის ოდენობის მოგება გააჩნია.

ინტერნეტში განთავსებულია, რუსულად თარგმნილი ჩემი სტატია - "რუსული კოდი...". ერთ-ერთ ფორუმზე დავიმსახურე ჩემთვის საპატიო შეფასება: შერეკილი ბრძანდებითო. მინდა მოგახსენოთ: რუსებისგან ასეთი შეფასება ჩემთვის ჭეშმარიტად საპატიოა. მსოფლიო პროგრესს სწორედაც რომ შერეკილები განსაზღვრავენ. ავტომობილი, თვითმფრინავი, მობილური ან იგივე ინტერნეტი, რომლითაც ასე აქტიურად სარგებლობენ ჩემი ოპონენტები, სწორედაც შერეკილების დამსახურებაა. ასე რომ, დიდი მადლობა ასეთი საპატიო წოდებისთვის. ასევე მინდა, რუს ადამიანებს მივმართო: მერე არ თქვათ, რომ არავინ გაგვაფრთხილაო. პატიოსნად გაცნობებთ, შინაგანად მიეჩვიეთ იმ აზრს, რომ: "ველიკაია დერჟავას" მაგიერ, ზომით საკმაოდ პატარა, მაგრამ ასეთ პირობებში, ჭეშმარიტად დემოკრატიული და ბედნიერი სამშობლო გექნებათ. წინასწარ ვიცი ამაზე ბევრის პასუხი: ჯერ კიდევ ვნახავთ, ვისი აჯობებსო. ან, სულ მაგას გვიწინასწარმეტყველებენ, მაგრამ "რუსს-ი" იყო და იქნებაო. დიახ, ბატონებო, "რუსს-ი" ნამდვილად იქნება და ღმერთმა დალოცოს. ოღონდ "როსსიას" აღარ უწერია არანაირი მომავალი. პარადოქსი კი ისაა, რომ, თუ რუსეთი მშვიდობიანად გაათავისუფლებს იმპერიის ხალხებს, რუსი ერი მოიპოვებს იმას, რის მოპოვებასაც ამდენი საუკუნე ომით და ძალადობით ამაოდ ცდილობდა - მთელი მსოფლიოს ხალხების პატივისცემასა და სიყვარულს.

ღმერთია ჩვენი მფარველი.

# სპორტი

## ანანიძე - დუბლშემადგენლობის საუკეთესო

გიგა გურასაშვილი

მოსკოვის "სპარტაკის" გულშემატკივრებმა მოსკოველთა დუბლშემადგენლობის 2009 წლის სეზონის საუკეთესო ფეხბურთელად, საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრების წევრი, ჯანო ანანიძე დაასახელეს.

17 წლის ქართველმა ნახევარმცველმა "სპარტაკის" ოფიციალური ვებ-გვერდის მიერ მოწყობილ გამოკითხვაში 75 პროცენტი (4150 ხმა) დააგროვა. პროცენტული მაჩვენებლით აშკარაა, რომ მოსკოველთა ქართველმა ლეგიონერმა კონკურენტებს აშკარა უპირატესობით აჯობა. ანანიძეს უახლოეს მდევარს იგორ გორბატენკოს ამავე მაჩვენებლით 15 პროცენტი ერგო (825 ხმა), ხოლო მესამეადგილოსან მაქსიმ გრიგორიევს - 5 პროცენტი (256 ხმა). ისიც ვთქვათ, რომ გამოკითხვაში სპარტაკელთა 5 534-მა გულშემატკივარმა მიიღო მონაწილეობა.

...გასულ სეზონში მოსკოველთა ქართველმა ნახევარმცველმა დუბლებში 19 მატჩი ითამაშა და 9 ბურთი გაიტანა. ამასთან "სპარტაკის" ძირითად შემადგენლობაში საკუთარ ანგარიშზე რვა პრემიერლიგურ შეხვედრაში მეტოქის კარი ორჯერ დალაშქრა, ერთი გოლით კი, რუსეთის თასზე გამოიჩინა თავი.




*ანანიძემ დუბლებში აშკარა უპირატესობით იმარჯვა*

ამასობაში ანანიძის შესაძლო ტრანსფერიც მეტ აქტუალობას იძენს. ეგაა, მოსკოველები გადაჭრით აცხადებენ, ჯანო კვლავაც "სპარტაკელთა" მაისურით ითამაშებსო. არადა ცდუნებაც დიდია. ამომავალი ქართველი ვარსკვლავით "არსენალი" და "ლივერპული" მეტად დაინტერესდნენ. ინგლისური პრემიერლიგის ბინადართა დარად ნიჭიერი ქართველისადმი ინტერეს იჩენენ "სევილია", "იუვენტუსი", "მილანი".

"მსგავსი ინფორმაციების საქმის კურსში ვარ, - აცხადებს სპარტაკელთა დირექტორი დმიტრი პოპოვი. - კლუბების ამგვარ ჩამონათვალს სულაც არ გავუოცებივარ, განსაკუთრებით კი პირველ ორს ("არსენალი" & "ლივერპული"). არავისთვის უცხო არაა, რომ ისინი ახალი ტალანტების მოძიებით ძალ-ღონეს არ იშურებენ.

როგორც არ უნდა იყოს, "სპარტაკისთვის" ჩამოთვლილი კლუბებიდან კონკრეტული წინადადებით არავის მოუმართავს. ჩვენის მხრივ კი ვიმეორებთ, რომ შემდგომი სამი-ოთხი წელიწადი არავის წინადადებას არ განვიხილავთ".

## დანი ალვეში საკლუბო მუნდიალის მოგებას აპირებს

დღეს არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში, კერძოდ, ქალაქ აბუ დაბიში, "ბარსელონა" მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის პირველ მატჩს გამართავს და მექსიკურ "ატალანტეს" დაუპირისპირდება. ამ გუნდის დამარცხების შემთხვევაში "ბარსა" ფინალში გავა და თუ იქაც გაიმარჯვებს, 2009 წელს სრული ტრიუმფით დაასრულებს. კატალონიური გრანდისთვის გასული სეზონი საოცარი გამოდგა. გუნდმა მოიგო ესპანეთის ჩემპიონატი, ესპანეთის სამეფო თასი და ჩემპიონთა ლიგა. ამ სეზონში კი უკვე უეფას სუპერთასისა და ესპანეთის სუპერთასის მოგება მოასწრო. თუმცა, ეს მხოლოდ კალენდარულად შეიძლება ჩაითვალოს მიმდინარე სეზონად. რეალურად კი ეს ორი ტიტული, ისევე როგორც მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი, გასულ სეზონს უნდა მივაკუთვნოთ. მოკლედ, ასეა თუ ისე, ფაქტი ერთია: თუ "ბარსამ" საკლუბო მუნდიალი მოიგო, 2009 წელს ეს გუნდისთვის რიგით მეექვსე ტიტული იქნება.

კატალონიელთა ბრაზილიელმა მცველმა დანი ალვეშმა საკლუბო მუნდიალის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ფიფას ოფიციალურ ვებგვერდს მისცა ინტერვიუ.

**- რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატზე თამაში?**

- აქამდე ამ ტურნირს მხოლოდ გულშემატკივრის რანგში ვადევნებდი თვალყურს. ახლა ვთამაშობ. ჩემთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანი ტურნირია. ბოლოს და ბოლოს, "ბარსას" ამ თასის მოგების საშუალება ექნება.

**- კატალონიური კლუბი 2006 წელსაც იყო ამ ტურნირის ფავორიტი, მაგრამ დამარცხდა. წელს რა უნდა გააკეთოთ იმისთვის, რომ იგივე არ გამეორდეს?**

- სამი წლის წინ არგენტინულმა "ინტერნასიონალმა" ბარსა" ზეციდან მიწაზე დააბრუნა. ეს მოკლე ტურნირია და შეცდომას არავინ გაპატიებს. საჭიროა მომავალ ტურნირს სრული გულისყურით მივუდგეთ, შევისწავლოთ მეტოქეები და არ ჩავთვალოთ, რომ ტიტული თამაშის დაწყებამდე გვაქვს მოგებული.



*დანი ალვეში საუდის არაბეთში ტიტულების კოლექციის გაზრდას გეგმავს*

**- გასული სეზონი თქვენი კლუბისთვის განსაკუთრებული იყო. შეძლებთ იგივეს გამეორებას?**

- ეს, რა თქმა უნდა, ძალიან გვინდა, თუმცა საოცრად ძნელი იქნება.

**- უკანასკნელი კალასიკო "ბარსას" გამარჯვებით დასრულდა. ეს ფაქტი საკლუბო მუნდიალზე გუნდს მორალურად დაეხმარება?**

- ძლიერი მეტოქის დამარცხება ყოველთვის სასარგებლოა. კლასიკო კი საერთოდ განსაკუთრებული თემაა. ცხადია, რომ ესპანეთის ჩემპიონატში და ჩემპიონთა ლიგაში საქმე კარგად მიგვდის. ეს მორალურად მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატზეც დაგვეხმარება.

**- ახლა ბრაზილიის ნაკრებზე გკითხავთ. თქვენს გუნდს შეუძლია სამხრეთ აფრიკაში მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოგება?**

- ბრაზილია ყოველთვის და ყველგან, ყველა ტურნირში ფავორიტია. ეს გუნდი მთელი მსოფლიოს მასშტაბითაა დაფასებული. რა თქმა უნდა, ადვილი არ იქნება მსოფლიო ჩემპიონატის მეექვსედ მოგება, მაგრამ როდესაც ისეთი გუნდი გყავს, როგორიც ბრაზილიას, წარმატების შანსი დიდია.

**- თქვენ მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო მარჯვენა მცველად ითვლებით, ეროვნულ ნაკრებში კი ძირითადში მოხვედრა გიჭირთ. სხვა პოზიციაზე თამაში არ გიფიქრიათ?**

- ამბიციური ადამიანი ვარ და მინდა ყველა მატჩი ძირითადში ვითამაშო. თუმცა, როდესაც საუბარია ბრაზილიის ნაკრებზე, ამბიციებს ვთოკავ. ყვითელი მაისურის ჩაცმა ჩემი ოცნებაა, ბრაზილიის ნაკრებში თამაში - პრივილეგია და დიდი პასუხისმგებლობა. მოკლედ, ჩემთვის მთავარია სამხრეთ აფრიკაში ნაკრებთან ერთად ვიყო და მწვრთნელი რომელ პოზიციაზე მათამაშებს, ეგ მეორეხარისხოვანია.

**- ბრაზილია რთულ ჯგუფში მოხვდა...**

- მსოფლიო ჩემპიონატზე სუსტი გუნდები არ თამაშობენ. რთული ჯგუფი კი წარმატების მიღწევაში დაგვეხმარება. რაც უფრო ადრე ჩამოვიშორებთ უშუალო კონკურენტებს, მით უკეთესი.

**- გასული სეზონი სამი ტიტულის მოგებით აღნიშნეთ...**

- რატომ სამი? თუ იმ ორ სუპერთასს ამ სეზონს მიაწერთ, კონფედერაციის თასის მოგებას მაინც ნუ დამიკარგავთ.

**- მართალი ბრძანდებით, ოთხი მოიგეთ. ამ სეზონში რა მიზანს ისახავთ?**

- დავიწყოთ იმით, რომ ორი ტიტული უკვე მოვიგე - ევროპის და ესპანეთის სუპერთასები. ახლა საკლუბო მუნდიალის მოგებას ვაპირებ. ვფიქრობ, ცხოვრებაში ყოველთვის დიდი მიზნები უნდა დაისახო. ჩვენი მიზანი მიღწეული შედეგების გაუმჯობესებაა. რა თქმა უნდა, ამის მიღწევა ძნელია, მაგრამ არა შეუძლებელი.

### კალაძე - "დინამოში", კობიაშვილი - "ჰერტაში"

ზამთრის სატრანსფერო პერიოდში შესაძლოა რამდენიმე ქართველმა ფეხბურთელმა შეიცვალოს კლუბი. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი, ცხადია, კახა კალაძის, ლევან კობიაშვილისა და ზურაბ ხიზანიშვილის ტრანსფერებია. საქართველოს ეროვნული ნაკრების სამ წამყვან ფეხბურთელს ახლანდელ კლუბებში არც ისე კარგად აქვს საქმე.

ხუთჯვაროსანთა კაპიტან კახა კალაძეს "მილანის" ბრაზილიელი მწვრთნელი ლეონარდო არ სწყალობს. კახა "მილანის" ძირითადში იტალიის ჩემპიონატის ბოლო ტურის მატჩშიც არ გამოჩნდა. არადა, ლეონარდოს დაცვაში პრობლემები ჰქონდა. "პალერმოსთან" საშინაო შეხვედრაში "როსონერის" სათადარიგოთა სკამზე დარჩენის შემდეგ უცხოურ მედიაში გაჩნდა ინფორმაცია, რომ ქართველი მცველი ზამთარში "მილანს" დატოვებს. იტალიური პრესა კახას ტრანსფერის ორ შესაძლო ვარიანტს განიხილავს. პირველი კიევის "დინამოში" დაბრუნებაა, მეორე ვარიანტად კი სახელდება სანკტ პეტერბურგის "ზენიტი", სადაც ახლახან მთავარ მწვრთნელად დაინიშნა იტალიელი ლუჩანო სპალეტი.

რაც შეეხება ლევან კობიაშვილს, მაგათმა "კობი" კარგა ხანია აითვალწუნა - ქართველი ფეხბურთელი "შალკეს" განაცხადშიც კი ვერ ხვდება. ცხადია, ზამთარში საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი კლუბს შეიცვლის. ყველაზე რეალურ ვარიანტად გერმანული მედია "ჰერტას" ასახელებს. დედაქალაქელებს სურთ ქართველი ფეხბურთელის შეძენა, კობიაშვილს კი თამაში უნდა.

გაურკვეველი ვითარებაა ზურაბ ხიზანიშვილთან დაკავშირებით, რომელიც იჯარის წესით "ნიუკასლში" თამაშობს. ბრიტანული მედიის ცნობით, "კაჭკაჭები" მასთან საიჯარო ხელშეკრულების გაგრძელებას არ აპირებენ. იანვარში ქართველი ფეხბურთელი "ბლექბერნში" უნდა დაბრუნდეს, სადაც მას სათამაშო პრაქტიკა ალბათ არ ექნება.

### ჰიდინკმა კორეაზე უარი თქვა

რუსული მედიის ინფორმაციით, გუს ჰიდინკს ჩრდილო კორეის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტს სთავაზობდნენ, თუმცა რუსეთის ნაკრებში ხელმოცარულმა ჰოლანდიელმა მუნდიალის ფინალურ ეტაპზე კორეელებთან ერთად გამგზავრება არ ისურვა. შესაძლოა ამის მიზეზი ის იყოს, რომ ჰიდინკს ტურინის "იუვენტუსის" მთავარ მწვრთნელობას სთავაზობენ.

### ქართველი წყალში მხტომელები უკრაინაში გამოვლენ

ქართველი წყალში მხტომელები ჭოლა ჭანტურია და შოთა კორახაშვილი უკრაინაში გაემგზავრებიან და გამოვლენ A კატეგორიის ტურნირში, რომელსაც ევროპის საწყლოსნო სახეობათა ფედერაცია ატარებს. შეჯიბრება 16-20 დეკემბერს კიევში უფროსი ასაკის სპორტსმენებში ტარდება და მასში 12 ქვეყნის წყალში მხტომელები ცდიან ბედს. დელეგაციების დაფინანსება უკრაინის ფედერაციამ თავის თავზე აიღო.

კიევში ჭანტურიას და კორახაშვილს გაჰყვება საქართველოს საწყლოსნო ფედერაციის გენერალური მდივანი ირაკლი ბართაია, რომელმაც სპორტსმენთა მომზადებაზე ასეთი კომენტარი გააკეთა: "უკრაინაში ორივე წყალში მხტომელი რთული პროგრამით გამოვა. ტურნირის დაწყებამდე რამდენიმე დღე დარჩა და შევეცდებით, ეს დრო მაქსიმალურად გამოვიყენოთ. თუ ეს პროგრამა გაამართლებს, მაშინ სინქრონშიც შევეცდებით მის მოსინჯვას".

### ტოტის ოპტიმისტური პროგნოზი

"რომას" კაპიტანმა ფრანჩესკო ტოტიმ განაცხადა, რომ მის გუნდს უახლოეს ორ წელიწადში შეუძლია სკუდეტოს მოგება.

"ამ გუნდს უდიდესი პოტენციალი აქვს. ორი წლის განმავლობაში სკუდეტოს მოგება შეგვიძლია. აუცილებელია მაღალი დონის ფორვარდის შეძენა. გუნდის მესვეურები უნდა დააკვირდნენ სტეფანო ოკაკას, რომელიც შესაძლოა დროგბას დონის ფეხბურთელად ჩამოყალიბდეს," - აცხადებს ტოტი.

### გატუზო "მილანში" დარჩება

"როსონერის" ოფიციალური ვებგვერდის ინფორმაციით, კლუბმა 2012 წლამდე გაუგრძელა კონტრაქტი ჯენარო გატუზოს.

ბოლო ხანს რინო "მილანის" ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდება. ამ სეზონში ფეხბურთელს თითქმის არ უთამაშია. მისი განცხადებით, ის მზად იყო დაეტოვებინა კლუბი.

### "ჩელსის" დროებას შემცვლელი არ სჭირდება

იანვარში ბევრ კლუბს შეექმნება პრობლემა. საქმე ის არის, რომ სტარტს აიღებს აფრიკის თასის გათამაშება და ევროპულ კლუბებში მოთამაშე აფრიკელი ვარსკვლავები, ცხადია, ამ ტურნირზე გაემგზავრებიან.

აფრიკის თასზე ითამაშებს დიდიე დროგბაც, რომლის გარეშე დღევანდელი "ჩელსი" წარმოუდგენელია. იყო ვარაუდი, რომ ლონდონელები ზამთრის სატრანსფერო პერიოდში ერთ ფორვარდს მაინც შეიძენდნენ, რათა დროგბას არყოფნით შექმნილი ვაკუუმი შეევსოთ, მაგრამ, კარლო ანჩელოტის განცხადებით, გუნდი კონკრეტულად დროგბას შემცვლელის ძიებას არ დაიწყებს.

"დიდიე ჩვენი გუნდის მთავარი ფიგურაა. თუმცა, მიმაჩნია, რომ იანვარში მის გარეშეც გავალთ ფონს. ასე რომ, დროგბას შემცვლელის შეძენა არ გვჭირდება," - აცხადებს ანჩელოტი.

### სუარესმა აღიარა

ამსტერდამის "აიაქსის" ურუგვაელ შემტევ ლუის სუარესზე სატრანსფერო პერიოდში შესაძლოა დიდი ომი ატყდეს. ამ ფეხბურთელის გადაბირებით არაერთი ევროპული გრანდია დაინტერესებული. თავად სუარესი გამუდმებით ამბობდა, რომ ზამთარში ამსტერდამელი კლუბის დატოვებას არ აპირებს, თუმცა, ახლა ვითარება შეიცვალა. "აიაქსს" ფინანსური პრობლემა აქვს და, შესაძლოა, სუარესის გაყიდვით ეს პრობლემა მოგვარდეს კიდეც.

თავად სუარესი ჟურნალისტებთან საუბარში გამოტყდა, რომ მისი ოცნება კატალონიურ "ბარსელონაში" თამაშია.

"ორიგინალური ვერ ვიქნები. "ბარსელონაში" თამაშზე ვოცნებობ. არა მგონია, ეს ვინმეს გაუკვირდეს. "აიაქსის" მესვეურებს პატიოსნად განვუცხადე, რომ ამ სეზონს კლუბში დავასრულებ და თუ შემდეგ სოლიდური შემოთავაზება იქნება, კლუბს დავტოვებ. იმედი მაქვს, ასეთი შემოთავაზება სწორედ "ბარსელონადან" მექნება," - აცხადებს სუარესი, რომლის შეძენის ალბათობას სერიოზულად განიხილავენ კატალონიურ კლუბში.

### დომინგესმა "ვალენსიასთან" კონტრაქტი გააფორმა

რუსეთის ორგზის ჩემპიონის ყაზანის "რუბინის" არგენტინელი შემტევი ალეხანდრო დომინგესი ინვერიდან "ვალენსიას" შემადგენლობაში გააგრძელებს კარიერას. 28 წლის ფეხბურთელმა გუშინ სამედიცინო შემოწმება გაიარა. სამხრეთამერიკელ შემტევს კონტრაქტის გაფორმების პროცესი ვერ შეაფერხა. კოჭის მცირე პრობლემა აქვს, თუმცა, ამან ხელშეკრულების გაფორმების პროცესი ვერ შეაფერხა.

### "იუვე" "არსენალის" მცველებით დაინტერესდა

ტურინის "იუვენტუსი" "არსენალის" მცველებით - ბაკარი სანიათი და ემანუელ ებოიეთი დაინტერესდა. ამის შესახებ იტალიური წყაროები იტყობინებიან. "ბებერი ქალბატონის" დამრიგებელმა ჩირო ფერარამ აღნიშნა, რომ ორივე მცველის გადაბირება იანვარში სურს და ეს სიჩქარე გუნდის დაცვაში არსებული პრობლემებითაა გამოწვეული. პრემიერლიგის წლევანდელ გათამაშებაში სანიამ და ებოიემ 9-9 მატჩი ითამაშეს, ამ უკანასკნელმა კი გოლითაც გამოიჩინა თავი. ჯერჯერობით უცნობია, მიონდომებს თუ არა ვენგერი მათი გასხვისების თემის განხილვას.

### პლეტიკოშას "ტოტენჰემში" ელიან

მოსკოვის "სპარტაკის" მეკარე სტიპე პლეტიკოშა შესაძლოა ლონდონის "ტოტენჰემში" გადავიდეს. ორშაბათს ის ჩაფრინდა ლონდონში, სადაც, სამედიცინო შემოწმების გავლის შემდეგ, წესით, "დეზებთან" კონტრაქტი უნდა გაეფორმებინა.

"ტოტენჰემში" ჯერ კიდევ ზაფხულში უნდა გადავსულიყავი, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ახლა ცოტათი ტრავმა მაწუხებს, თუმცა, ვიცი, რომ რედნაპს ჩემი შეძენა მაინც უნდა", - აცხადებს პლეტიკოშა.

# ევრო 2012 - ფეხბურთი, პოლიტიკა და პროსტიტუცია

პირველი გვერდიდან



პლატინი იუშჩენკოსა და ტიმოშენკოს გარემოცვაში

"მე ვესტუმრები იმ ქალაქებს, რომლებშიც ჯერ არ ვყოფილვარ. თებერვალში დონეცკის, ხარკოვისა და ლვოვის მონახულებას ვაპირებ. ჩვენ არ გადავუხვევთ არჩეული გზიდან და კვლავ გავაკონტროლებთ, თუ როგორ მიმდინარეობს მზადება უკრაინასა და პოლონეთში. ჩვენ დიდი ამბიციები გვაქვს. მართალია, დღეისთვის ყველაფერი რიგზე არ არის, მაგრამ ჩვენ ვენდობით ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტს, არსებობს კარგი ბაზისი და ყველაფერი მოგვარდება. მთავარი პრობლემა სასტუმროები და აეროპორტებია. მარტში უეფას ინსპექტორები დონეცკს, ხარკოვს და ლვოვს ეწვევიან. მუშაობას ერთად გავაგრძელებთ და 2012 წლის ევროპის ჩემპიონატს უმაღლეს დონეზე გავმართავთ", - განაცხადა პლატინიმ.

ლოგოტიპის პრეზენტაციის ცერემონიალს ესწრებოდნენ გრიგორი სურკისი, გჟეგოჟ ლიატო (უკრაინისა და პოლონეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტები), ანდრეი შევჩენკო და სხვა ცნობილი ადამიანები.

ლოგოტიპის პრეზენტაციის დროს ქალთა დაცვის საზოგადოებამ მოაწყო აქცია მოთხოვნით - აიკრძალოს პროსტიტუცია ევროპის ჩემპიონატის მსვლელობის დროს.

ფემინისტური ორგანიზაციის პლაკატებზე იყო წარწერები: "ევრო 2012 პროსტიტუციის გარეშე". საინტერესოა, მოითხოვს თუ არა უეფა უკრაინისა და პოლონეთის სასტუმროებში ევროპის ჩემპიონატის მსვლელობისას პროსტიტუციის აკრძალვას, ისე როგორც ეს კოპენჰაგენში გამართული კლიმატური სამიტის ორგანიზატორებმა გააკეთეს.




ევრო 2012-ის ლოგოტიპი

წინასწარი მონაცემებით, ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპს ოთხმა უკრაინულმა (კიევი, დონეცკი, ლვოვი, ხარკოვი) და ოთხმა პოლონურმა (ვარშავა, გდანსკი, პოზნანი, ვროცლავი) ქალაქმა უნდა უმასპინძლოს. თუმცა, გამორიცხული არ არის, უკრაინული ქალაქების წარმომადგენლობა ორჯერ შემცირდეს, რადგან ამ ქალაქებში საჭირო ინფრასტრუქტურის შექმნა ჯერაც ვერ მოხერხდა.

უკვე გადაწყვეტილია, რომ ევროპის ჩემპიონატის გახსნის ცერემონიალი ვარშავაში გაიმართება, ფინალს კი კიევი უმასპინძლებს.

# 28 აგვისტოს დაიწყება

სტამბულში გაიმართა 2010 წლის საკალათბურთო ჩემპიონატის წილისყრა. შეხვედრები გაიმართება ოთხ ქალაქში: ანკარაში, იზმირში, სტამბულსა და კაისერიში. კაისერს ანტალიასთან შედარებით მიანიჭეს უპირატესობა. ასე გადაწყვიტა თურქეთის კალათბურთის ფედერაციამ.

წინასწარ იყო ცნობილი, რომ თითო ჯგუფში სამ ევროპელზე მეტი ვერ მოხვდებოდა. ასევე დააცილეს ერთმანეთს ამერიკელებიც, რომელთა ლიმიტი ორი გუნდით შემოიფარგლა.

საბოლოოდ ჯგუფები ასე შეივსო:

**A ჯგუფი:** სერბეთი, არგენტინა, ავსტრალია, იორდანია, გერმანია, ანგოლა.

**B ჯგუფი:** ხორვატია, ბრაზილია, ტუნისი, სლოვენია, ირანი, აშშ.

**C ჯგუფი:** ჩინეთი, თურქეთი, რუსეთი, პუერტო რიკო, კოტ დ'ივუარი, საბერძნეთი.

**D ჯგუფი:** ლიტვა, ლიბანი, საფრანგეთი, ესპანეთი, კანადა, ახალი ზელანდია.

ტურნირის გამოკვეთილი ფავორიტი ამერიკის ნაკრებია. ოღონდ, იმ შემთხვევაში, თუ იანკები მუნდიალზე, სულ მცირე, იმ შემადგენლობით მაინც წავლენ, რომლითაც პეკინის ოლიმპიადაზე ოქროს მედლები მოიპოვეს. ძალიან კარგი ნაკრები ეყოლება ესპანეთს, თავისი გასოლებით, ნავაროთი, რუდი ფერნანდესით და რუბიოთი. არგენტინა საუკეთესო გახდება ჯინობილით, სკოლათი, ნოჩიონით, პრიჯიონით და ობერტოთი. ბრაზილიას კი ჰყავს სპლიტერი, ვარეჟაო, ბარბოსა და ნენე.

დიდი ომი იქნება იმ ჯგუფში, რომელშიც რუსები მოხვდნენ. კოტ დ'ივუარის გარდა, შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი ხუთივე ნაკრებს ექნება და აფრიკელებმაც იქნებ ერთი მატჩი მაინც მოიგონ. რუსებს კირილენკოც უნდა ჰყავდეთ და ჩინეთი ხომ იაოთი მომაგრდება.

ესპანეთი ერთხელაც გადაუვლის ყველას ჯგუფურ ეტაპზე და გასავარდნ სტადიაზეც ფავორიტი იქნება ყველასთან, ამერიკის გარდა. ფრანგები ტონი პარკერს დაეყრდნობიან. ვნახოთ, სადამდე გაქაჩავს "სან ანტონიოს" გამთამაშებელი.

ტურნირი 28 აგვისტოს დაიწყება და 14 სექტემბერს დასრულდება. მომდევნო ეტაპზე ანუ მერვედფინალში თითო ჯგუფიდან 4 გუნდი გავა, მერე კი მთავარი ამბები დაიწყება.

წილისყრასა და ბევრ სხვა საინტერესოზე სულ მალე მოგიყვებით.

# ვენგერი ფაბრეგასს კატალონიის ნაკრებში არ უშვებს

22 დეკემბერს კატალონიის ნაკრები, რომელსაც იოჰან კრუიფი უდგას სათავეში, ამხანაგური მატჩის გამართვას აპირებს. ჰოლანდიელმა სპეციალისტმა "არსენალის" კაპიტანი სესკ ფაბრეგასიც გამოიძახა ნაკრებში, თუმცა საქჰვოა, რომ მან კრუიფის გუნდში თამაში შეძლოს. ჯერ ერთი, კატალონიის ნაკრებს ფიფა არ აღიარებს და "არსენალი" ვალდებული არ არის, გაუშვას ფეხბურთელი. მეორეც, ვენგერი ფაბრეგასის ესპანეთის ნაკრებში გაშვების წინააღმდეგიც იქნებოდა, თუ საუბარი შეეხებოდა ამხანაგურ თამაშს.

"ამხანაგურ მატჩებში ჩემს ფეხბურთელებს საერთოდ აღარ გავუშვებ. ხელფასს კლუბი უხდის ფეხბურთელს და არა ნაკრები", - აცხადებს ვენგერი.

ვენგერის გაბრაზებას ობიექტური მიზეზი აქვს. საქმე ის არის, რომ ცოტა ხნის წინ ჰოლანდიისა და იტალიის ნაკრები გუნდების ამხანაგურ მატჩში უმძიმესი ტრავმა მიიღო რობინ ვან პერსიმ. ის, სავარაუდოდ, სეზონის ბოლომდე ვერ დაეხმარება "არსენალს".

# Wild, Wild West

ზურაბ თალაკვაძე

მთელი დასავლეთის კონფერენცია შიშით, რიდით უყურებს მკვლელ ფორმაში შესულ "ლოს ანჯელეს ლეიკერსს" და, ნამდვილად ვერ გეტყვით, რა უნდა მოხდეს, ფილ ჯექსონის სუპერგუნდი სუპერფინალში რომ ვერ გავიდეს. შემადგენლობის მხრივ კალიფორნიული გრანდი ბევრად უსწრებს ყველას, მათ შორის, თავის მთავარ კონკურენტ "სან ანტონიოსაც". რონ არტესტის დამატებამ და ლამარ ოდომის შენარჩუნებამ "ლეიკერსი" ამ სეზონის მთავარ ფავორიტად აქცია. მოუმატა ბაინუმმაც, კობი კი ყველგან კობია. ამჯერად გთავაზობთ დანარჩენი 14 დასავლელის მცირე პორტრეტებს, ხვალ კი აღმოსავლეთის გუნდების ჯერი იქნება.



ენტონის (მარცხნივ) "დენვერი" ფავორიტებშია, დიურანის "თანდერი" კი მომავალში იქნება ლიდერთა შორის

### 1. სან ანტონიო სპურსი (12:9)

**მოკლედ:** როდესაც გუნდში გყავს ტიმ დანკანი და ამ გუნდს სათავეში უდგს გრეგ პოპოვიჩი, ყველაფერია შესაძლებელი. ეს "ლეიკერსმაც" მშვენივრად იცის, მაგრამ, ბოლო ჩემპიონობიდან მოყოლებული, ესე იგი, 2007 წლიდან, "სან ანტონიოს" მთავარი პრობლემა ხშირი ტრავმიანობაა. შარშან იშვიათი იყო შემთხვევა, როდესაც პოპოვიჩს სამატჩო განაცხადში "დიდი სამეულის" ყველა წევრი ჰყავდა შეყვანილი. ხან ტიმი იყო დაშავებულთა სიაში, ხან - ტონი პარკერი, ხან - მანუ ჯინობილი. ტეხასელებმა წელს რადიკალურად შეცვალეს შემადგენლობა და რამდენიმე ვეტერანის (ობერტო, კურტ ტომასი, ბოუენი) ნაცვლად აიყვანეს რიჩარდ ჯეფერსონი, დეჟუან ბლერი და კიდევ რამდენიმე ბებერი (ტეო რეტლიფი და ანტონიო მაკდაიესი). ამ ეტაპზე დანკანი ისეთივე ფორმაშია, როგორშიც კარიერის განმავლობაში იყო, მაგრამ სხვები (მათ შორის, პარკერი და ჯინობილიც) ვერ არიან ჯანზე და სეზონის დაწყებიდან "სპურსმა" უკვე მოასწრო ორჯერ სამ-სამი მატჩის ზედიზედ წაგება. "სან ანტონიოს" "ლეიკერსისგან" უფრო მეტი აშორებს, ვიდრე სხვებს - "სან ანტონიომდე".

**პერსპექტივა:** კონფერენციის ფინალი.

### 2. დენვერ ნაგეტსი (18:7)

**მოკლედ:** ამ ეტაპზე "დენვერი" "ლეიკერსის" მერე დასავლეთში ყველაზე სტაბილურია, მაგრამ გუნდის რამდენიმე საკვანძო მოთამაშე (ნენე, კენიონ მარტინი) ხშირად იღებს ტრავმებს. კარგი იქნება, თუ ჯორჯ კარლის გუნდს ლაზარეთი აპრილამდე დაუცარიელდება. თავისთავად, როდესაც გუნდში გყავს კარმელო ენტონი (სუპერშემტევი და უსუსტესი დამცველი) და ჩონსი ბილაპსი (რკინის ნერვების მქონე ლიდერი), ყველაფერია შესაძლებელი, მაგრამ "ლეიკერსამდე" "სან ანტონიოს" დასამარცხებლად, "ოქროს ზოდებმა" დაცვაში თამაში უნდა გამოასწორონ. დანკანის წინააღმდეგ ვერც მარტინი ბრწყინავს და ვერც ნენე. "სპურსის" კომპლექსის მოხსნა კი ძალიან ძნელია. თუნდაც იმის ფონზე, რომ "ნაგეტსი", ნიჭის მხრივ, ტეხასელებზე წონიანია. "სპურსი"-"ნაგეტსი"? საინტერესო, ძნელად პროგნოზირებადი სერია უნდა იყოს. თუ საერთოდ იქნება...

**პერსპექტივა:** პლეი-ოფის მეორე წრე.

### 3. დალას მავერიქსი (18:7)

**მოკლედ:** შემადგენლობის მხრივ "მავერიქსი" კონფერენციაში პირველ სამეულშიც შედის. დირკ ნოვიცკი დღესაც შეუჩერებელია, მაგრამ გუნდი სწრაფად იღლება და მატჩის ბოლოს ხშირად უბრალოდ ვერ ჰყვება ტემპში გაცილებით მოძრავ მოწინააღმდეგეს. ჯეისონ კიდი ლიგაში ერთ-ერთ უკანასკნელ სეზონს ატარებს, აპრილის შუა რიცხვებიდან კი ბევრი რამ იქნება დამოკიდებული შონ მერიონის გამოცდილებასა და ჯოშ ჰოვარდის ჯანმრთელობაზე. ერიკ დემპიემ თუ მოინდომა (რაც ძალიან საეჭვოა), ერთ მატჩში საშუალოდ ათ და მეტ მოხსნასაც მოუყრის თავს. მაგრამ გახსოვთ, ასეთი რამ ბოლოს როდის იყო? ბალასტი დრიუ გუდენი კი აქაც ბალასტია. სადამდე გაძლებს ნოვიცკი? დიდხანს ვერა...

**პერსპექტივა:** პლეი-ოფის მეორე წრე.

### 4. ფინიქს სანზი (16:8)

**მოკლედ:** ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ შესუსტებული რუსტერით "ფინიქსი" რეგულარულის მეოთხედის გასვლის მერე ლიდერებში იქნებოდა. ისევე როგორც წინა წლებში, არიზონაში დღესაც სტივ ნეშზე ლოცულობენ. კანადელი გამთამაშებლის გარეშე "სანზი" აუტსაიდერია, მასთან ერთად კი გუნდს პლეი-ოფის პირველ წრეში საკუთარი მოედნის უპირატესობის მოპოვება შეუძლია. უნდა მოუმატოს ამარე სტაუდმაიერმაც, რომელიც ხშირად პირველივე მეოთხედში იღებს ორ პერსონალურს და თავად იმცირებს სათამაშო დროს. გრანტ ჰილს უფრო სახელის გამო ათამაშებენ, ვიდრე იმიტომ, რომ ამას იმსახურებს. გუნდის მთავარი ნაკლი კი შეთხელებული რეზერვია. ძირითადის ცენტრი ჩეინინგ ფრაია...

**პერსპექტივა:** პლეი-ოფის პირველი წრე.

### 5. იუტა ჯაზი (14:10)

**მოკლედ:** ძალიან მეეჭვება, დერონ უილიამსისა და კარლოს ბუზერის წყვილმა სოლტ ლეიკ სიტიში კარლ მელოუნი და ჯონ სტოქტონი დაავიწყონ, მაგრამ პროდუქტიულობის მხრივ ეს ტანდემი ლიგაში საუკეთესოთა შორისაა, დერონი კი ლიგის უძლიერესი გამთამაშებელია. ჯანზე უნდა მოვიდეს "ჯაზის" კიდევ ერთი საკვანძო ფიგურა ანდრეი კირილენკო, რომელიც აპრილისთვის უფრო საჭიროა, ვიდრე რეგულარულის მსვლელობისას. ძალიან მოუმატა პოლ მილსეპმა და მალე ალბათ სასტარტოში ჭირვეული ბუზერის ადგილსაც დაიკავებს. "ჯაზს" უჭირს სათადარიგოების მხრივ. სხვა კრიტერიუმებით კი ჯერი სლოუნს გუნდი მზად ჰყავს წლის მთავარი ბატალიებისთვის.

**პერსპექტივა:** პლეი-ოფის პირველი წრე.

### 6. პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსი (14:11)

**მოკლედ:** კარგად დაიწყეს რეგულარული ორეგონელებმა. ბრენდონ როი ლამის გვერდით დაუდგა კობისა და ლებრონს, მაგრამ მერე დაიმტვრა გრეგ ოდენი და უცბად მთელი მექანიზმი მოიშალა. სასტარტოში გადმოაბრძანეს ჯოელ პრჟიბილა, რომელიც იშვიათად აგროვებს თუნდაც ხუთ ქულას, თუმცა დაცვაში გრეგზე კარგია. საკმაოდ ძლიერი, სწრაფი, მებრძოლი შემადგენლობის მიუხედავად, "ბლეიზერსს" გაუჭირდება მეორე წრეში გასვლა. ჯანმრთელ ოდენთან ერთად სულ სხვა ამბები დატრიალდებოდა, ამ ეტაპსა და ამ სეზონში კი გუნდი ბევრს ვერაფერს გააკეთებს. როი სეზონის ბოლოს მეორე სიმბოლურ ხუთეულში მოხვედრის რეალური კანდიდატი იქნება.

**პერსპექტივა:** პლეი-ოფის პირველი წრე.

### 7. ჰიუსტონ როკეტსი (13:10)

**მოკლედ:** იაო მინი ჩინეთშიც აღარ ახსოვთ, ტრეისი მაკგრეიდი ცალი ფეხით სხვაგანაა, მაგრამ ორი ვარსკვლავის გარეშე "როკეტსი" მაინც ინარჩუნებს სტაბილურობას და მშვენივრად ატარებს მატჩებს მასზე გაცილებით კარგად დაკომპლექტებული გუნდების წინააღმდეგ. ძალიან კარგია არგენტინელი ლუის სკოლა, რომელიც ერთ მატჩში საშუალოდ 14 ქულასა და თითქმის 10 მოხსნას აგროვებს. არაჩვეულებრივად მოერგო გუნდს "ლეიკერსის" ყოფილი წევრი ტრევორ არიზა - მან რონ არტესტი სრულფასოვნად შეცვალა და შეტევაში ამ უკანასკნელზე ბევრად სახიფათო და პროდუქტიულია. მშვენიერი სეზონი აქვს აარონ ბრუქსს, კარლ ლანდრი კი თამაშიდანაც (55.7 %) და საჯარიმოს ხაზიდანაც (88.5 %) სტაბილურია.

**პერსპექტივა:** პლეი-ოფის პირველი წრე.

### 8. ოკლაჰომა სიტი თანდერი (12:11)

**მოკლედ:** ძალიან ცოტა აკლია "თანდერს" საპლეიოფო ზონამდე. ეს "ცოტა" კი მხოლოდ და მხოლოდ გამოცდილებაა. რასელ უესტბრუკი ნელ-ნელა უახლოვდება იმ ლიგას, რომელშიც ბრაიანტები, პოლები და დერონები შედიან. ჯეფ გრინი იქნებ მალე "ყველა ვარსკვლავის" მატჩის მონაწილეც გახდეს, ნენან კრსტიჩი კი აკეთებს იმას, რისი შნოც აქვს. და ყველაფერი ეს უკანა პლანზე გადადის ერთი მოთამაშის ხსენებისას. კევინ დიურანი უკვე დღეს ძალიან ახლოსაა ზეკაცებთან. მიმდინარე რეგულარულში შეტევაშიც უწინდელზე სახიფათოა და დაცვაში თამაშსაც დიდ ყურადღებას აქცევს. ორი-სამი წლის მერე საუკეთესო მოთამაშის ტიტულისთვის იბრძოლებს, მანამდე კი გამოცდილებას შეიძენს.

**პერსპექტივა:** პლეი-ოფში ვერ გავა.

### 9. ნიუ ორლეან ჰორნეტსი (10:13)

**მოკლედ:** კრის პოლი დღესაც ლიგის ერთ-ერთი უძლიერესი უკანახაზელია, მაგრამ "კრაზანების" ლიდერი კვლავ მტკივანი ზურგით თამაშობს და წინა სეზონებივით სტაბილური ვერ არის. პლუს, რეგრესირებადი პეჟა სტოიაკოვიჩის აყვანა (გაცვლით) არავის სურს, რადგან "კინგზის" ყოფილი ვარსკვლავი ხშირად ათ ქულასაც ვერ უყრის თავს, სეზონში კი 14 მილიონ დოლარს იღებს. ბევრი არაფერი მოუტანია გუნდისთვის ტაისონ ჩენდლერის ნაცვლად ემეკა ოკაფორის აყვანას. დაცვაში ჩენდლერი უკეთესი იყო, შეტევაში კი ვერც ოკაფორია დომინანტი. პოლისა და დევიდ უესტის ნიჭი რვა საუკეთესოში მოსახვედრად საკმარისი არ იქნება. "ჰორნეტსს" სუსტი სათადარიგოები ჰყავს.

**პერსპექტივა:** პლეი-ოფში ვერ გავა.

### 10. საკრამენტო კინგზი (10:12)

**მოკლედ:** გუნდი, რომელმაც წლევანდელ დრაფტზე ტაირიკ ევანსის სახით ძლიერი უკანახაზელი აიყვანა. "საკრამენტო" შორსაა იმ გუნდისგან, რომელიც 21-ე საუკუნის დასაწყისში "სპურსისა" და "ლეიკერსის" მთავარი კონკურენტი იყო, მაგრამ, სხვა "დაჩაგრულებთან" შედარებით, "კინგზი" ბევრად სოლიდურად გამოიყურება. 22 შეხვედრაში გუნდმა უკვე ათი გამარჯვება მოიპოვა. გაითვალისწინეთ, რომ ტრავმირებულთა შორისაა ლიდერი კევინ მარტინი. დიდ როლს თამაშობს ახალგაზრდებთან მუშაობაში არგენტინელი ანდრეს ნოჩიონი.

**პერსპექტივა:** პლეი-ოფში ვერ გავა.

### 11. ლოს ანჯელეს კლიპერსი (10:13)

**მოკლედ:** ძალიან კარგი სასტარტო ხუთეული, სადაც კალიფორნიელებს ჰყავთ გამოცდილი პლეიმეიკერი (ბაირონ დევისი), ძალიან კარგი ცენტრი (კრის კამანი), ბებერი, მაგრამ ჯანზე მყოფი სუპერდამცველი (მარკუს კემბი) და უდიდესი პოტენციალის მქონე ფორვარდი (ელ ტორნტონი). "კლიპერსის" ერთადერთი პრობლემა არის ის, რომ გუნდი... გუნდის გარდა ყველაფერია. შეუძლია მოუგოს "ლეიკერსს", მერე კი საკუთარ მოედანზე ვინმე სუსტ ოპონენტთან დამარცხდეს. კემბი ერთ მატჩში საშუალოდ 11 მოხსნას აგროვებს, ბაირონ დევისს კი ზუსტი სროლების მხრივ კოშმარული სეზონი აქვს (39 %).

**პერსპექტივა:** პლეი-ოფში ვერ გავა.

### 12. მემფის გრიზლისი (10:14)

**მოკლედ:** ო. ჯეი. მაიო სუპერტიპია, მარკ გასოლი სტაბილურად უახლოვდება საშუალო ორმაგ დუბლს, რუდი გეი სწრაფად პროგრესირებს, ალენ აივერსონი გაუშვეს, მაგრამ პლეი-ოფისთვის ეს საკმარისი ვერ იქნება. ერთი წლის მერე შეიძლება სულ სხვა სურათი იყოს, მაგრამ ამ ეტაპზე "გრიზლისი" არ არის თუნდაც 40 მატჩის მომგები და მეეჭვება, თუნდაც 35-36 გამარჯვებით, გუნდი დასავლეთის რვა საუკეთესოში მოხვდეს. ზაკ რენდოლფმა თუ სეზონი სკანდალის გარეშე დაასრულა, გუნდისგან ახალ, გრძელვადიან კონტრაქტს მიიღებს, მაიკ კონლის კი დიდი მომავალი აქვს. მაგარი ბიჭია...

**პერსპექტივა:** პლეი-ოფში ვერ გავა.

### 13. გოლდენ სტეიტ უორიორზი (7:17)

**მოკლედ:** დონ ნელსონმა შარშან სტივენ ჯექსონი კაპიტნად დანიშნა, წელს კი გუნდიდან გაუშვა. კარგი, სწრაფი, გამარჯვებას მოწყურებული გუნდია, მაგრამ, კორი მაგეტის გარდა (რომელიც ხან დამტვრეულია და ხან - უგუნებოდ), გამოცდილი არავინ ჰყავს. ძალიან მაგარი იყო "უორიორზი" ჰარდევეი-მულინ-რიჩმონდის დროს, მას მერე კი ეს გუნდი გუნდის გარდა ყველაფერია. ლიგაში ერთ-ერთი უსუსტესია დაცვაში და შეტევაშიც მაღლების დეფიციტი აქვს. დაშავებულთა სიაშია ლატვიელი ცენტრი ანდრის ბიედრინსი.

**პერსპექტივა:** პლეი-ოფში ვერ გავა.

### 14. მინესოტა ტიმბერვულვზი (4:21)

**მოკლედ:** "ნიუ ჯერსისთან" ერთად, ლიგის ყველაზე სუსტი გუნდი. "მინესოტას" ჰყავს ძალიან ძლიერი მძიმე ფორვარდი ელ ჯეფერსონის სახით, რომელიც "ბოსტონიდან" "მგლებში" ჩარიცხვის შემდეგ ერთ-ერთ უძლიერეს მაღალ მოთამაშედ იქცა. სხვა მხრივ, გუნდი ყველა რგოლში სუსტია და, თუ გაუმართლებს, იქნებ "ნიუ ჯერსიზე" მეტი მატჩი წააგოს და მომდევნო დრაფტზე პირველ ნომრად სასურველი მოთამაშის არჩევის უფლება მიიღოს. ვნახოთ, როგორ დაასრულებენ სეზონს რეიმონ სეშიონსი და კევინ ლავი. ამ მოთამაშეებზე გუნდის ბოსები დიდ იმედს ამყარებენ.

**პერსპექტივა:** პლეი-ოფში ვერ გავა.

## ვიერა სამშობლოში ბრუნდება

"ინტერის" ფრანგი საყრდენი პატრიკ ვიერა სამშობლოში აპირებს კარიერის გაგრძელებას. "სან სიროზე" 33 წლის ნახევარმცველი არ სჭირდებათ და ეს კარგად არის ცნობილი. მოურინიო ვიერას თამაშის საშუალებას არ აძლევს, თუმცა, პატრიკის საფრანგეთში დაბრუნება მაინც მოულოდნელობაა, რადგან მას "ჩელსიდან" და "ტოტენჰემიდან" ჰქონდა მიწვევები. თუმცა, ყოფილმა "მეთოფემ" სხვა ლონდონურ კლუბში კარიერის გაგრძელება არ ისურვა და იანვარში ფრანგულ "ლიონს" შეუერთდება.

"ლიონის" პრეზიდენტმა ჟან-მიშელ ოლამ საჯაროდ განაცხადა, რომ ვიერასთან შეთანხმება მიღწეულია.

## დი ნატალემ "მილანზე" უარი თქვა

"მილანი" მაღალი დონის ფორვარდს ეძებს. ამას წინათ იტალიურ მედიაში გავრცელდა ცნობა, რომ "როსონერი" "უდინეზეს" ფორვარდის ანტონიო დი ნატალეს შეძენას აპირებს. მეტიც, იტალიურ გაზეთებში დაიბეჭდა, რომ შეთანხმება უკვე მიღწეულია, თუმცა, ფეხბურთელის აგენტი ბრუნო კარპეჯიანი აცხადებს, რომ ასეთი არაფერი მომხდარა.

"პირადად მე არაფერი ვიცი და არა მგონია, ანტონიოს "მილანთან" კონტრაქტი ჩემს ზურგს უკან გაეფორმებინა. ეს შეუძლებელია. არ გამოვრიცხავ, რომ ზამთარში ჩემმა კლიენტმა კლუბი შეიცვალოს, მაგრამ ჯერჯერობით კონკრეტულს ვერაფერს ვიტყვი," - აცხადებს კარპეჯიანი.

## ტონის ბედი ათ დღეში გადაწყდება

იტალიელმა ფორვარდმა ლუკა ტონიმ დაადასტურა გავრცელებული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ "ბაიერნიდან" მიდის. ისიც თქვა, რომ მისი მომავალი უახლოეს ათ დღეში გაირკვევა.

"ბაიერნს" ვტოვებ, რადგან აქ ჩემს კარიერას ბოლო მოეღო. ათი დღის განმავლობაში საბოლოოდ გაირკვევა ჩემი მომავალი. "ბაიერნში" ჩემი დარჩენის შანსი უფრო ნაკლებია, ვიდრე ლატარიაში მოგება. მიუხედავად იმისა, რომ კლუბის დატოვება მიწევს, უნდა ვთქვა, რომ მიუნხენურ კლუბზე კარგი მოგონებები მექნება. სადებიუტო სეზონში 39 გოლი გავიტანე. მერე, როცა გუნდში კლინსმანი მოვიდა, ცოტა გამიჭირდა. ვან გალის მოსვლით კი ჩემთვის ყველაფერი დასრულდა", - ამბობს ტონი.

## ფრანგებმა გურკუფი და ბლანი გამოარჩიეს

